

საზოგადოებრივი
მომსახურებებით საქართველოს
მოსახლეობის პრაყოფილების
დონის კვლევა

კვლევის ანგარიში

2015



act

საზოგადოებრივი
მომსახურებებით საქართველოს
მოსახლეობის პრეცენტილების
დონის კვლევა

კვლევის ანგარიში

2015



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
South Caucasus



WITH FUNDING FROM
**AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION**



**50
YEARS**

Empowered lives. Resilient nations.

წინამდებარე კვლევა ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) ხელშეწყობით.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

© UNDP საქართველო, 2015
საავტორო უფლებები დაცულია
გამოცემულია საქართველოში

სარჩევი

შესავალი	10
1. კვლევის ცინაპირობა	11
2. ქართული კონტენტი	12
2.1 ზოგადი მდგრადარაობა.....	12
2.2 მდგრადარაობა სფეროების მიხედვით	13
2.3 საზოგადოებრივი მომსახურების მიღწევის პრაქტიკა.....	17
2.4 საზოგადოების მონაცემება.....	18
3. კვლევის დიზაინი და მათოდოლოგია	20
3.1. ლიტერატურის მიმოხილვა	20
3.2. თვისებრივი კვლევა	21
3.3. რაოდენობრივი კვლევა.....	21
4. კვლევის შედეგები	23
5. კვლევის შედეგები	24
5.1 სკოლამდებარები, ზოგადი და პროფესიული განათლება.....	25
5.1.1 მუნიციპალური საბაზო პალები.....	25
5.1.2. საჯარო სკოლები.....	30
5.1.3. პროფესიული სასწავლებლები	34
5.2. სხვადასხვა სრული მომსახურება	39
5.2.1. სრული დამარტინება	39
5.2.2. სახელმწიფო უფასო სასაზღვრო	41
5.2.3. სხვადასხვა სახელმწიფო სრული მომსახურების შეფასება.....	42
5.3. ჯანდაცვა	42
5.3.1. ავადების დროს სამედიცინო დაცვებულებები მიმართვისანობა.....	42
5.3.2. საედიცინო დაცვებულებაში მიმართვისანობა პროფილაკტიკის მიზნით	44
5.3.3. სასწავლო სამედიცინო დამარტინება	45
5.3.4. მოსახლეობის პროფილაკტიკური აცრები	46
5.3.5. პირუტყვის/მინეური ცხოველების აცრები	47

5.3.6. პარაგვას სახელმწიფო პროგრამები	49
5.3.7. ზოგადი კაყოფილება პარაგვას სისტემი	49
5.4. რეპრეაცია, დასვენება და კულტურა	52
5.5. კომუნალური ინფრასტრუქტურა	55
5.5.1. წყალმომარაგება	55
5.5.2. საკანალიზაციო სისტემა	59
5.5.3. ელექტროენერგია	61
5.5.4. გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა	62
5.5.5. ნარჩენების გატანა	64
5.5.6. დასუფთავება	66
5.6. საგზაო ინფრასტრუქტურა	68
5.7. სევალასევა მომსახურება	72
5.7.1. დასახლებების დაგეგმვარება	72
5.7.2. ტურიზმი	74
5.7.3. სოფლის მეურნეობა	75
5.7.4. საირიგაციო სისტემა	77
5.7.5. უსაფრთხოება	80
5.7.6. ელექტროენერგიის სერვისები	81
5.7.7. ეკოლოგია	82
5.8. თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება	83
5.8.1. ადგილობრივი თვითმმართველობით კაყოფილება და მისამართება	83
5.8.2. მოსახლეობის მიმართვისანობა ადგილობრივ თვითმმართველობებითან	86
5.8.3. არსებული მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფა	88
5.8.4. გამგებლის/მერის პირდაპირი წარიცხვა	90
5.9. მოსახლეობის სოციო-დამოგრაფიული პროფილი	91
6. რეზიუმე	94

გრაფიკების სარჩევი

გრაფიკი 1 – მუნიციპალური საპავშვო პალების ხელმისაწვდომობა დასახლებებში/ უგნებში რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები.....	26
გრაფიკი 2 – საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა უახლოეს მუნიციპალურ საპავშვო პალებამდე ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები.....	27
გრაფიკი 3 – მუნიციპალური საპავშვო პალების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება – 2013-2015 წლების მონაცემები	28
გრაფიკი 4 – მუნიციპალური საპავშვო პალების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება სძველის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	28
გრაფიკი 5 – მუნიციპალური საპავშვო პალებით ზოგადი კმაყოფილება რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები	29
გრაფიკი 6 – მუნიციპალური საპავშვო პალებით ზოგადი კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	29
გრაფიკი 7 – მუნიციპალური საპავშვო პალებით ზოგადი კმაყოფილება სძველის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	30
გრაფიკი 8 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა დასახლებები/უგნებში რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები	31
გრაფიკი 9 – საჯარო სკოლების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება - 2013-2015 წლების მონაცემები	32
გრაფიკი 10 – საჯარო სკოლების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება სძველის ჭრილში- 2013-2015 წლების მონაცემები	32
გრაფიკი 11 – საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილება რეგიონების მიხედვით-2013-2015 წლების მონაცემები.....	33
გრაფიკი 12 – საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში-2013-2015 წლების მონაცემები.....	34
გრაფიკი 13 – საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილება სძველის ჭრილში-2013-2015 წლების მონაცემები.....	34
გრაფიკი 14 – პროცესიული სასწავლებლების არსებობა მუნიციპალიტეტებში – 2013-2015 წლების მონაცემები.....	35
გრაფიკი 15 – პრიორიტეტული სფეროები რაიონები არსებული პროცესიული სასწავლებლებისათვის - 2013-2015 წლების მონაცემები.....	36

გრაფიკი 16 – სოციალური დახმარება - 2013-2015 წლების მონაცემები	39
გრაფიკი 17 – სოციალური დახმარებით კაბინეტის კაბინეტი - დროულად მიღებული მომსახურება - 2013-2015 წლების მონაცემები	40
გრაფიკი 18 – სოციალური დახმარებით კაბინეტის კაბინეტი - რეგისტრაციის სიმარტივა - 2013-2015 წლების მონაცემები	40
გრაფიკი 19 – მანილი უახლოეს უფასო სასაჭიროება - 2013-2015 წლების მონაცემები	41
გრაფიკი 20 – საკვების ხარისხი უახლოეს უფასო სასაჭიროება - 2013-2015 წლების მონაცემები.....	41
გრაფიკი 21 – სხვადასხვა სოციალური მომსახურების შეფასება - 2013-2015 წლების მონაცემები.....	42
გრაფიკი 22 – საავადმყოფოების/აოლიკლინიკების/მედიურეტიკების მომსახურებით კაბინეტის კაბინეტი - 2013-2015 წლების მონაცემები	44
გრაფიკი 23 – საავადმყოფოები/აოლიკლინიკები/მედიურეტიკები სამეცნიერო მომსახურების საფასურისაზე დამოკიდებულება-2013-2015 წლების მონაცემები.....	45
გრაფიკი 24 – სასწრავო დახმარების მომსახურებით კაბინეტის კაბინეტი - 2013-2015 წლების მონაცემები.....	45
გრაფიკი 25 – მოსახლეობის პროცენტური აცრებით კაბინეტის კაბინეტი - 2013- 2015 წლების მონაცემები.....	46
გრაფიკი 26 – მოსახლეობის პროცენტური აცრებით უზრუნველყოფა რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები	47
გრაფიკი 27 – პირუტყვის/შინაური ცხოველების ვაკცინაციით კაბინეტი - 2013-2015 წლების მონაცემები.....	48
გრაფიკი 28 – პირუტყვის/შინაური ცხოველების პროგრამების ცხობადობა - 2013-2015 წლების მონაცემები	48
გრაფიკი 29 – ჯანდაცვის სახალენივო პროგრამების ცხობადობა - 2013-2015 წლების მონაცემები.....	49
გრაფიკი 30 – ზოგადი კაბინეტის კაბინეტის სისტემით - 2013-2015 წლების მონაცემები	50
გრაფიკი 31 – კულტურული/დასასვენებელი ინფრასტრუქტურის არსებობა დასახლებებში/უბნებში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	52
გრაფიკი 32 – კულტურული/დასასვენებელი ინფრასტრუქტურის არსებობა დასახლებებში/უბნებში სოფელი/ქალაქის ზრიღში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	53
გრაფიკი 33 – კულტურული/დასასვენებელი ინფრასტრუქტურის არსებობა დასახლებებში/უბნებში მაღალმოთიანი და სხვა ზონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები.....	53
გრაფიკი 34 – დასახლებებში/უბნებში არსებული კულტურული/ დასასვენებელი ინფრასტრუქტურის შეფასება - 2013-2015 წლების მონაცემები.....	54
გრაფიკი 35 – პიროვნებითი გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა სოფელი/ქალაქის ზრიღში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	54

გრაფიკი 36 – ცენტრალური ფინანსორაგების სისტემის ხელმისაწვდომობა მაღალმთიან და სხვა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	55
გრაფიკი 37 – ცენტრალური ფინანსორაგების სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	56
გრაფიკი 38 – ფინანსორაგებით კაბინეტის სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	57
გრაფიკი 39 – ფინანსორაგებით კაბინეტის რეგიონების ჭრილში - 2013- 2015 წლების მონაცემები.....	58
გრაფიკი 40 – ფინანსორაგების საფასურის ხელმისაწვდომობა სოფელი/ ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	59
გრაფიკი 41 – ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არსებობა მაღალმთიან და სხვა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები	59
გრაფიკი 42 – ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები	60
გრაფიკი 43 – არსებული საკანალიზაციო სისტემის გამართულობა - 2013-2015 წლების მონაცემები.....	60
გრაფიკი 44 – ელექტრომორაგების რეგულარობა რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	61
გრაფიკი 45 – ელექტრომორაგებით კაბინეტის 2013-2015 წლების მონაცემები	62
გრაფიკი 46 – გაზმორაგების ცენტრალური სისტემის ხელმისაწვდომობა სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	62
გრაფიკი 47 – გაზმორაგების ცენტრალური სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	63
გრაფიკი 48 – გაზმორაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კაბინეტის რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	64
გრაფიკი 49 – ნარჩენების გატანის მომსახურების არსებობა სოფელი/ ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	65
გრაფიკი 50 – ნარჩენების გატანის მომსახურებით კაბინეტის რეგიონების სოფელი/ ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	65
გრაფიკი 51 – დასუფთავების მომსახურების ხელმისაწვდომობა სოფელი/ ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	66
გრაფიკი 52 – დასუფთავების მომსახურებით კაბინეტის 2013-2015 წლების მონაცემები	66
გრაფიკი 53 – საგზაო ინფრასტრუქტურის მდგრადირების შეფასება - 2013- 2015 წლების მონაცემები.....	68
გრაფიკი 54 – ქალაქის დაგეგმვარებით, მშენებლობის რეგულაციით და კათილმოწყობით კაბინეტის რეგიონები - 2013-2015 წლების მონაცემები.	73
გრაფიკი 55 – ქალაქის დაგეგმვარებით, მშენებლობის რეგულაციით და კათილმოწყობით კაბინეტის რეგიონები - 2013-2015 წლების მონაცემები.....	73
გრაფიკი 56 – ტურიზმის განვითარება - 2013-2015 წლების მონაცემები	74
გრაფიკი 57 – ტურიზმის განვითარება რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები.....	75

გრაფიკი 58 – დახმარება სოცლის მუნიციპალიტეტი – სოცლის მოსახლეობა – 2013-2015 წლების მონაცემები.....	76
გრაფიკი 59 – სოცლის მუნიციპალიტეტი დახმარებით კამყოფილება – სოცლის მოსახლეობა – 2013-2015 წლების მონაცემები	76
გრაფიკი 60 – არსებული საირიგაციო სისტემის გამართულობის შეფასება – 2013-2015 წლების მონაცემები.....	77
გრაფიკი 61 – სახელმწიფო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	78
გრაფიკი 62 – სხვადასხვა საჯარო მომსახურებებით სარჩევლობა – 2013-2015 წლების მონაცემები.....	79
გრაფიკი 63 – საჯარო მომსახურებების საფასურის ხელმისაწვდომობა –2013- 2015 წლების მონაცემები.....	79
გრაფიკი 64 – მოსახლეობის უსაფრთხოება - 2013-2015 წლების მონაცემები.....	80
გრაფიკი 65 – ელექტრონული სერვისების ცნობაზომა რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები.....	81
გრაფიკი 66 – ადგილობრივი ხელისუფლების ნაბიჯები ეკოლოგიის მიმართულებით – 2013-2015 წლების მონაცემები	82
გრაფიკი 67 - ადგილობრივი გამგეობით/საკრებულოთი კამყოფილება და მისდამი დღობა სოფელი/ქალაქის ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები	83
გრაფიკი 68 – ადგილობრივი გამგეობით/საკრებულოთი კამყოფილება რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები	84
გრაფიკი 69 – ადგილობრივი გამგეობის/საკრებულოს მიმართ დღობა რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები	85
გრაფიკი 70 – ადგილობრივი ხელისუფლებით კამყოფილება და მისდამი დღობა სახელის ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები	85
გრაფიკი 71 – ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მთავარი გამოსახლოების საკითხები – 2013-2015 წლების მონაცემები	86
გრაფიკი 72 – თვითმმართველობებითან მიმართვიანობა და მიმართვის შედეგები – 2013-2015 წლების მონაცემები	87
გრაფიკი 73 – რაიონის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობის შეფასება რეგიონის ჭრილში –2013-2015 წლების მონაცემები	88
გრაფიკი 74 – მუნიციპალიტეტების უფრო ცვრილ ერთეულებად დაშლის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები	89
გრაფიკი 75 – მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების ქადაგითობის მიმართ, მუნიციპალიტეტების უფრო ცვრილ ერთეულებად დამოკიდებულება შემთხვევაში - სოფელი/ქალაქის ჭრილი - 2013-2015 წლების მონაცემები	89
გრაფიკი 76 – სკესი, ასაკი, ოჯახური მდგრადირეობა და ეროვნება – 2015 წლის მონაცემები	91
გრაფიკი 77 – ოჯახის შემადგენლობა – 2015 წლის მონაცემები.....	92
გრაფიკი 78 – განათლება და სამუშაო სტატუსი –2015 წლის მონაცემები	92
გრაფიკი 79 – ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი (ლარი).....	93

ცხრილების სარჩევი

ცხრილი 1 –	შერჩევის ზომა და განაცილება სტრატეგიი 22
ცხრილი 2 –	გზების მდგრადირეობის და საზოგადოებრივი ფრანსაორობის მოქალაქის ციფრის შეფასება მაღალმთიან და სევა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები 69
ცხრილი 3 –	საგზაო ნიშნების, სახლების წუმერაციის, შუქნიშვერების ფუნდციონირების და ქუჩის განათების მდგრადირეობის შეფასება მაღალმთიან და სევა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები 69
ცხრილი 4 –	გზების მდგრადირეობის და საზოგადოებრივი ფრანსაორობის მოქალაქის ციფრის შეფასება რეგიონების მიხედვით - 2013- 2015 წლების მონაცემები 70
ცხრილი 5 –	საგზაო ნიშნების, სახლების წუმერაციის, შუქნიშვერების ფუნდციონირების და ქუჩის განათების მდგრადირეობის შეფასება რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები. 71
ცხრილი 6 –	მატერიალური მდგრადირეობის შეფასება – 2015 წლის მონაცემები 93
ცხრილი 7 –	კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა და კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები 95
ცხრილი 8 –	საგანვითო და სამუშაოების არსებობა და მათი მომსახურები კაბელური რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები 96
ცხრილი 9 –	ჯანდაცვის სერვისების გამოყენება და კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები 97
ცხრილი 10 –	უსაფრთხოების სერვისების არსებობა და კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები 98
ცხრილი 11 –	საგზაო ინფრასტრუქტურა რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები 99

შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით ჩატარებული კვლევის ანგარიშს. კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში მუნიციპალიტეტების/ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიწოდებული სერვისებით მოქალაქეების კმაყოფილების დონის განსაზღვრას.

კვლევა ჩატარდა 2015 წლის ნოემბერში მთელი საქართველოს მასშტაბით და მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ზრდასრულმა მოსახლეობამ (18+). კვლევისათვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული იყო როგორც ლიტერატურის მიმოხილვა, ასევე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ანგარიშში ინტეგრირებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. 2015 წლის მონაცემები ასევე შედარებულია 2013 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს გაეროს განვითარების პროგრამა გამოიყენებს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისათვის. გარდა ამისა, ანალოგიური კვლევა ჩატარდება 2017 წელს და ნინა წლების მონაცემებს შედარდება. კვლევის შედეგები დახმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გაიგონ მოსახლეობის სხვადასხვა სერვისით კმაყოფილების დონე და შესაბამისად დაგეგმონ საპასუხო აქტივობები.

ანგარიში მოამზადა ეისითიმ გაეროს განვითარების პროგრამისთვის.

დოკუმენტი შედგება შემდეგი ქვეთავებისგან: კვლევის წინაპირობა, ქართული კონტექსტი, კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები და რეზიუმე.

1. კვლევის წინაპირობა

პოსტ-საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა საზოგადოებრივი მომსახურებების დაბალი დონეა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევბევრი ხარვეზია, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს, განსაკუთრებით რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტიმიზნად ისახავს რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობას ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციების გაძლიერების გზით. ცენტრალურიდა ადგილობრივი ხელისუფლებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაბალანსებული, ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტიმულირებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველასათვის. სამწუხაროდ, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი მოხელეთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და უნარებია. დეცენტრალიზაციის დონის სიმცირე და საჭირო უნარების ნაკლებობა ხელს უშლის საჯარო მოხელეებს, იმოქმედონ დამოუკიდებლად და უპასუხონ ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებს. სწორედ ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადგილობრივი სერვისების რეგიონული და ადგილობრივი განვითარებისათვის.

გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით, ჩატარდა კვლევა საქართველოში არსებული საზოგადოებრივი მომსახურებებით მოქალაქეთა კმაყოფილების დონის დასადგენად. კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში მუნიციპალიტეტების/ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი მომსახურებებით მოქალაქეების კმაყოფილების დონე. 2013 და 2015 წელს ჩატარებული კვლევების მონაცემებს გაეროს განვითარების პროგრამა გამოიყენებს პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრისა და შესაბამის აქტივობათა დასაგეგმად. გარდა ამისა, პროექტის დასკვნით ეტაპზე, 2017 წელს ჩატარდება ანალოგიური კვლევა და მისი შედეგები შედარდება 2013 და 2015 წლების მონაცემებს.

2. ქართული კონტენტი

2.1. ზოგადი ელექტრონული მოწყვეტილებები

მსოფლიო პრაქტიკა ადგილობრივი თვითმმართველობის ორ უმთავრეს ფუნქციას აღიარებს: 1. საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება და 2. მოსახლეობასთან სიახლოვე, ადგილობრივი ინტერესების უკეთ გათვალისწინების მიზნით. საქართველოში, ტრადიციულად, ხელისუფლება ძირითად აქცენტს, ისიც არა ყოველთვის, აკეთებდა ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებაზე და არა თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებასა თუ მართვის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე.

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, მოქალაქეთა მონაწილეობა მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალური იყო. კანონმდებლობაში ასახული თუნდაც მცირე უფლებები ყოველდღიურ პრაქტიკაში თითქმის არ ხორციელდებოდა.

შედეგად, პროგრამების განხორცილებისას ცენტრალური ხელისუფლება არ ითვალისწინებდა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ლოკალურ ინტერესებს. სიტუაცია მოსახლეობის განწყობაზე ნებატიურად აისახებოდა და მის ფრუსტრაციას თუ სახელმწიფოს მიმართ ნიჰილიზმის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გასული ოცდახუთი წლის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკური ელიტა დეცენტრალიზაციას და თვითმმართველობებისთვის უფლებამოსილებების თუ რესურსების გადაცემას თავს არიდებდა, ამას კი მოსახლეობის მზადყოფნის დაბალი დონით ხსნიდა. ამას გარდა, ქვეყნის ნინაშე არსებული სხვა გამოწვევების ფონზე (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.), დეცენტრალიზაცია პრიორიტეტულ მიმართულებად არ მიიჩნეოდა.

1991 წლიდან მოყოლებული, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემის განვითარება რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- I ეტაპი - 1991 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგი პერიოდი - ადგილობრივი მმართველობის სისტემამ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ძლიერი კონტროლის პირობებში (პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრეფექტები) დაიწყო ფუნქციონირება, თუმცა მისი განვითარება სახელმწიფო გადატრიალების (1992) და მისი შემდგომი მოვლენების გამო შეჩერდა.
- II ეტაპი - ცენტრალიზებული მართვის პერიოდი (1992-1998) - ადგილებზე ძალაუფლებას ცენტრალური ხელისუფლების მიერ პირდაპირ დანიშნული მერები და გამგებლები (რაიონებში) და სახელმწიფო რწმუნებულები (რეგიონებში) ახორციელებდნენ.

- III ეტაპი - თვითმმართველობის დამკვიდრების პერიოდი (1998-2006). 1998 და 2002 წლებში ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები, შეიქმნა ადგილობრივი ნარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები, როგორც ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის (თვითმმართველობის I საფეხური), ისე რაიონის (II საფეხური) დონეზე. კანონმდებლობით განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა ჩამონათვალი ხშირად იცვლებოდა - მატულობდა ან იკლებდა. თუმცა ცენტრალურ ხელისუფლებას თვითმმართველი ერთეულებისთვის არ გადაუცია შესაბამისი ფინანსური და ქონებრივი რესურსები, რის გამოც ისინი კანონით მინიჭებულ კომპეტენციებს რეალურად ვერ ახორციელებდნენ.
- IV ეტაპი (2006-2012) - “ვარდების რევოლუციის” შემდგომი პერიოდი. 2006 წლის თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლების რეორგანიზების შემდეგ, საქართველოში გამოიკვეთა არა დეცენტრალიზაციის, არამედ ცენტრალიზაციის მზარდი ტენდენცია: თვითმმართველობის ქვედა დონე გაუქმდა იმ მოტივით, რომ რაიონულ დონეს, უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, მეტი ფინანსური რესურსი ჰქონდა. თუმცა მოგვიანებით საჯარო ფინანსების ცენტრალიზაციის პროცესიც დაიწყო. ამავე დროს გაძლიერდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ადგილობრივ თვითმმართველობებზე, რომლებმაც თითქმის დაკარგეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება.
- V ეტაპი (2012-დან) - 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ დეცენტრალიზაცია თავის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დაასახელა. თუმცა დაწყებული რეფორმის ტემპი შემდგომში შენელდა და ჯერ არ არის ბოლომდე ნათელი, რა მიმართულებით ნარიმართება ქვეყანაში თვითმმართველობის სისტემის განვითარების პროცესი.

გასული ათწლეულის მეორე ნახევარში თვითმმართველობის უფლებათა შეკვეცით საზოგადოების ჩართულობის ისედაც დაბალი ხარისხი მეტად შემცირდა. ამავე დროს, ხშირ შემთვევაში, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრალიზებული სისტემა არაა დეკვატურად პასუხობს ადგილობრივ მოთხოვნებს. შედეგად, გაიზარდა თვითმმართველობათა პოლიტიზების ხარისხი. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ცენტრალურ დონეზე ხელისუფლების ცვლას (1992, 2003, 2012) მექანიკურად მოსდევს ადგილობრივი ხელისუფლების ნარმომადგენელთა ყოფილი მმართველი პარტიიდან ახალ მმართველ პარტიაში მასობრივი გადასვლა.

■ 2.2. მდგრადი საზოგადოების მიზანი

თვითმმართველობებში არსებული ზოგადი ტენდენციები ნათლად აისახება დეცენტრალიზაციის პროცესის ცალკეულ მიმართულებებში:

კანონმდებლობა. საკანონმდებლო ბაზა სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. ხშირად ცალკეული ნორმატიული აქტები ენინაალმდეგება არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიითა და საქართველოს ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით-აღიარებულ პრინციპებს, არამედ ერთმანეთსაც. მეტიც, ზოგჯერ ამა თუ იმ კანონის ცალკეულ მუხლებში ურთიერთგამომრიცხავი დებულებებია. კანონმდებლობა მაღიმალიცვლება. ორ ასეულამდე დარგობრივი კანონი შესაბამისობაშია მოსაყვანი ორგანულ კანონთან. 2015 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა 174 მოქმედ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი, რომელიც პარლამენტმა, სავარაუდოდ, 2016 წლის პირველ ნახევარში უნდა განიხილოს. ამავე დროს, ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რამდენად დროულად შეასრულებს მთავრობა

კოდექსით დაკისრებულ რიგ ვალდებულებებს (ზოგიერთი გადასახადის გამიჯვნა ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებს შორის; სახელმწიფოს ხელთ არსებული ქონების ინვენტარიზაცია და მათი დიდი ნაწილის თვითმმართველობებისათვის გადაცემის დაწყება; ტერიტორიული ოპტიმიზაციის შესახებ წინადადებების მომზადება; თვითმმართველობების უფლებამოსილებათა ზრდა და ა.შ).

ტერიტორიული ორგანიზება. 2006 წელს, რესურსების უკეთ მობილიზების მიზნით, გაუქმდა თვითმმართველობის ქვედა დონე (1.000-ზე მეტი ერთეული) და ერთადერთ თვითმმართველ დონედ რაიონის ტერიტორიაზე ფორმირებული მუნიციპალიტეტები და 5 თვითმმართველი ქალაქი გამოცხადდა.

2014 წელს მიღებული ახალი ორგანული კანონით, მუნიციპალიტეტებს რეგიონული ცენტრები გამოეყო, შედეგად, თვითმმართველ ქალაქთა ოდენობა გაიზარდა (5-დან 12-მდე), თუმცა არ შეცვლილა სხვა მუნიციპალიტეტა ტერიტორიული მოწყობა. საქართველოს მთავრობა ვალდებულია, შეიმუშაოს ტერიტორიული ოპტიმიზაციის მოდელები ქვეყნის მასშტაბით (მსხვილი მუნიციპალიტეტების პომო-გენურ ერთეულებად დაშლის მიმართულებით) და 2016 წლის ოქტომბრამდე მიაწოდოს პარლამენტს.

რეგიონული დონის შექმნის მიზანშეწონილობაზე ქვეყანაში 25 წელიაკამათობენ, მაგრამ ეს საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას. რეგიონებში წარმომადგენლობითი ორგანო არ არსებობს. 9 დეფაქტო რეგიონში (გარდა თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების და “ყოფილი სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციისა”) ცენტრალურ ხელისუფლებას მის მიერ დანიშნული რწმუნებული/გუბერნატორი წარმოადგენს.

ახალი კანონმდებლობის თანახმად, რეგიონებში რწმუნებულ/გუბერნატორთან შეიქმნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები, რომლებშიც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები შედიან. მეტის მიღწევა - რეგიონებისათვის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა და მათთვის შესაბამისი მექანიზმების გადაცემა - ვერ მოხერხდა.

თვითმმართველობის სტრუქტურების ფორმირება და საქმიანობა. თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საკურებულოა, ხოლო აღმასრულებელი - გამგებელი (მუნიციპალიტეტებში) და მერი (თვითმმართველ ქალაქებში).

გასული საუკუნის 90-იან წლებში ადგილები პირდაპირ ცენტრიდანიმართებოდა. მოგვიანებით, 1998 წელს შექმნილ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, და შემდეგაც, ცენტრალური ხელისუფლება ეგუებოდა ადგილებზე ოპოზიციური პარტიების წარმატებას, ვინაიდან თვითმმართველობას რეალური ძალაუფლება არ ჰქონდა. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად ერთპარტიული სისტემა ჩამოაყალიბა ხელისუფლების ყველა დონეზე. 2010 წლის არჩევნების შედეგად ყველაზე უფრო ერთპარტიული თვითმმართველობა შეიქმნა საქართველოს ისტორიაში, ყველა წინა ადგილობრივი არჩევნების (1919, 1991, 1098, 2002, 2006) შედეგად შექმნილ თვითმმართველობასთან შედარებით.

2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებში აღმასრულებელი ორგანოები - მერები და გამგებლები - პირდაპირი წესით აირჩიეს. საკურებულოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლების რაოდენობა. საყურადღებოა, რომ პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანო არჩევნების შემდგომ საზოგადოების წინაშე მეტ ცნობადობასა და პასუხისმგებლობას ავლენს. ამავე დროს, პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თვითმმართველობებზე გავლენის ხარისხი კვლავ მაღალია. არადამაკმაყოფილებელია ადგილობრივი საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების დონეც.

უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობები, კანონმდებლობის თანახმად, საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ. კანონითაა განსაზღვრული უფლებამოსილებათა ჩამონათვალიც (საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” მე-16 მუხლი):

- ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა;
- ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
- ტრანსპორტის პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და შესაბამისი წესების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვების გაცემა;
- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდება;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
- შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინო-თეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შშმ პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში არ შედის და აკრძალული არაა კანონით. ასეთია ღონისძიებები შემდეგი მიზნებით: დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობა, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის

განვითარება, სოციალური დახმარება და ჯანდაცვა, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და სხვა.

ახალმა კანონმდებლობამ გააფართოვა უფლებამოსილებათა ჩამონათვალი - მუნიციპალიტეტის კომპეტენცია გახდა წყალმომარაგება, შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია. ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილებათა ნაწილს ჯერჯერობით ვერ ახორციელებენ, რადგან შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობა და ინსტიტუციური ორგანიზება არარსებობს.

ამავე დროს, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდის მსგავსად, არის უფლებამოსილებათა ცენტრალური ხელისუფლებისათვის გადაცემის შემთხვევებიც - სახანძრო და სამაშველო სამსახურების მართვა, კანონმდებლობის თანახმად, თვითმმართველობებმა ცენტრალურ ხელისუფლებას (შსს) გადასცეს, თუმცა, პირველ ეტაპზე, ამ სამსახურების დაფინანსება მუნიციპალიტეტებს საკუთარი ბიუჯეტებიდან ევალებოდათ .

კვონომიკური საფუძვლები. მიუხედავად შემოსავლებისა და გათანაბრებითი ტრანსფერების გარკვეული ზრდისა, თვითმმართველობებს კვლავ უჭირთ უფლებამოსილებათა სრულყოფილი განხორციელება. მართალია, კვლავ გრძელდება თვითმმართველობათა ფინანსების ზრდის წინა ათწლეულში დაწყებული პოზიტიური ტენდენცია, მაგრამ ძირითადად ეს კვლავ გათანაბრებითი ტრანსფერისა და რეგიონებში გასახორციელებელი სახელმწიფო პროგრამების (მუნიციპალური განვითარების ფონდი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ა.შ.) ზრდის ხარჯზეა. ყველა ეს თანხა, საშუალოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის 20%-ს შეადგენს.

შემოსავლების კუთხით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევა და მისი ნაწილის (მენარმე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი) ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის დატოვება (2016 წლის იანვრიდან).

ამავე დროს, კვლავ გაურკვეველია მუნიციპალიტეტთა შემოსავლებში იმ სახელმწიფო ფონდების გადატანის პერსპექტივა, რომლებიც ადგილობრივად იხარჯება. დასახვეწია გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესიც, რაც ევროსაბჭოს წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაცაა.

ამავე დროს, ბოლო წლებში თავი იჩინა ახალმა პრობლემამ - გართულდა საჯარო ფინანსების სრულად ათვისება. ცენტრის მრიდან პოლიტიკურად ანგაუირებულ გადაწყვეტილებათა ოდენობის შემცირებამ და ადგილობრივი ბიუჯეტების ათვისებისას საკანონმდებლო რეგულაციების ზედმინევნით დაცვის მცდელობამ ხარჯვითი პროცესების გაჭირებულება გამოიწვია. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ თვითმმართველობათა უმრავლესობა ცენტრალური ბიუჯეტიდან დაგვიანებით მიღებული თანხების ათვისებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში ვერ ასწრებს (2014 წლისათვის საერთო მოცულობის დაახლოებით 10%).

პრობლემატურია მომსახურების შესყიდვის პოლიტიკაც - არსებითად ყურადღება ფასის სიმცირეზე კეთდება და არა ხარისხზე.

კვლავ რთულად მიმდინარეობს თვითმმართველობებისათვის ქონების გადაცემა. ახალი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, 2017 წლამდე მოახდინოს მის ხელთ არსებული მთელი ქონების ინვენტარიზაცია და დაიწყოს მისი ნაწილის მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემის პროცესი. თუმცა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საეჭვოა რომ ეს დადგენილ ვადებში მოესწროს.

საჯარო სამსახური. რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადგილობრივი საჯარო სამსახურის ეფექტური გაზრდის მიმართულებითაც:

- თვითმმართველობათა ბიუჯეტების სახელფასო ფონდის არანაკლებ 1% უკვე სავალდებულოდ უნდა დაიხარჯოს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- შემუშავდა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია და დაინტერესი მისი განხორციელება;
- ადგილობრივი საჯარო მოხელეები კონკურსების საფუძველზე აჰყავთ სამსახურში, რაც კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, 2010 წლიდან ჭიანურდებოდა;
- 2017 წლისათვის სრულად ამოქმედდება ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც რიგ პოზიტიურ დებულებებს შეიცავს.

ამავე დროს, სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა მოხელეთა კონკურსის პროცესში. პრეტედენტთა გარკვეული ნანილი, რომელმაც მაქსიმალური ქულები მიიღეს ტესტირების ეტაპზე, სამსახურის გარეშე დარჩნენ. გაურკვეველია იმ მოხელეთა საკითხიც, რომლებიც ადრე მუშაობდნენ მუნიციპალურ სტრუქტურებში და რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საკვალიფიკიო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. რიგი შენიშვნები არსებობს თავად შეფასების ფორმებთან დაკავშირებითაც. კვლავ დაბალია მოხელეთა კვალიფიკაციისა და მოტივაციის დონე.

■ 2.3. საზოგადოებრივი მომსახურების გინოდების პრაქტიკა

საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება საქართველოში მაღალი ხარისხით საბჭოთა პერიოდშიც არ გამოირჩეოდა. სიტუაცია გაუარესდა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა სერვისების მიწოდება სრულიად მოიშალა.

დღეისათვის რეგიონებში მთელ რიგ პროექტებს ცენტრალური ხელისუფლება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით ახორციელებს. მომსახურების მიწოდებისას გაურკვევლობას ინვესტ ის, რომ თითოეული სოციალური კლასისათვის ესა თუ ის საზოგადოებრივი სიკეთე ხელმისაწვდომი არ არის.

მიუხედავად ბოლო ათი წლის მანძილზე ადგილობრივი ბიუჯეტების რამდენჯერმე გაზრდისა, სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად ცენტრალური ხელისუფლება რეგიონებს დამატებით თანხებს მიაკუთვნებს (2014 წელს ამ თანხებმა, მიზნობრივი ტრანსფერების და რეგიონული პროგრამების გარდა, 1,8 მლრდ. ლარზე მეტი შეადგინა).

ცალკეულ მიმართულებათა შეფასებისას სფეროში არსებული პრობლემები ვლინდება:

წყალმომარაგება სოფლის თვითმმართველი ერთეულის მოვალეობაა. სახსრები (თვითმმართველობის ბიუჯეტის 5-6%) აშკარად არასაკმარისია. როგორც წესი, წყლის ხარისხი არ კონტროლდება - ადრინდელი ხარისხის შემოწმების ლაბორატორიები თითქმის ყველგან დაიხურა. სასოფლო ზონებში სასმელი წყლით მომარაგების სფეროში არსებული პრობლემების დასაძლევად 2015 წლის მეორე ნახევარში შესაბამისი ნორმატიული ბაზა შეიქმნა და 2016 წლიდან რეგიონულ დონეზე ინტერმუნიციპალური არასამენარმეო იურიდიული პირების შექმნა იგეგმება.

ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება. ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, უმეტესად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და “სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან” (2014 წლისათვის დაახ. 350 მლნ. ლარი) ფინანსდება.

დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება ქალაქებში შედარებით მოწესრიგებულია, რასაც ვერ ვიტყვით სოფლებზე, სადაც ეს მომსახურება ფაქტობრივად არ არსებობს. არაკონკურენტული გარემო ხელს უშლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

მგზავრთა გადაყვანის რეჟიმის დადგენის უფლება ადრე მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს ჰქონდათ. მართალია, ორგანული კანონით ეს უფლება ყველა მუნიციპალიტეტს აქვსმინიჭებული, მაგრამ დარგობრივ კანონმდებლობაში შესაბამი ცვლილებების გარეშე ამ უფლების რეალიზება ვერ ხერხდება.

სოციალური დახმარება და ჯანდაცვა თვითმმართველობის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებაა. სოციალურ დახმარებებზე იხარჯება ბიუჯეტების 5-7%. ხოლო საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, როგორც მუნიციპალიტეტებზე დელეგირებულ უფლებამოსილებაზე - ბიუჯეტების მხოლოდ 1-1,5%.

საბავშვო ბალები - 2014 წლამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებზე ადგილობრივი ბიუჯეტების 5-7% იხარჯებოდა. ეს დაფინანსება მხოლოდ ხარჯების 60-70%-ს ფარავდა, რის გამოც დანარჩენ თანხას მოსარგებლე ოჯახები იხდიდნენ. ხელისუფლების ახალი სტრატეგიის თანახმად, თვითმმართველობებს დაეკისრათ ამ სფეროზე მოთხოვნის საკუთარი ხარჯებითსრულად დაფარვა, თუმცა ამისთვის ცენტრალური ხელისუფლებისგან დამატებითი დაფინანსება არ მიუღიათ. ამან სერვისის მიწოდების ხარისხი გარკვეულწილად დააზარალა. მიმდინარეობს მუნიციპალური საბავშვო ბალების მშენებლობა და ძველების რეაბილიტაცია, თუმცა, რა კონკრეტული შედეგებია ამ მხრივ, სიღრმისეულად ჯერ არ გაანალიზებულა.

კულტურის ობიექტები - 2007 წლიდან ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიწყო თვითმმართველობებისათვის რიგი ობიექტების (ბიბლიოთეკები და სხვ.) გადაცემა, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი სავალალო მდგომარეობაში იყო. ვინაიდან ადგილობრივ ბიუჯეტს თანხები არ ჰყოფნიდა (ხარჯების მხოლოდ 3-5%), ამ ობიექტთა დიდი ნაწილი (უმეტესად ბიბლიოთეკები) დაიხურა.

ნებართვები - 2005 წლიდან მოყოლებული, მოხდა ადმინისტრაციულ მომსახურებათა უმეტესობის ცენტრალიზაცია. დღეისათვის თვითმმართველობები მხოლოდ მშენებლობის ნებართვებს გასცემენ. მნიშვნელოვანი ძვრები ამ მხრივ ჯერ არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ცენტრალური უწყების ზეპირ განცხადებას, რომ იგეგმება რიგი სერვისების მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირების წესით გადაცემა.

2.4. საზოგადოების მონაცილეობა

კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეებს ნორმატიული აქტის პეტიციის წესით ინიცირებისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის უფლება აქვთ. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს შეუძლია მოამზადოს საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს ნორმატიული აქტის გაუქმების ან ცვლილებების შესახებ.

2015 წლის ზაფხულში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (მუხლები 85, 85¹, 85², 85³, 85⁴, 85⁵, 86, 86¹, 87, 88) შევიდა რიგი ცვლილებებისა, რომელმაც დააკონკრეტა:

- პეტიციის წარდგენის წესი;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ფორმატი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირთა საზოგადოების წინაშე ანგარიშგების ფორმები და ა.შ.

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, სიახლეა დასახლების საერთო კრება, რაც პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმია. თვითმმართველობები ვალდებული არიან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინონსაერთო კრების გადაწყვეტილებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კოდექსი საკრებულოებს აძლევს უფლებას, დამატებითი უფლებამოსილებით აღჭურვონ დასახლების საერთო კრება, მათი დებულების დამტკიცების გზით. 2016 წლიდან მეტად ნათელი გახდება, რამდენად ქმედითი აღმოჩნდება საერთო კრება.

ფაქტია, რომ პრაქტიკაში უკვე მინიჭებულ უფლებათა გამოყენების მაგალითები თითქმის არ გვხვდება, ვინაიდან საზოგადოება ფიქრობს (და ხშირად არც თუ უსაფუძვლოდ), რომ თვითმმართველობებს, თვით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, “არავინ არაფერს ეკითხება”. ამიტომ თუ ადამიანებს რაიმე პრობლემის გადაწყვეტა სურთ, უმჯობესია ცენტრალური ხელისუფლების დონეზე დასვან საკითხი.

განხორციელებული კვლევები აჩვენებს საზოგადოებაში ფრუსტრაციის ხარისხის ზრდის ტენდენციას (თვითმმართველობისათვის არასოდეს არ მიუმართავს მოქალაქეთა 78%). თვითმმართველობისადმი მიმართვები, უმთავრესად, კომუნალურ საკითხებს, სოციალურ პრობლემებს და დოკუმენტაციის მიღებას უკავშირდებოდა.

თვითმმართველობის საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი კიდევ უფრო ნაკლები აღმოჩნდა. მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა (81%) აცხადებდა, რომ არასოდეს მიუღია მონაწილეობა თვითმმართველობის ორგანიზებულ შეკრებებში, ვინაიდან მათ უმეტესობას არ სჯერდა, რომ ეს რამე შედეგს მოიტანდა.¹

1 მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებებით კმაყოფილების კვლევა საქართველოში, ეისითი, ივნისი, 2013

3. კვლევის დიზაინი და მთოლელობია

კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი და სამაგიდო კვლევის მეთოდები.

კვლევის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობების მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების შეფასება. კვლევის კონკრეტული ამოცანები იყო:

- ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ მოსახლეობისათვის მიწოდებული სერვისების მასშტაბის განსაზღვრა;
- ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიწოდებული კონკრეტული სერვისებით მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა;
- მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობით საზოგადოებრივი მომსახურების იმ სფეროებში, რომლებიც მომავალში, შესაძლოა, ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია გახდეს;
- მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა ზოგიერთი საზოგადოებრივი სერვისის ფასით;
- მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულობით;
- ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელმძღვანელობის საქმიანობით მოსახლეობის კმაყოფილების დონის განსაზღვრა;
- საზოგადოებრივი სერვისებით კმაყოფილებისა და უკმაყოფილების ძირითადი მიზეზების დაგენა;
- ადგილობრივი და რეგიონული მმართველი ორგანოების საქმიანობის ზოგადი შეფასება.

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა მიზნად ისახავდა არსებული კვლევების შესწავლას, რომლებიც ეხებოდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი მომსახურების კუთხით არსებულ მდგომარეობას საქართველოში. კერძოდ:

- კვლევისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე არსებული ინფორმაციის მოძიებას და ამპროცესში ყურადღების გამახვილებას მოძიებული კვლევებისა და მიგნებების შედარებადობაზე განსახორციელებელ კვლევასთან;

ლიტერატურის მიმოხილვა წარიმართა განსახორციელებელი კვლევის შემდეგი მთავარი კითხვების აქცენტირებით:

- რა მდგომარეობა საქართველოში თვითმმართველობების კუთხით;
- როგორია მოსახლეობის თვითმმართველობის საკითხებში ჩართულობის ხარისხი;
- როგორ ფუნქციონირებს მუნიციპალური მომსახურებები;
- რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას მუნიციპალურ და სახელმწიფო მომსახურებებთან.

დეტალური ინფორმაცია ლიტერატურის მიმოხილვის ეტაპზე გამოყენებული მასალების/ანგარიშების შესახებ იხ. **დანართში 1.**

■ 3.2. თვისეპრივი კვლევა

თვისეპრივი კვლევის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით სულ ოთხი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა შიდა ქართლსა და სამეგრელოში.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობა. რესპონდენტები შეირჩა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან (გამგეობა, საკრებულო) ურთიერთობის გამოცდილების მიხედვით.

ფოკუს ჯგუფი შედგებოდა 8-9 რესპონდენტისგან, მათი ასაკი 25-დან 50 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების ხანგრძლივობა დაახლოებით 2.5 საათს შეადგენდა. ჯგუფების დასრულების შემდეგ მომზადდა დისკუსიის დეტალური ტრანსკრიპტები, რომლებიც კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადებას მოხმარდა.

■ 3.3. რაოდენობრივი კვლევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წლის და უფროსი საქართველოს მაცხოვებლები). კვლევამ ოკუპირებული ტერიტორიების გარდა საქართველოს ყველა რეგიონი დაფარა.

სულ კვლევის ფარგლებში 3400 პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუს ხანგრძლივობა დაახლოებით 40-45 წუთს შეადგენდა.

კვლევის ინსტრუმენტები და ანალიტიკური ნაწილი დაამუშავეს “ესითი”-ს გუნდმა და მოწვეულმა ექსპერტმადავით ლოსაბერიძემ.

შერჩევის დიზაინისათვის გამოიყენეს ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით. შერჩევა განხორციელდა 2002 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე.

თითოეულ პირველად შერჩევის წერტილზე 10 რესპონდენტი გამოიკითხა, ხოლო მეორად შერჩევის წერტილზე (მინამეურნეობაში) - ერთი რესპონდენტი. რესპონდენტი შინამეურნეობაში შეირჩა ბოლო დაბადების დღის პრინციპით.

შერჩევის მოცულობის განაწილება რეგიონების, ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (**იხ.ცხრილი 1**)

ცხრილი 1- შერჩევის ზომა და განაწილება სტრატეგიში

შერჩევის ზომა	ქალაქი	სოფელი	სულ
	პროპორციული განაწილება	პროპორციული განაწილება	
თბილისი	400	0	400
კახეთი	60	240	300
შიდა ქართლი	110	190	300
ქვემო ქართლი	110	190	300
სამცხე-ჯავახეთი	100	200	300
აჭარა	140	160	300
გურია	80	220	300
სამეგრელო-ზემო სვანეთი	120	180	300
იმერეთი	140	160	300
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50	250	300
მცხეთა-მთიანეთი	80	220	300
სულ	1390	2010	3400

საერთო შერჩევითი ცდომილების გამოსათვლელად 95%-იანი სტატისტიკური მნიშვნელობა შეირჩა. 3400 ინტერვიუსთვის საერთო შერჩევითი ცდომილება 1.7%-1.8%-მდე მერყეობს. რეგიონებში შერჩევითი უზუსტობა არის 5.5%-6%, ხოლო თბილისში - 4.5%-5%, მაღალმთიანი ზონის დასახლებებში კი 4%-4.5%-მდე მერყეობს.

4. კვლევის გაზირება

საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და საკაბინეტო კვლევის მეთოდების კომპინაცია. მიუხედავად მეთოდოლოგიური გამართულობისა, საკვლევი სახელმწიფოსა და მუნიციპალური სერვისების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად ვერ გაანალიზდა თითოეული სერვისი. დაინტერესებულ მხარეებს კვლევა აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას საზოგადოებრივი მომსახურებების ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ, თუმცა სასურველი იქნებოდა თითოეულ სერვისთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება. კერძოდ, რა პრობლემებს ხედავს მოსახლეობა კონკრეტული საზოგადოებრივი სერვისების გამოყენების თვალსაზრისით, როგორ შეიძლება აღნიშნული სერვისების გაუმჯობესება და ა.შ.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 3400 პირისპირ ინტერვიუ მთელი საქართველოს მასშტაბით. მოცემული შერჩევის მოცულობა საქართველოს მონაცემების გასაანალიზებლად როგორც ეროვნულ დონეზე, ისე შემდეგი ჯგუფებისათვის: (1) თბილისი და ათი ადმინისტრაციული რეგიონი, (2) ქალაქები და სასოფლო დასახლებები, (3) მაღალმთიანი სოფლები და სხვა დასახლებები, (4) მომხმარებელთა ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები. აღნიშნული ჯგუფების დონეზე მონაცემთა ანალიზი მნიშვნელოვან და სასარგებლო ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა საზოგადოებრივი მომსახურების განვითარების და, ზოგადად, ამ სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით. თუმცა კვლევის ფარგლებში ვერ ხერხდება მონაცემთა ანალიზი მუნიციპალიტეტების დონეზე. მუნიციპალიტეტების ცალ-ცალკე დასახასიათებლად საჭირო იქნებოდა კვლევის შერჩევის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც მოცემული საბიუჯეტო და დროის რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, ვერ მოხერხდა.

კვლევის შერჩევის მოცულობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი შეზღუდვა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას უკავშირდება. დღესდღეობით საქართველოში თორმეტი თვითმმართველი ქალაქია. კვლევის შერჩევაში არ ყოფილა გათვალისწინებული ამ ქალაქების ინდივიდუალურად დასასიათების საკითხი, რაც ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ანალიზის თვალსაზრისით.

5. კვლევის შედეგები

მოცემულ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და დასკვნები. შედეგები გაანალიზებულია იმ ძირითადი საკითხების მიხედვით, რომლებიც შესწავლილია კვლევის ფარგლებში. ეს საკითხებია:

- სკოლამდელი, საშუალო და პროფესიული განათლება
- სოციალური დახმარება
- ჯანდაცვა
- რეკრეაცია, დასვენება და ტურიზმი
- კომუნალური ინფრასტრუქტურა
- გზები
- თვითმმართველობის მომსახურება
- სხვადასხვა მომსახურებები

ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის სიხშირული ანალიზი. ამასთან, მონაცემები გაანალიზებულია სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით, მაგალითად, დასახლების ტიპის, რეგიონის, სქესის და ა.შ. წარმოდგენილია მაღალმთიანი² სოფლებისა და სხვა ზონების შედარებაც. 2015 წლის კვლევის შედეგები ასევე შედარებულია 2013 წელს ჩატარებულ იმავე კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგები შეწონილია, რამაც შესაძლებელი გახადა მათი განზოგადება საქართველოს მასშტაბით.

კვლევის შედეგად მოგროვებული ინფორმაცია დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS 15.0-ის მეშვეობით. საკვლევი ცვლადის მაჩვენებლის სიხშირეთა განაწილების სანდოობის დასადგენად გამოყენებულია პირსონის ხი-კვადრატი - Pearson Chi Square, ხოლო საშუალო მაჩვენებლების სხვაობის სანდოობის შესაფასებლად - One-way Anova.

2 „მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრის (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დამოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაკლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში- 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.“ - საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალური-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ.

ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც სტატისტიკური ტესტების გამოყენების შედეგად, 95%-იანი ალბათობით სანდოალმოჩნდა.³

მონაცემების სიმრავლის გამო, ანგარიშში განხილულია მხოლოდ მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა მაჩვენებელს შორის, კვლევის შედეგების სრულად ნახვა კი ანგარიშის დანართშია შესაძლებელი (**იხ. დანართი 2**).

კვლევის შედეგებში ინტეგრირებულია თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციაც. ფოკუს ჯგუფებში დისკუსიები ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობების თემას შეეხო, ამიტომაც თვისებრივი კვლევის მონაცემები კონცენტრირებულია ქვეთავში - თვითმმართველობების ზოგადი შეფასება.

■ 5.1. სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლება⁴

კვლევის ფარგლებში შესწავლილია საჯარო სასწავლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის კმაყოფილების დონე აღნიშნული სერვისებით.

5.1.1 მუნიციპალური საბავშვო ბაღები

2013 და 2015 წლების კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობა (77%) აცხადებს, რომ მათ დასახლებაში/უბანში ფუნქციონირებს მუნიციპალური ბაღი. ყოველი მეოთხე რესპონდენტი ასევე ამბობს, რომ მათ დასახლებაში ან უბანში ბაღები არ არის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საბავშვო ბაღები ასეთი დასახლებებიდან/უბნებიდან 2-5 კილომეტრში ან კიდევ უფრო შორს მდებარეობს.

რეგიონის ჭრილში ქვემო ქართლის (62%) და სამცხე-ჯავახეთის (57%) დასახლებათა უმეტესობაში არ არის მუნიციპალური საბავშვო ბაღები. აღსანიშნავია, რომ ასეთ დასახლებათა 38%-ის შემთხვევაში უახლოესი მუნიციპალური საბავშვო ბაღი 5 კილომეტრზე უფრო შორ მანძილზე მდებარეობს. ამ კუთხით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმში/ქვემო სვანეთსა (48%) და აჭარაშიც (39%).


უნდა აღინიშნოს, რომ დასახლებებსა და უბნებში საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით სიტუაცია 2013 წლის შემდგომ საგრძნობლად გაუარესდა ქვემო ქართლის რეგიონში (19 პროცენტული ერთეულით), მაშინ, როდესაც ამ პერიოდში მდგომარეობა გაუმჯობესდა შიდა ქართლის რეგიონში (19 პროცენტული ერთეულით) (**იხ. გრაფიკი 1**).

3 სტატისტიკურად სანდო ნიშნავს სავარაუდო ჭეშმარიტებას (არა შემთხვევითობას). კვლევის დასკვნები შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ არა სანდო. როდესაც სტატისტიკოსი ამბობს, რომ შედეგი არის „სანდო“, იგულისხმება, რომ დიდი ალბათობით იგი სიმართლეს შეეფერება. აუცილებელი არ არის, რომ ამ დროს შედეგის მნიშვნელობაც იგულისხმებოდეს. მნიშვნელობის დონეები აჩვენებს, თუ რამდენად სავარაუდოა, რომ შედეგი შემთხვევითი იყოს. ყველაზე გავრცელებული დონე, რომელიც გულისხმობს, რომ რაღაც საქმაოდ სარწმუნოა, არის .95. ეს ნიშნავს, რომ დასკვნა 95%-ით სარწმუნოა. თუმცა, ეს მაჩვენებელი შესაძლოა შეცდომაში შემყვანიც იყოს. არც ერთი სტატისტიკური პაკეტი არ გაჩვენებთ „95%“-ს ან „95“-ს ამ დონის საჩვენებლად. მის მაგივრად გამოყენებული იქნება „05“, რაც ნიშნავს, რომ კვლევის დასკვნა ხუთ პროცენტიანი (.05) ალბათობით არის მცდარი, რაც 95%-იანი სარწმუნობის ალბათობის სანინალმდევროა.

4 კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები სრულად არის წარმოდგენილი დანართში 2

**გრაფიკი 1 – მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა დასახლებებში/ უბნებში
რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები**


სოფელში/უბანში ხელმისაწვდომია მუნიციპალური საბავშვო ბაღები



მაღალმთიან დასახლებებში მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია. ამ ტიპის დასახლებებში მხოლოდ ყოველი მესამე გამოკითხული რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ სოფლებში მუნიციპალური საბავშვო ბაღები ფუნქციონირებს (2013 – 35%, 2015 – 38%). გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ასევე ამბობს, რომ საბავშვო ბაღები მათი დასახლებებიდან 5 კილომეტრზე უფრო შორს მდებარეობს (2013 – 45%, 2015 – 41%).

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევის ორივე რაუნდის შედეგები ცხადყოფს, რომ სოფლებში ბევრად მეტი მაცხოვრებლისათვის არ არის ხელმისაწვდომი საბავშვო ბაღი ადგილობრივად (31%), ვიდრე ქალაქის მაცხოვრებელთათვის (13%). აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მეტი მოქალაქისთვისაა ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრასნპორტი უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბაღებამდე მისასვლელად როგორც სოფლად (25 პროცენტული ერთეულით ზრდა), ასევე ქალაქად (17 პროცენტული ერთეულით ზრდა). მოცემული მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდის პროპორციულად სოფლებში ასევე გაიზარდა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნილება (17 პროცენტული ერთეულით ზრდა) და, შესაბამისად, ბევრად დაიკლო იმ მოსახლეობის წილმა, ვისაც არ მიაჩნდა საჭიროდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბაღამდე მისასვლელად (42 პროცენტული ერთეულით კლება) (იხ. გრაფიკი 2).

**გრაფიკი 2 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა უახლოეს მუნიციპალურ
საბავშვო ბალებამდე ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები**




ზოგადად, 2013 წლის შემდგომივითარება გამოსწორებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. 2015 წელს მეტი რესპონდენტი აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომია უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბალებამდე მისასვლელად (2013 – 48%, 2015 – 67%).

რეგიონის ჭრილში მუნიციპალურ საბავშვო ბალებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის თვალსაზრისით, როგორც მოსალადნელი იყო, თბილისში ყველაზე კარგი მდგომარეობაა, კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად. დედაქალაქში თითქმის ყველა რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ უბანში საბავშვო ბალებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს (2013 – 92%, 2015 – 97%), მაშინ, როდესაც მხოლოდ ყოველი მეხუთე გამოკითხული ამბობს იმავეს კახეთის რეგიონში (2013 – 8%, 2015 – 18%). თუმცა აღსანიშნავია, რომ მდგომარეობა კახეთში ამ თვალსაზრისით გამოსწორებულია, რადგან გამოკითხულთა მხოლოდ 8% აცხადებდა იმავეს ამ რეგიონში 2013 წელს. ზოგადად, კვლევის შედეგების თანახმად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა 2013 წლის შემდგომ გაუმჯობესებულია საქართველოს ყველა რეგიონში.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა გამოსწორებულია **მაღალმთან დასახლებებშიც**. 2015 წელს გამოკითხული ადგილობრივი მაცხოვრებელების 42% აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომია მათ დასახლებებში უახლოეს საბავშვო ბალებამდე მისასვლელად, 2013 წელს კი რესპონდენტთა მხოლოდ 5% აცხადებდა იმავეს.


რესპონდენტებმა, ვის დასახლებასა ან უბანშიც ფუნქციონირებს მუნიციპალური საბავშვო ბალი, დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა და მომსახურება შეაფასეს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ეს კრიტერიუმებია: ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი, რეგისტრაციის პროცედურები, კვება და პედაგოგების მომზადების დონე. აღსანიშნავია, რომ შესაფასებელი ყველა კრიტერიუმის მიხედვით, საბავშვო ბალებით კმაყოფილების მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია 2013 წელთან შედარებით (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3 – მუნიციპალური საბავშვო ბალების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება – 2013-2015 წლების მონაცემები



ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: მუნიციპალურ საბავშვო ბალებში პედაგოგების მომზადების დონით 2015 წელს უკმაყოფილოა გამოკითხულ ქალთა მეტი რაოდენობა, ვიდრე კაცების (კაცი - 42%, ქალი - 76%). ოდნავ მეტი გამოკითხული ქალბატონი აცხადებს კმაყოფილებას საბავშვო ბალებში საკვებით და მენეჯმენტით, ვიდრე კაცი (საკვები: ქალი - 74%, კაცი - 69%; მენეჯმენტი: ქალი - 74%, კაცი - 70%) (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4 – მუნიციპალური საბავშვო ბალების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება სქესის ჭრილში- 2013-2015 წლების მონაცემები




2013 - შერჩევის ზომა N=2370

2015 - შერჩევის ზომა N=2140

ზოგადად, კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად, რესპონდენტების უმეტესობა კმაყოფილია მუნიციპალური საბავშვო ბალების მომსახურებით (2013 - 77%, 2015 – 89%). უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელთან შედარებით კმაყოფილების მაჩვენებელი გაზრდილია.


რეგიონის ჭრილში მუნიციპალური საბავშვო ბალებით ზოგადი კმაყოფილება მაღალია ყველა რეგიონში. თუმცაც მაჩვენებელი განსაკუთრებით მომატებულია ქვემო ქართლში, თბილისსა და კახეთში (იხ. გრაფიკი 5).

**გრაფიკი 5 – მუნიციპალური საბავშვო ბალებით ზოგადი კმაყოფილება
რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები**



საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზოგადი კმაყოფილება მუნიციპალური საბავშვო ბალებით საგრძნობლად გაზრდილია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით (2013 – 73%, 2015 – 88%) (იხ. გრაფიკი 6)

**გრაფიკი 6 – მუნიციპალური საბავშვო ბალებით ზოგადი კმაყოფილება ქალაქი/სოფლის
ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები**




2013 - შერჩევის ზომა N=1721

2015 - შერჩევის ზომა N=1770

ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: მამაკაცების კმაყოფილების მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით (2013 – 76%, 2015 – 91%) (იხ. გრაფიკი 7).

გრაფიკი 7 – მუნიციპალური საპავშვო ბალებით ზოგადი კმაყოფილება სქესის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები




5.1.2. საჯარო სკოლები

კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ დასახლებაში/უბანში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (2013 - 95%, 2015 – 88%). გამოკითხულთა მხოლოდ 5%-მა განაცხადა, რომ მათ დასახლებაში ან უბანში სკოლა არ არის და მხოლოდ 2-5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

აღმოჩნდა, რომ **რეგიონებს** შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობა რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთშია - აქ მაცხოვრებელი რესპონდენტების 39% აცხადებს, რომ მათ დასახლებებში არ არის საჯარო სკოლა. უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაცია ამ მხრივ გაუარესებულია აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (იხ. გრაფიკი 8).

**გრაფიკი 8 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა დასახლებებში/უბნებში რეგიონების
მიხედვით-2013-2015 ნლების მონაცემები**

სოფელში/უბანში ხელმისაწვდომია საჯარო სკოლები



2015 წელს რესპონდენტების უმრავლესობა (67%) აცხადებს, რომ მათ დასახლებებსა და უბნებში უახლოეს საჯარო სკოლებთან მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომია. 2013 წელს გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები აცხადებდა იმავეს (43%).


რეგიონების ჭრილობის ზოგადი ვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, გამოსწორებულია საქართველოს ყველა რეგიონში. თუმცა ისეთ დასახლებათა რაოდენობა, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომია, კვლავ საქმაოდ მცირეა: კახეთში (19%), ქვემო ქართლში (23%) და მცხეთა-მთიანეთში (32%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ რეგიონებში ასევე მაღალია იმ რესპონდენტების ნილი, ვინც უახლოეს საჯარო სკოლებამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრასპორტის საჭიროებას ვერ ხედავს (კახეთი: 2013 – 79%, 2015 – 53%; ქვემო ქართლი: 2013 – 58%, 2015 – 65%; მცხეთა-მთიანეთი: 2013 – 76%, 2015 – 52%).

მიუხედავად იმისა, რომ **მაღალმთიან დასახლებებში** ხუთჯერ მეტი რესპონდენტი აფიქსირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას უახლოეს საჯარო სკოლებამდე მისასვლელად (2013 – 7%, 2015 – 36%), მათი რიცხვი კვლავ საკმაოდ დაბალია.

იმ რესპონდენტებმა, რომელთა დასახლებაში ან უბანში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მომსახურება შეაფასეს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით: ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი, რეგისტრაციის პროცედურები, სამეურვეო საბჭო და პედაგოგების მომზადებების დონე. აღსანიშნავია, რომ შესაფასებელი ყველა კრიტერიუმის მიხედვით, საჯარო სკოლებით კმაყოფილების მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია 2013 წელთან შედარებით.


გამოკითხულთა უმრავლესობა გამოხატავს კმაყოფილებას და თითქმის არავინ აფიქსირებს უკმაყოფილებას (იხ. გრაფიკი 9).

გრაფიკი 9 – საჯარო სკოლების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება - 2013-2015 წლების მონაცემები



ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: 2015 წლის მონაცემების თანახმად, უფრო ნაკლები კაციაუკმაყოფილო პედაგოგების მომზადების დონით, ვიდრე ქალი (კაცი - 76%, ქალი - 81%) (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10 - საჯარო სკოლების სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილება სქესის ჭრილში-2013-2015 წლების მონაცემები



კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტების მხოლოდ ნახევარმა იცის, თუ ვის შეიძლება მიმართოს სკოლაში რაიმე საკითხის გასაჩივრებისთვის (48%). უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გათვითცნობიერების დონე ამ კუთხით ოდნავ გაუმჯობესდა 2013 წლითან შედარებით (2013 – 42%, 2015 – 48%). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობას არასოდეს გაუსაჩივრებია რაიმე სკოლაში (96% 2013-2015), ხოლო იმ რესპონდენტების უმრავლესობა, ვისაც აქვს გასაჩივრების გამოცდილება, კმაყოფილია მათ საჩივარზე რეაგირებით (2013 – 60%, 2015 – 56%).


ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა საჯარო სკოლებში საკითხის გასაჩივრების კუთხით. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: ზოგადად, ორივე კვლევის შედეგების თანახმად, მეტ გამოკითხულ ქალ რესპონდენტს გაუსაჩივრებია სკოლაში რაიმე საკითხი, ვიდრე მამაკაცს (2013: კაცი - 39%, ქალი - 45%; 2015: კაცი - 43%, ქალი - 53%).

მთლიანობაში, რესპონდენტების უმეტესობა კმაყოფილია საჯარო სკოლებით. უნდა აღინიშნოს, რომ კმაყოფილების მაჩვენებელი მცირდით გაიზარდა 2013 წელთან შედარებით (2013 – 80%, 2015 – 89%).

რეგიონებს შორის სკოლებით ზოგადი კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები


რეგიონებს შორის სკოლებით ზოგადი კმაყოფილების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იმერეთის რეგიონშია (97%). ეს მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით ყველა რეგიონში გაზრდილია. თუმცა ალსანიშნავია, რომ ყველაზე თვალსაჩინო ზრდა ამ თვალსაზრისით კახეთსა და ქვემო ქართლში შეინიშნება (20%-ით და 17%-ით) (იხ. გრაფიკი 11).

გრაფიკი 11 – საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები




საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილების მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მაცხოვრებლებში (იხ. გრაფიკი 12).

**გრაფიკი 12 – საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილება ქალაქი/სოფლის
ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები**



ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: კმაყოფილების მაჩვენებელი მამაკაცებში ოდნავ მეტად არის აწეული, ვიდრე ქალებში (12%-ით კაცებში და 7%-ით ქალებში) (იხ. გრაფიკი 13).

**გრაფიკი 13 – საჯარო სკოლებით ზოგადი კმაყოფილება
სქესის ჭრილში-2013-2015 წლების მონაცემები**




5.1.3. პროფესიული სასწავლებლები

ორივე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყოველი მესამე რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ რაიონში ხელმისაწვდომია პროფესიული სასწავლებელი (2013 - 31%, 2015 - 37%). უმეტეს შემთხვევაში (2013 - 44%, 2015 - 39%) გამოკითხულები ამბობენ, რომ ასეთი სასწავლებლები მათ რაიონში არ არის, ხოლო ყოველ მეოთხეს ინფორმაცია არ აქვს ამის შესახებ (2013 - 25%, 2015 - 24%). რესპონდენტების თანახმად, პროფესიულ სასწავლებლებამდე მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ამ თვალსაზრისით ვითარება გაუმჯობესებულია 2013 წელთან შედარებით (2013 - 78%, 2015 - 90%) (იხ. გრაფიკი 14).

გრაფიკი 14 – პროფესიული სასწავლებლების არსებობა მუნიციპალიტეტებში - 2013-2015 წლების მონაცემები

გთხოვთ მითხრათ, არის თუ არა თქვენს რაიონში/რეგიონში პროფესიული სასწავლებელი?



რეგიონებს შორის სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში არის პროფესიული სასწავლებლები (2013 – 27%, 2015 – 59%). საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის თვალსაზრისით, 2013 წელთან შედარებით, მდგომარეობა გაუმჯობესდულია თითქმის ყველა რეგიონში, რადგან 2015 წელს გამოკითხულთა უმრავლესობა პროფესიულ სასწავლებლებამდე მისასვლელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობას ადასტურებს.

2013 წელთან შედარებით, 2015 წელს **მაღალმთიან დასახლებებში** გამოკითხული მეტი რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლები ფუნქციონირებს (2013 – 27%, 2015 – 42%). ამ რესპონდენტების თანხმად, პროფესიულ სასწავლებელთა უმეტესობამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს.

რესპონდენტების უმრავლესობამ არ იცის, რა ღირს პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა (2013 – 51%, 2015 – 60%). ორივე კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ ნაწილი აცხადებს, რომ იცის, რა ღირს პროფესიულ სასახლებლებში სწავლა (2013 – 18%, 2015 – 15%). აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის საფასური მისაღებია რესპონდენტთა უმრავლესობისათვის (2013 – 62%, 2015 – 84%).


კვლევამ ცხადყო, რომ იმ რესპონდენტების უმრავლესობა, ვინც იცის მათ რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში არსებული პროფესიული სასწავლებლების შესახებ, კმაყოფილია მოცემული დაწესებულებებით (2013 – 67%, 2015 – 70%). ხოლო გამოკითხულთა მცირე ნაწილი, რომლებმაც უკმაყოფილება გამოთქვა პროფესიულ სასწავლებელთან დაკავშირებით, ამის მიზეზად, ძირითადად, სასწავლებელში სწავლის საფასურს ასახელებს.

რესპონდენტთა წილი, ვისაც სმენია მათ მუნიციპალიტეტებში/რეგიონებში მოქმედი პროფესიული სასწავლებლების შესახებ მცირეა, ამიტომ შეუძლებელია მოცემული მონაცემების **რეგიონების** და წლების ჭრილში გაანალიზება.

ყველა რესპონდენტმა დაასახელა **სამი სფერო**, რომელთა დაუფლებაც პრიორიტეტულია მათი მუნიციპალიტეტისთვის/რეგიონისთვის პროფესიულ სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ ორივე კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიულ სასწავლებლებში განათლების მისაღებად უპირატეს სამ სფეროდ სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სამშენებლო სფეროები გამოიკვეთა. ასევე პრიორიტეტული აღმოჩნდა ტურიზმისა და ადმინისტრაციული სფეროს პროფესიები (**იხ. გრაფიკი 15**).

**გრაფიკი 15 – პრიორიტეტული სფეროები რაიონში არსებული პროფესიული
სასწავლებლებისათვის - 2013-2015 წლების მონაცემები**

გთხოვთ დამისახელოთ მაქსიმუმ 3 სფერო, რომელი პროფესიების დაუფლებაც
პრიორიტეტულია თქვენი დასახლების მაცხოვრებლებისათვის პროფესიულ
სასწავლებელში?



2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

შენიშვნა: პასუხების ჯამი აღემატება 100 პროცენტს, რადგან რამდენიმე პასუხით დასაშვები.

თვისებრივი კვლევის შედეგები – განაპირობება

ფოკუს ჯგუფებში გამოვლინდა რესპონდენტების მაღალი კმაყოფილება მუნიციპალური საბავშვო ბაღებით. ამას განაპირობებს:

- ✓ ბოლო წლებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - რემონტი, სათანადო გათბობა, ახალი სათა-მაშები. იმ შემთხვევაშიც, როდესაც საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა მოკომავდებს, რესპონ-დენტებს აქვთ ინფორმაცია, რომ კონკრეტული ბაღის რეაბილიტაცია იგეგმება.
- ✓ კვების მაღალი ხარისხი -ძირითადად, გამოკითხულები სამჯერად და დაბალანსებულ კვებაზე საუბრობენ, თუმცა ერთეულ შემთხვევებში, რესპონდენტები უჩივიან კვების დაბალკალორიულობას და ერთფეროვნებას.
- ✓ მზრუნველი პერსონალი - საბავშვო ბაღის პერსონალით რესპონდენტები, ძირითადად, კმაყო-ფილები არიან. ამას განსაკუთრებით აღნიშნავენ სოფლების მკვიდრნი, სადაც ფიქრობენ, რომ დასახლების სიმცირე და ახლო ნათესაური ურთიერთობები სოფლის საბავშვო ბაღებში ბავშვებზე უკეთეს ზრუნვას განაპირობებს.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„გაურემონტებელიც კარგი იყო, მაგრამ ახლა ძალიან კარგად გააკეთეს (ბალი)... მოაწესრიგეს, ახალი ინტერიერი შეუქმნეს. ჩატარებული კარგი რემონტი, კვება გააუმჯობესეს. მენიუში ორჯერ აქვთ ხორცი - ერთხელ საქონლის და შემდეგ ქათმის. თევზიც შეიტანეს მენიუში წელს. მე საბავშვო ბალით ძალიან კმაყოფილი ვარ. გათბობა გინდა, თუ რა გინდა, ყველაფერი აქვთ მოწესრიგებული.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

„ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ახლა რემონტი მიდის (საბავშვო ბალში). კარგი არ იყო, წყალი არ იყო, აწვიმდა, ახლა კი რემონტი მიდის და საჭმელიც კარგია.“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]

საბავშვო ბალებთან დაკავშირებით, გამოკვეთილი პრობლემაა ქალაქებში ბალში დარეგისტრირება - რესპონდენტების განმარტებით, თუ მშობელი რამდენიმე თვით (და ზოგჯერ ერთი წლით) ადრე არ დაიჭერს თადარიგს, შესაძლოა, ბავშვი სასურველ ბალში ვერ მოხვდეს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებები უფრო არაერთგვაროვანია საჯარო სკოლებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც, საჯარო სკოლით კმაყოფილებას განაპირობებს:

- ✓ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, სკოლები, უმეტესად, გარემონტებულია ან მიმდინარეობს მათი რემონტი; ისინი, ძირითადად, აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში მკვეთრად განსხვავებული ვითარება შიდა ქართლის ერთ-ერთი სოფლის სკოლაში გამოვლინდა, სადაც რესპონდენტების განმარტებით, რემონტი არ ჩატარებულა და სკოლის ინფრასტრუქტურა გაპარტახებულია. დანარჩენ სკოლებში მდგომარეობას, ძირითადად, აღწერენ როგორც კარგს, ან მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელს მაინც.
- ✓ უფასო წიგნები - იმის მიუხედავად, რომ დამატებითი წიგნების და სხვადასხვა სასკოლო ინვენტარის შეძენას რესპონდენტები დიდ დანახარჯებს უკავშირებენ, სკოლებში სახელმძღვანელოების დარიგების გამო მკაფიო კმაყოფილება გამოითქვა.
- ✓ სოფლებში ასევე საგანგებოდ აღნიშნეს, რომ სასკოლო ავტობუსები მნიშვნელოვნად ამცირებს მოსწავლეთა დისკომფორტს გადადგილებისას და მშობლების დანახარჯებს ზოგავს.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„ჩვენს სოფელში, მაგალითად, ძალიან კარგად არის ყველაფერი, კლასშივე უდგათ კომპიუტერები, გაკვეთილი რომ უმთავრდებათ, რჩებიან, პირობები კარგიაქვთ. ცენტრალური გათბობა, წყალი, ყველაფერი აქვთ.“ [შიდა ქართლის სოფლის მაცხოვრებელი]

„სკოლა ბევრჯერ გაარემონტეს. დირექტორის დამსახურებაა - აწუხებს ყველას და აკეთებენ. სახურავიც ახალია, ფანჯრებიც, კარებიც. ინვენტარი და კომპიუტერები საკმარისია, კარგიც არის შედარებით, თუმცა უფრო მეტი კი გვინდა.“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]

„სკოლით კმაყოფილები ვართ ძალიან. რა პირობებიც უნდა იყოს, ის აქვთ. ყველაფერი შეცვალეს აბსოლუტურად. ეზოც კარგად აქვთ, დარბაზიც. ეს ჯერ კიდევ 2 წლის წინ გააკეთეს.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

„ჩვენი სკოლა, მაგალითად, მთლიანად გასაკეთებელია, არასდროს ჩატარებია რეაბილიტაცია, არც ახლა. რაც თავი მახსოვეს, ხელი არავის დაუკარებია. შარშან თქვეს, თითქოს უნდა დაეწყოთ, მაგრამ ხელი არ უხლიათ. არადა, ისე, დიდი სკოლაა.“ [შიდა ქართლის სოფლის მაცხოვრებელი]

სკოლების შეფასებისას რესპონდენტების მოსაზრებები იყოფა მიღებული განათლების ხარისხსა და მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით - რესპონდენტების ნაწილი კმაყოფილია შვილების მიღებული განათლებით, მეორე ნაწილი კი საუბრობს პედაგოგების არასათანადო კვალიფიკაციასა და ბავშვების მომზადების აუცილებლობაზე. თავის მხრივ, სკოლის მოსწავლეების მომზადების აუცილებლობას ორ ძირითად მიზეზს უკავშირებენ - პედაგოგს (მომზადების დაბალი დონის ან სურვილის გამო, რომ მიიღოს დამატებითი შემოსავალი მოსწავლის მომზადებაში) ან გართულებულ სასწავლო პროგრამას.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„ალბათ მასწავლებლები არ არიან მონდომებულები და ვერ უხსნიან ბავშვებს ნორმალურად და ვერ ასწავლიან. გადასცემს, რომ ეს უნდა ისწავლოს და გაუშვებენ სახლში, მეტი არაფერი. ჩემ დროს ძალიან დაღეჭილად გვიხსნიდნენ ყველაფერს, სახლში რომ მოვდიოდით, 2-3 წაკითხვა გვინდოდა და უკვე ვიცოდით.“ [ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრებელი]

„ახლა პროგრამა გაძლიერებულია, აძლევენ ბევრს და ვერ ასწრებენ ბავშვები ათვისებას. გინდა, თუ არ გინდა, უნდა მიაბარო (მასწავლებელს) იმიტომ, რომ ასეთი სისტემაა... მათემატიკა არის ძალიან რთულად, სხვანაირად არის, მასწავლებელი იტყვის, სკოლაში ვერ ვასწრებო დაუნდა მიაბარო იმიტომ, რომ ბავშვი ვერ ითვისებს მასალას.“ [ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრებელი]

სოფლების სკოლებთან დაკავშირებით ასევე აღინიშნა, რომ ზოგიერთ მათგანში სველი წერტილები გარეთ არის (წყალმომარაგების პრობლემის ან სოფელში ცენტრალური კანალიზაციის არარსებობის გამო). ამასთან, სკოლებში, ძირითადად, გათბობის პრობლემა მოგვარებულია, მაგრამ გაზის არარსებობის გამო, სოფლებში ღუმელების გამოყენება აბინძურებს გარემოს და არც მთლად უსაფრთხოა ბავშვებისთვის.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„გარეთ არის საპირფარეშო და პატარა ბავშვებისთვის ძალიან ცუდია იმიტომ, რომ ფეხი უსველდებათ, ტალახია, წყალია...“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]

„გათბობა გვაქვს ღუმელზე. მასწავლებელი ხომ 24 საათი კლასში ვერ დაჯდები, ან სამასწავლებლოში ადიხარ, ან გასვლა შეიძლება მოგინიოს და ამ მომენტში უსაფრთხო არ არის - შეიძლება ბავშვმა „სალიარკა“ ჩაასხას ან თვითონ მოინდომოს, რომ შეშა ჩაამატოს...“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]


ასევე, ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ სოფლის სკოლებში არის კომპიუტერული ტექნიკა, მაგრამ არ არის ინტერნეტი.

5.2. სხვადასხვა სოციალური მომსახურება

5.2.1. სოციალური დახმარება

კვლევამ მოიცვა სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხებიც. კითხვაზე, იღებს თუ არა რაიმე სოციალურ დახმარებას თავად რესპონდენტი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი, ზოგიერთმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ არანაირ დახმარებას არ იღებს სახელმწიფოს (2013 – 28%, 2015 – 14%). ამავდროულად, გამოკითხულთა უმეტესობა ფლობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას (2013 – 38%, 2015 – 72%). აღსანიშნავია, რომ 2013 წლის შემდგომ იმ მოქალაქეების წილი, ვინც არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, ბევრად ნაკლებია, ხოლო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციართა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ორივე კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტების 40% აცხადებს, რომ ისინი ან მათი ოჯახის წევრები იღებენ ასაკობრივ პენსიას (შენიშვნა: კვლევის რესპონდენტთა მხოლოდ 18%-ია პენსიონერი. იხ. გვერდი 111-112) (იხ. გრაფიკი 16).


გრაფიკი 16 – სოციალური დახმარება - 2013-2015 წლების მონაცემები



შენიშვნა: პასუხების ჯამი აღემატება 100 პროცენტს, რადგან რამდენიმე პასუხი იყო დასაშვები


სოციალური დახმარებების დროულად მიღების თვალსაზრისით, ორივე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოციალურ დახმარებას მოსახლეობის უმეტესობა დროულად იღებს. ყველაზე გავრცელებულ სოციალურ დახმარებებს შორის, 2013 წელს შედარებით დაბალი მაჩვენებელი მიღების თვალსაზრისით სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას ჰქონდა, თუმცა 2015 წელს ვითარება გაუმჯობესებულია ამ მომსახურებასთან მიმართებაშიც (იხ. გრაფიკი 17).

გრაფიკი 17 – სოციალური დახმარებით კმაყოფილება – დროულად მიღებული მომსახურება – 2013-2015 წლების მონაცემები



ორივე კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც უკვე ისარგებლა ამა თუ იმ სოციალური მომსახურებით, აცხადებს, რომ დახმარების მიღება/რეგისტრაციის პროცესი მარტივი იყო. თუმცა ალსანიშნავია, რომ სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის სოციალური მომსახურებით კმაყოფილების მაჩვენებელი (2013 – 73%, 2015 – 65%), ასევე კომუნალური სუბსიდიების მიღების მაჩვენებელი (2013 – 74%, 2015 – 56%) დაკლებულია 2013 წელთან შედარებით. სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სილარიბის საზომი ერთეულები შეიცვალა 2015 წელს (იხ. გრაფიკი 18).


გრაფიკი 18 – სოციალური დახმარებით კმაყოფილება – რეგისტრაციის სიმარტივე – 2013-2015 წლების მონაცემები



5.2.2. სახელმწიფო უფასო სასადილო

მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, მისი სახლიდან რა მანძილზე მდებარეობს უფასო სახელმწიფო სასადილო. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მეტი რესპონდენტი ფლობს ამ ინფორმაციას, ვიდრე 2013 წელს (2013 – 27%, 2015 – 35%). ეს მაჩვენებელი ქალაქში მცხოვრებთათვის უფრო მაღალია (2013 – 33%, 2015 -44%), ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებათა მაცხოვრებლებისათვის (2013 – 19%, 2015 -26%) (იხ. გრაფიკი 19).

გრაფიკი 19 – მანძილი უახლოეს უფასო სასადილომდე - 2013-2015 წლების მონაცემები




2013 და 2015 წლების კვლევების შედეგებით, მაღალმთიან სოფლებში გამოკითხული არცერთი რესპონდენტი არ აფიქსირებს მათ დასახლებებში უფასო სახელმწიფო სასადილოს არსებობას. ამ ტერიტორიებზე მხოლოდ ზოგიერთი გამოკითხული აცხადებს, რომ მსგავსი დაწესებულებები მათი დასახლებიდან 10 კილომეტრზე უფრო შორ მორ მანძილზეა (2013 – 23%, 2015 -15%).

იმ რესპონდენტების უმრავლესობამ, ვინც იცის, თუ სად მდებარეობს უფასო სასადილო, არ იცის, საკმარისია თუ არა სასადილოში ერთ კაცზე გამოყოფილი საჭმლის ულუფა (2013 – 69%, 2015 – 72%). ხოლო მათ შორის, ვისაც ულუფის ზომის შესახებ აქვს წარმოდგენა, 21% აცხადებს, რომ ულუფა საკმარისია, 8% კი ასე არ ფიქრობს (ულუფა საკმარისია: 2013 – 17%, 2015 – 21%; ულუფა არ არის საკმარისი: 2013 – 14%, 2015 – 8%).

რაც შეეხება უფასო სასადილოს მიერ შეთავაზებული ულუფის ხარისხს, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, ვინც იცის მოცემულ სასადილოებში პორციების მოცულობა, დადებითად აფასებს მათ ხარისხსაც (2013 – 65%, 2015 – 80%) (იხ. გრაფიკი 20).

გრაფიკი 20 – საკვების ხარისხი უახლოეს უფასო სასადილოში - 2013-2015 წლების მონაცემები


გთხოვთ მითხრათ, როგორ შეაფასებდით სახელმწიფო უფასო სასადილოში კვების ხარისხს?



5.2.3. სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური მომსახურების შეფასება

კვლევის ფარგლებში შეფასდა სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური მომსახურებით მოსახლეობის ზოგადი კმაყოფილება (იხ. გრაფიკი 21).

გრაფიკი 21 – სხვადასხვა სოციალური მომსახურების შეფასება - 2013-2015 წლების მონაცემები



ზემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით, ორივე კვლევის ფარგლებში ყოველი მესამე გამოკითხული თვლის, რომ სახელმწიფო კარგად უწყობს ხელს დასაქმებას, რაშიც იგულისხმება სპეციალური სააგენტოებისა და პროგრამების არსებობა. ყველაზე პოზიტიურად მოსახლეობა შემდეგ სფეროებზე ზრუნვას აფასებს: მოხუცებულთა თავშესაფრები, მოხუცებულთა სამედიცინო დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და ასევე იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სპეციალური სერვისების შეთავაზება.

5.3. პანდაცვა

5.3.1. ავადმყოფობის დროს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობა

საავადმყოფო

რესპონდენტებს ანმათი ოჯახის წევრებს ავადმყოფობის გამო ერთხელ მაინც მიუმართავს საავადმყოფოსათვის 2013, ასევე 2015 წელს (2013 – 42%, 2015 – 43%). უმეტეს შემთხვევაში, გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ საავადმყოფოები მათი დასახლებებიდან 5 კილომეტრზე უფრო შორ მანძილზე მდებარეობს (2013 – 55%, 2015 – 53%). მხოლოდ ზოგიერთი გამოკითხული აცხადებს, რომ იგი მათ დასახლებაშია (2013 – 19%, 2015 – 14%). აღსანიშნავია, რომ უფრო ხშირად, საავადმყოფოებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს (2013 – 90%, 2015 – 89%). იმ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ვისაც 2013 და 2015 წლებში მიუმართავს სავადმყოფოსათვის, კმაყოფილია იქ მიღებული მომსახურებით (2013 – 83%, 2015 – 88%) (იხ. გრაფიკი 22).

სოფლების შემთხვევაში სავადმყოფო, ჩვეულებრივ, 5 კილომეტრზე შორ მანძილზე მდებარეობს (2013 – 71%, 2015 – 75%). თუმცა სოფელში გამოკითხული რესპონდენტების თანახმად, თითქმის ყველგან მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (2013 – 93%, 2015 – 88%).

მაღალმთიან რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ ის საავადმყოფოები, რომლებსაც 2013 და 2015 წლებში მიმართეს, მათი დასახლებიდან 5 კილომეტრზე უფრო შორ მანძილზე მდებარეობს (2013 – 79%, 2015 – 86%). აღსანიშნავია, რომ მთიან რეგიონებში თითქმის არცერთი გამოკითხული არ აფიქსირებს მათ დასახლებაში საავადმყოფოს არსებობას (2013 – 3%, 2015 – 1%).

პოლიკლინიკა

თითქმის ყოველ მესამე რესპონდენტს, ანმისი ოჯახის წევრებს, ავადმყოფობის გამო ერთხელ მაინც მიუმართავს პოლიკლინიკისათვის 2013, ასევე 2015 წელს (2013 – 29%, 2015 – 33%). უმეტეს შემთხვევაში გამოკითხულები აღნიშნავდნენ, რომ პოლიკლინიკები მათ დასახლებაშივე მდებარეობს (2013 – 38%, 2015 – 40%). მხოლოდ ყოველი მეოთხე რესპონდენტი აცხადებდა, რომ პოლიკლინიკა მათი დასახლებიდან 5 კილომეტრზე შორ მანძილზე მდებარეობდა (2013 – 30%, 2015 – 25%). აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, პოლიკლინიკებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს (2013 – 86%, 2015 – 91%). იმ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ვისაც 2013 და 2015 წლებში მიუმართავს პოლიკლინიკებისათვის, კმაყოფილია იქ მიღებული მომსახურებით (2013 – 81%, 2015 – 89%) (იხ. გრაფიკი 22).

სოფლების შემთხვევაში პოლიკლინიკა, ჩვეულებრივ, 5 კილომეტრზე შორ მანძილზე მდებარეობს (2013 – 59%, 2015 – 64%). თუმცა სოფელში გამოკითხული რესპონდენტების თანახმად, თითქმის ყველგან მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (2013 – 89%, 2015 – 88%).


მაღალმთიან რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ ის პოლიკლინიკები, რომლებსაც 2013 და 2015 წლებში მიმართეს, მათი დასახლებებიდან 5 კილომეტრზე შორ მანძილზე მდებარეობს (2013 – 60%, 2015 – 77%). აღსანიშნავია, რომ მთიან რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების ძალიან მცირე წილი აფიქსირებს მათ დასახლებებში პოლიკლინიკის არსებობას (2013 – 15%, 2015 – 7%).

ამბულატორია / მედპუნქტი

გამოკითხულთა მხოლოდ ნაწილი აცხადებს, რომ მას ანმისი ოჯახის წევრებს ავადმყოფობის გამო ერთხელ მაინც მიუმართავს ამბულატორიისათვის 2013, ასევე 2015 წელს (2013 – 14%, 2015 – 19%). უმეტეს შემთხვევაში, გამოკითხულები აღნიშნავდნენ, რომ ამბულატორიები მათ დასახლებებშივე მდებარეობს (2013 – 57%, 2015 – 68%). მხოლოდ ზოგიერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ ამბულატორია მათი დასახლებიდან 5 კილომეტრზე შორ მანძილზე მდებარეობდა (2013 – 15%, 2015 – 8%). აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ამბულატორიამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს (2013 – 63%, 2015 – 70%). იმ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ვისაც 2013 და 2015 წლებში მიუმართავს ამბულატორიებისათვის, კმაყოფილია იქ მიღებული მომსახურებით (2013 – 88%, 2015 – 93%) (იხ. გრაფიკი 22).

გრაფიკი 22 – საავადმყოფოების/პოლიკლინიკების/მედიცუნქტების მომსახურებით კმაყოფილება- 2013-2015 წლების მონაცემები

შემდეგ სამედიცინო დაწესულებებში მიღებული მომსახურებით კმაყოფილების მაჩვენებელი



რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ მოცემულ სამედიცინო დაწესებულებებში განვითარებისათვის გადახდილი საფასური სავსებით მისაღებია (2013 – 22%, 2015 – 40%), ხოლო გამოკითხულების თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ფასები სამედიცინო მომსახურებისათვის მეტნაკლებად მისაღებია (2013 – 46%, 2015 – 43%).

5.3.2. სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვიანობა პროფილაქტიკის მიზნით

საავადმყოფო

რესპონდენტების მხოლოდ ნაწილი აცხადებს, რომ 2013, ასევე 2015 წელს ერთხელ მაინც მიუმართავს საავადმყოფოსათვის პროფილატიკური გამოკვლევების მიზნით (2013 – 12%, 2015 – 16%). მათი აპსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია იქ მიღებული მომსახურებით (2013 - 88%, 2015 - 89%). გამოკითხულთა თითქმის ნახევარი საავადმყოფოში პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილ საფასურს მისაღებად მიიჩნევს (2013 - 49%, 2015 – 45%), მაშინ, როცა რესპონდენტების დიდი ნაწილისათვის იქ გადახდილი საფასური ძვირია (2013 – 40%, 2015 – 30%). აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით, 2015 წელს ნაკლები გამოკითხული აფასებს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევებისათვის გადახდილ საფასურს როგორც ძვირს (**იხ. გრაფიკი 23**).

პოლიკლინიკა


რესპონდენტების მხოლოდ ნაწილი აცხადებს, რომ 2013, ასევე 2015 წელს ერთხელ მაინც მიუმართავს პოლიკლინიკისათვის პროფილატიკური გამოკვლევების მიზნით (2013 – 12%, 2015 – 16%). მათი აპსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია იქ მიღებული მომსახურებით (2013 - 85%, 2015 – 90%). გამოკითხულების თითქმის ნახევარი პოლიკლინიკაში სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილ საფასურს მისაღებად მიიჩნევს (2013 - 56%, 2015 – 49%), მაშინ, როცა რესპონდენტების ნაწილისათვის იქ გადახდილი საფასური ძვირია (2013 – 33%, 2015 – 22%). აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით 2015 წელს ნაკლები გამოკითხული აფასებს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევებისათვის გადახდილ საფასურს, როგორც ძვირს (**იხ. გრაფიკი 23**)

ამბულატორია / მედპუნქტი

რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ 2013, ასევე 2015 წელს ერთხელ მაინც მიუმართავს ამბულატორიებისათვის პროფილატიკური გამოკვლევების მიზნით (2013 – 4%, 2015 – 7%). მათი აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია იქ მიღებული მომსახურებით (2013 – 84%, 2015 – 89%). გამოკითხულების თითქმის ნახევარი ამბულატორიებში სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილ საფასურს მისაღებად მიიჩნევს (2013 – 48%, 2015 – 44%), ხოლო ნაწილისათვის იქ გადახდილი საფასური ძვირია (2013 – 40%, 2015 – 21%). აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით, 2015 წელს ნაკლები გამოკითხული აფასებს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევებისათვის გადახდილ საფასურს, როგორც ძვირს (იხ. გრაფიკი 23).

გრაფიკი 23 – საავადმყოფოებში/პოლიკლინიკებში/მედპუნქტებში სამედიცინო მომსახურების საფასურისადმი დამოკიდებულება-2013-2015 წლების მონაცემები

ფასები ძვირია სამედიცინო მომსახურებაზე შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში




5.3.3. სასწრაფო სამედიცინო დახმარება

გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ უსარგებლიათ პირველადი სამედიცინო დახმარების მომსახურებით 2013, ასევე 2015 წელს (2013 – 39%, 2015 – 42%). მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ გამოძახებული სასწრაფო დახმარება დროულად მოვიდა დასახმარებლად (2013 – 90%, 2015 – 89%). გამოკითხულთა უმეტესობა ასევე კმაყოფილია განეული პირველადი სამედიცინო მომსახურებით (2013 – 91%, 2015 – 90%) (იხ. გრაფიკი 24).

გრაფიკი 24 – სასწრაფო დახმარების მომსახურებით კმაყოფილება - 2013-2015 წლების მონაცემები

ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ სასწრაფოს მომსახურებით?




5.3.4. მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრები

ორივე კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მოსახლეობაში ტარდება პროფილაქტიკური აცრები სახელმწიფო პროგრამით (2013 - 74%, 2015 - 72%). თუმცა ამ რესპონდენტების მხოლოდ მეოთხედს გაუკეთებია პროფილაქტიკური აცრა 2013 და 2015 წელს (2013 - 27%, 2015 - 28%). მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მოცემული აცრისთვის არანაირი საფასური არ გადაუხდია (2013 - 81%, 2015 - 91%). გამოკითხულების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აღნიშნავს საპირისპიროს (2013 - 16%, 2015 - 9%) და მათი უმრავლესობა ამ საფასურს მისაღებად და იაფადაც კი მიიჩნევს (2013 - 49%, 2015 - 94%). აღსანიშნავია, რომ კვლევის ორივე რაუნდის ფარგლებში რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია გაწეული მომსახურებით (2013 - 96%, 2015 - 97%) (იხ. გრაფიკი 25).

**გრაფიკი 25 – მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრებით კმაყოფილება-
2013-2015 წლების მონაცემები**


კმაყოფილი ხართ მიღებული მომსახურებით?



რეგიონების ჭრილში აღსანიშნავია თბილისი, სადაც პროფილაქტიკურ აცრებს ყველაზე ნაკლები მოქალაქე იტარებს მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას მათ შესახებ (2013 - 73%, 2015 - 63%) (იხ. გრაფიკი 26).

**გრაფიკი 26 – მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრებით უზრუნველყოფა
რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები**

ტარდება თუ არა პროფილაქტიკური აცრები მოსახლეობისათვის სახელმწიფო პროგრამით?




5.3.5. პირუტყვის/შინაური ცხოველების აცრები

ორივე კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ პირუტყვისათვის პროფილაქტიკური აცრები სახელმწიფო პროგრამით ტარდება (2013 - 49%, 2015 - 67%). მათ ნახევარს გაუკეთებია პროფილაქტიკური აცრა საკუთარი შინაური ცხოველებისათვის/ფრინველებისათვის 2013, ისევე როგორც 2015 წელს (2013 - 50%, 2015 - 47%). ამ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მოცემული აცრისთვის მათ საფასური არ გადაუხდიათ (2013 - 85%, 2015 - 91%), ხოლომათი უმრავლესობა, ვისაც გადაუხდია აცრის ღირებულება, ამ საფასურს მისაღებად მიიჩნევს (2013 - 66%, 2015 - 58%). აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტების მესამედი, ვინც 2015 წელს ისარგებლა მოცემული სერვისით, ამისათვის გადახდილ საფასურს იაფადაც კი თვლის (2013 - 18%, 2015 - 33%). ზოგადად, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია გაწეული მომსახურებით (2013 - 97%, 2015 - 99%) (იხ. გრაფიკი 27).

გრაფიკი 27 – პირუტყვის/შინაური ცხოველების ვაქცინაციით კმაყოფილება - 2013-2015 წლების მონაცემები


რამდენად კმაყოფილი ხართ მიღებული მომსახურებით?



რეგიონებს შორის აღსანიშნავია თბილისი, სადაც რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს გაუკეთებია პროფილაქტიკური აცრა შინაური ცხოველებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში როგორც 2013, ასევე 2015 წელს (2013 - 13%, 2015 - 6%). საგულისხმოა, რომ სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს აუცრია პირუტყვი ბოლო 12 თვის განმავლობაში (2013 - 61%, 2015 - 67%) (იხ. გრაფიკი28).

გრაფიკი 28 – პირუტყვის/შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრებით უზრუნველყოფა რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები

ტარდება თუ არა პროფილაქტიკური აცრები პირუტყვისათვის სახელმწიფო პროგრამით?




5.3.6. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები

რესპონდენტების თითქმის ნახევარს სმენია ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებისშესახებაც (2013 - 45%, 2015 - 49%), თუმცა მხოლოდ მათ მეხუთედს მიუღია ეს მომსახურებები მოცემული პროგრამების ფარგლებში (2013 - 19%, 2015 - 18%). ამ რესპონდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული სერვისით (2013 - 81%, 2015 - 93%) (იხ. გრაფიკი 29).

გრაფიკი 29 – ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ცნობადობა -
2013-2015 წლების მონაცემები

გსმენიათ თუ არა ჯანდაცვის რაიმე სხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ?



მაღალმთიან რეგიონებში ყველაზე ნაკლებ გამოკითხულს სმენია ჯანდაცვის რაიმე სხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ (მაღალმთიანი: 2013 - 33%, 2015 - 30%; არამაღალმთიანი: 2013 - 46%, 2015 - 50%).


ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით კმაყოფილების თვალსაზრისით, არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოვლინდა გარკვეული ტენდენცია: უფრო მეტ გამოკითხულ ქალს სმენია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ (ქალი: 2013 - 46%, 2015 - 51%; კაცი: 2013 - 43%, 2015 - 46%) და ასევე მეტი ქალია კმაყოფილი ამ პროგრამების ფარგლებში მიღებული მომსახურებით, ვიდრე კაცი (ქალი: 2013 - 87%, 2015 - 96%; კაცი: 2013 - 73%, 2015 - 90%).

5.3.7. ზოგადი კმაყოფილება ჯანდაცვის სისტემით

საქართველოში 2013 წელს გამოკითხულთა მხოლოდ მესამედი იყო კმაყოფილი ჯანდაცვის სისტემით (34%) მაშინ, როდესაც 2015 წელს რესპონდენტების უმეტესობა (64%) იმავეს აცხადებს. 2015 წელს ჯანდაცვის სისტემით უკმაყოფილების მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია (2013 - 21%, 2015 - 8%). თუმცა უკმაყოფილების ძირითად მიზეზად მათი უმრავლესობა კვლავაც მკურნალობის საფასურს ასახელებს (იხ. გრაფიკი 30).

გრაფიკი 30 – ზოგადი კმაყოფილება ჯანდაცვის სისტემით - 2013-2015 წლების მონაცემები

ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ ჯანდაცვის სისტემის მუშაობით საქართველოში?



ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. საქართველოში გამოკითხული ქალების და კაცების თითქმის იდენტური წილი გამოხატავს კმაყოფილებას ზოგადად ჯანდაცვის სისტემით (2013: კაცი - 36%, ქალი - 38%, 2015: კაცი - 62%, ქალი - 66%).

თვისებრივი კვლევის შედეგები-ჯანდაცვა

სამედიცინო მომსახურებაზე საუბრისას, ჯგუფურ დისკუსიებზე ყველაზე აქტიურად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას განიხილავენ. ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამაც აჩვენა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით კმაყოფილები არიან, თუმცა მის განხორციელებაში გარკვეულ ხარვეზებს ხედავენ. კმაყოფილებას განაპირობებს სამედიცინო მომსახურების სრულიად უფასოდ, ან მხოლოდ მინიმალური თანამონანილეობით, მიღების შესაძლებლობა, რამაც რესპონდენტთა განმარტებით, ბევრ ადამიანს მისცა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ერთადერთი შანსი.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„მე გავიკეთე გულის ოპერაცია. 70% დამიტინანსეს, 30 % მე გადავიხადე. დიდი მადლობელი და კმაყოფილი ვარ.... ძალიან მადლობელი ვარ, რომ გადავრჩი. სიტყვაზე, რომ უნდა გადამეხადა 10000, გადავიხადე 3000. როგორ არ ვთქვა...“ [შიდა ქართლის სოფლის მაცხოვრებელი]

„სექტემბერში ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე. მისვლის წუთიდან არაფერი გადაგვიხდია. ექიმებს და ექთნებასაც ვერ დავემდურები იმიტომ, რომ საკმაოდ კარგი ექიმები და ექთნები შეგვხვდა.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

„მე ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ. საკეისრო გავიკეთე და დამიტინანსეს ბოლომდე. უფასოა მშობიარობაც და როცა გჭირდება, საკეისროც უფასოა.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

კმაყოფილებასთან ერთად, რესპონდენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელებისას გარკვეული სირთულეების გამო. კერძოდ, მათი განმარტებით:

- ✓ არსებობს გარკვეული შეზღუდვები მთელ რიგ სამედიცინო მომსახურებებზე - ისინი არ ფინანსდება (მაგალითად, სხვადასხვა სახის ანალიზი, ოპერაციები).

- ✓ არ ან ნაწილობრივ ფინანსდება მედიკამენტების შეძენა და პროგრამა არ ითვალისწინებს პაციენტის რეაბილიტაციის თანხებს.
- ✓ პაციენტს არ აქვს უფლება, ერთი სამედიცინო ობიექტიდან მეორეში გადავიდეს- გამოკითხულების ინფორმაციით, ისინი ვალდებული არიან, მკურნალობის კურსი იქვე დაასრულონ, სადაც თავდაპირველად მიმართეს ექიმს.
- ✓ პაციენტს შეიძლება გაუჭირდეს იმის გარკვევა, რა ტიპის შეღავათი ეკუთვნის - გამოკითხულები ამას ზოგჯერ სამედიცინო პერსონალის არაკეთილსინდისიერებას მიაწერენ, ზოგჯერ კი იმასაც უშვებენ, რომ ზუსტი ინფორმაცია არც მათ აქვთ.
- ✓ ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, სამედიცინო დაწესებულებები დაინტერესებულები არიან, მინიმალური ღირებულების მომსახურება გაუწიონ პაციენტებს და ამაში „მიიღონ პრემიები“. ამავ-დროულად, ისინი ფიქრობენ, რომ წლის ბოლოს სამედიცინო მომსახურების გაწევის ლიმიტი სახელმწიფოს ამოწურული აქვს.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„სიმამრი მყავდა მიყვანილი ღუდუშაურში, გავუკეთეოპერაცია, 100%-ით გადავიხადე ყველაფერი. მერე გაირკვა, რომ 70% საყოველთაო ჯანდაცვას უნდა გადაეხადა. ჩემი სიმამრის ანგარიშის ნომერი მიმატანინეს, დაგირიცხავთ თანხასო, ლამის 1 წელი გავიდა და ჯერ არაფერი დარიცხულა. 5-6 ჯერ ჩასვლა თუ მომიწევს, რაღა აზრი აქვს? მაგათი იყოს ეგ ფული.“ [შიდა ქართლის სოფლის მაცხოვრებელი]

„წლის მეორე ნახევარში შეინიშნება, თითქოს გაფრთხილებულები არიან, რომ ეცადონ, ამ დაფინანსებაში ჩასმული ოპერაციები შეამცირონ.... რაც შეიძლება დაასტაბილურებენ სიტუაციას... თითქოს რაღაცა ლიმიტი ამოწურა.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

ზემოაღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ აღნიშნული პროგრამის მაღალი ღირებულება და ყველა დისკუსიის დროს გამოითქვა იმედი, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გაგრძელდება.

რაც შეეხება თავად ჯანდაცვის ობიექტებსა და მათით კმაყოფილებას (ამბულატორიები, პოლიკლინიკები, საავადმყოფოები), თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების აქვთ აღნიშნული ობიექტებით როგორც კმაყოფილების, ასევე უკმაყოფილების მიზეზები. განული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებისას გვხვდებიან ძალიან კმაყოფილი რესპონდენტები, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებათ ექიმების მაღალ პროფესიონალიზმში. ზოგიერთი კი ძალიან უკმაყოფილო და მიღებულ მომსახურებას სრულიად უხარისხოდ თვლის, ამიტომ საკუთარ სოფელში/ქალაქში მკურნალობას, ხშირად, ადმინისტრაციულ ცენტრსა ან დედაქალაქში მკურნალობას ამჯობინებს. უკმაყოფილების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს არაფორმალური გადასახადი, რომელიც შეიძლება მოითხოვოს ექიმმა/საავადმყოფომ, ან რომელსაც პაციენტი იხდის საკუთარი ინიციატივით და ამას, უბრალოდ, „ექიმის პატივისცემად“ თვლის. რაიონულ საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში ასევე პრობლემურია რიგები.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„მომწონს 70%-ს რომ აფინანსებენ, მაგრამ ის არ მომწონს, რომ ექთანს ფული რომ არ მისცე, ელემენტარულად არ მოგხედავს, ნემსს არ გაგიკეთებს.“ [ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრებელი]

„კმაყოფილი ვარ იმით, რომ თანხა არ მქონდა იმდენი გადასახდელი, მაგრამ გააჩნია, რა სახის მომსახურებას გაგინევენ. ჩვენთან მაინცდამაინც მაღალ დონეზე არ არის მომსახურება.“ [სამეცნიეროს სოფლის მაცხოვრებელი]


სასწრაფო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, ძირითადად, კიბიკოფილები არიან მიღებული სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ხარისხით და ექიმების პროფესიონალიზმით. მცირედ უკიბიკოფილებას იწვევს სასწრაფო დახმარების მანქანების გვიან მისვლა ადგილზე, თუმცა რესპონდენტები ამას ობიექტურ მიზეზებს - მანქანების სიმცირეს და გზების არასახარბიელო მდგომარეობას (განსაკუთრებით, სოფლებში) უკავშირებენ.

5.4. რეპრეაცია, დასვენება და კულტურა

2013 და 2015 წლების კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში ყოველ მეხუთე დასახლებაში არ არის: თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, საზოგადოებრივი პარკი, სათამაშო მოედანი და კულტურის სახლი (2013 – 16%, 2015 – 20%). მოცემული ფაქტი შეიძლება იმით აიხსნას, რომ კულტურის სახლები, ჩვეულებრივ, უფრო სოფლებში გვხვდება და არა ქალაქებში, ხოლო თეატრები და მუზეუმები პირიქით - ძირითადად, ქალაქებში. ორივე კვლევის შედეგებით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდანყველაზე გავრცელებული სპორტული მოედნები აღმოჩნდა (2013 – 71%, 2015 – 72%) (იხ. გრაფიკი 31)


გრაფიკი 31 – კულტურული/დასასვენებელი ინფრასტრუქტურის არსებობა დასახლებებში/ უბნებში - 2013-2015 წლების მონაცემები

არის თუ არა თქვენს დასახლებაში/ქალაქში მოქმედი გასართობი/დასასვენებელი ადგილები?




სოფლის მოსახლეობის 42%-მა განაცხადა, რომ მათ დასახლებებში არ ფუნქციონირებს არანაირი რეკრეაციული, დასასვენებელი და კულტურული ადგილი მაშინ, როდესაც ქალაქში თითქმის არცერთი გამოკითხული არ ამბობს იმავეს. სოფლის ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა ნახევარი აღნიშნავს, რომ მათ დასახლებებში სპორტული მოედნები არის, ხოლო ყოველი მეოთხე ადასტურებს ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების არსებობას. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურის სახლი უფრო სოფლებისთვის არის დამახასიათებელი, მათი მოცემული რაოდენობა უჩვენებს, რომ მდგომარეობა ამ კულტურული მდიმეა (იხ. გრაფიკი 32).

გრაფიკი 32 – კულტურული/დასასვენებელი ინფრასტრუქტურის არსებობა დასახლებებში/ უბნებში სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები




კვლევის შედეგების თანახმად, **მაღალმთიან რეგიონებში** არ ფუნქციონირებს თეატრები, მუზეუმები და საზოგადოებრივი პარკები. მოცემულ ზონაში გამოკითხულთა 41% ასევე ადასტურებს დასასვენებელ-გასართობი ინფრასტრუქტურის არარსებობას (2013 – 33%). კულტურის სახლებიც კი მაღალმთიანი ზონის დასახლებების მხოლოდ 20%-ში ფუნქციონირებს (**იხ. გრაფიკი 33**).

გრაფიკი 33 – კულტურული/დასასვენებელი ინფრასტრუქტურის არსებობა დასახლებებში/ უბნებში მაღალმთიანი და სხვა ზონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები



დასახლებებში არსებული კულტურის სახლების მდგომარეობას მხოლოდ ყოველი მესამე გამოკითხული აფასებს პოზიტიურად (33%). ალსანიშნავია, რომ რესპონდენტების ნახევარზე მეტი მათ ქალაქებში არსებული თეატრებისა და მუზეუმების მდგომარეობას დადებით შეფასებას აძლევს (თეატრი: 56%, მუზეუმი: 55%) (**იხ. გრაფიკი 34**).


**გრაფიკი 34 – დასახლებებში/უბნებში არსებული კულტურული/დასასვენებელი
ინფრასტრუქტურის შეფასება - 2013-2015 წლების მონაცემები**



რესპონდენტთა უმრავლესობა მათ დასახლებებში ყველაზე პრიორიტეტულად სპორტული მოედნების გამართულ ფუნქციონირებას ასახელებს (2013 - 52%, 2015 - 58%). მუზეუმების გამართული მუშაობა მათი დასახლებებისათვის პრიორიტეტულად ყველაზე ცოტა გამოკითხულმა დასახელა (2013 - 14%, 2015 - 16%).

სოფლის მოსახლეობისათვის უფრო პრიორიტეტულია კულტურის სახლების გამართული ფუნქციონირება, ხოლო ქალაქის მაცხოვრებლებისათვის - საზოგადოებრივი პარკების მოწყობა. სპორტული მოედნები ყველა ტიპის დასახლებისათვის თანაბრად პრიორიტეტულია (იხ. გრაფიკი 35).

**გრაფიკი 35 – პრიორიტეტული გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა სოფელი/
ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები**



ქალი/კაცის ჭრილში, პრიორიტეტული გასართობ-დასასვენებელი ადგილების თვალსაზრისით, არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. ოდნავ მეტი გამოკითხული კაცი აცხადებს, რომ მათ დასახლებებში სათამაშო მოედნების ფუნქციონირებაა პრიორიტეტული, ვიდრე ქალი (ქალი: 2013 – 52%, 2015 – 56%; კაცი: 2013 – 52%, 2015 – 60%).


5.5. კომუნალური ინფრასტრუქტურა

კვლევის ფარგლებში შესწავლითია კომუნალური ინფრასტრუქტურის საკითხები, როგორიცაა წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა, ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგება, ნარჩენების გატანა და დასუფთავება.

5.5.1. წყალმომარაგება


კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას აქვს ცენტრალური წყალმომარაგება (2013 – 68%, 2015 – 69%). არსებითი სხვაობა გამოვლინდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგების ცენტრალიზებულ სისტემასთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ორივე კვლევის შედეგებით, ქალაქში მცხოვრები ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას ხელი მიუწვდება წყლის ცენტრალურ სისტემაზე (2013 – 93%, 2015 – 95%) მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს აქვს წვდომა მოცემულ სერვისზე (2013 – 40%, 2015 – 41%). იქიდან გამომდინარე, რომ მაღალმთიანი დასახლებები, ძირითადად, სოფლის ტიპისაა, ცენტრალიზებულ წყალმომარაგებაზე წვდომა მოცემულ ზონაში კიდევ უფრო დაბალია (2013 – 26%, 2015 – 32%) (იხ. გრაფიკი 36).

გრაფიკი 36 – ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის ხელმისაწვდომობა მაღალმთიან და სხვა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები




ცენტრალური წყალმომარაგება ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი დედაქალაქშია, სადაც ყველა რესპონდენტს აქვს წვდომა მოცემულ კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე (2013 – 99%, 2015 – 100%). მოცემული კომუნალური ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორებულია მცხეთა-მთიანეთსა (2013 – 49%, 2015 – 87%) და სამეგრელო/ზემო სვანეთში (2013 – 32%, 2015 – 53%) (იხ. გრაფიკი 37).

გრაფიკი 37 – ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონების ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები




იმ მოსახლეობის უმეტესობა, რომელსაც აქვს ცენტრალური წყალმომარაგება, აცხადებს რომ წყალი სასმელად ვარგისია (2013 – 77%, 2015 – 79%) და ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მიეწოდება (2013 – 65%, 2015 – 67%). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ყოველ მეოთხე გამოკითხულს დღის განმავლობაში გარკვეული გრაფიკი აქვს დაწესებული (24% 2013-2015). რესპონდენტთა უმეტესობისათვის ცენტრალიზებულად მიწოდებული წყალი თითქმის ყოველთვის საკმარისია საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (2013 – 68%, 2015 – 72%) მაშინ, როდესაც ყოველი მეხუთე გამოკითხული წყლის მოცულობას ყოველთვის საკმარისად არ მიიჩნევს (2013 – 19%, 2015 – 18%). აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში მეტი რესპონდენტი გამოითქვამს ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის რაოდენობით კმაყოფილებას, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებაში (იხ. გრაფიკი 38).

**გრაფიკი 38 – წყალმომარაგებით კმაყოფილება სოფელი/ქალაქის ჭრილში -
2013-2015 წლების მონაცემები**




სხვა რეგიონებთან შედარებით, ცეტრალური წყალმომარაგებით ყველაზე ნაკლები რესპონდენტია კმაყოფილი იმერეთსა (2013 – 44%, 2015 – 37%) და კახეთში (2013 – 59%, 2015 – 43%). უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია გურიაში (2013 – 40%, 2015 – 67%), ხოლო სამეგრელო/ზემო სვანეთში კმაყოფილების მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად დაიკლო (2013 – 90%, 2015 – 60%). მოცემულ რეგიონებში ორი რაუნდის მონაცემებს შორის სხვაობას, შესაძლოა, განაპირობებდეს ამ რეგიონებში მსგავსი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებლებიც. რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში ცენტრალიზებული წყალმომარაგების სერვისი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, მოცემული მომსახურების არსებობაც კი უკვე ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილებას იწვევს. ალბათ ამიტომაცაა, რომ მოცემულ რეგიონში ყველა რესპონდენტი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ცენტრალიზებული წყალმომარაგება, ამ სერვისს დამაკმაყოფილებლად აფასებს (100%) (იხ. გრაფიკი 39).

**გრაფიკი 39 – წყალმომარაგებით კმაყოფილება რევიონების ჭრილში -
2013-2015 წლების მონაცემები**



რესპონდენტთა ნახევარი აცხადებს, რომ სულადობის მიხედვით იხდის წყლის გადასახადს (2013 – 61%, 2015 – 50%), ხოლო ყოველი მესამე გამოკითხული – მრიცხველის მიხედვით (2013 – 23%, 2015 – 32%). წყლის საფასური გამოკითხული ოჯახების უმეტესობისათვის მისაღებია (2013 – 56%, 2015 – 61%), თუმცა ყოველი მეოთხე რესპონდენტისათვის ამ საფასურის გადახდა რთულია (2013 – 32%, 2015 – 24%). უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებში გამოკითხული ბევრად მეტი რესპონდენტი აცხადებს, რომ წყლის გადასახადი მიუღებელია მათი ოჯახებისათვის, ვიდრე სოფლებში. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მოსახლეობის თითქმის ნახევარს არ აქვს პასუხი მოცემულ კითხვაზე (იხ. გრაფიკი 40).


**გრაფიკი 40 – ნყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა სოფელი/ქალაქის ჭრილში -
2013-2015 წლების მონაცემები**



5.5.2. საკანალიზაციო სისტემა


საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ნახევარი აცხადებს, რომ მათ დასახლებაში არის საკანალიზაციო სისტემა (2013 – 50%, 2015 – 52%). აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს საკანალიზაციო სისტემის არსებობას (2013 – 90%, 2015 – 93%), ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში მოსახლეობის დაახლოებით იგივე ნილი აცხადებს, რომ მათ დასახლებაში იგი არ არის (2013 – 95%, 2015 – 93%). ანალოგიური ვითარება ფიქსირდება მაღალმონან სოფლებშიც (იხ. გრაფიკი 41).

**გრაფიკი 41 – ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არსებობა მაღალმონან და სხვა ზონებში
- 2013-2015 წლების მონაცემები**



თბილისში გამოკითხული ყველა რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ აქვთ წვდომა ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე მაშინ, როდესაც კვლევის ორივე რაუნდის შედეგებით, ვითარება საკმაოდ არადაკმაყოფილებელია საქართველოს ყველა სხვა რეგიონში. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აჭარასა და იმერეთში, სადაც ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე წვდომა მოსახლეობის ნახევარს აქვს, თუმცა მხოლოდ ქალაქის ტიპის დასახლებებში. რეგიონებს შორის ყველაზე ცუდი მდგომარეობა საკანალიზაციო სისტემის არსებობის მხრივ რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა და გურიაშია (იხ. გრაფიკი 42).


**გრაფიკი 42 – ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონების
მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები**



იმ დასახლებებში, სადაც არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიერთებულია სისტემაზე. საკანალიზაციო სისტემის მქონე მოსახლეობის უმეტესობა ასევე აცხადებს, რომ სისტემა აბსოლუტურად გამართულად მუშაობს (იხ. გრაფიკი 43).

**გრაფიკი 43 – არსებული საკანალიზაციო სისტემის გამართულობა -
2013-2015 წლების მონაცემები**

გთხოვთ მითხრათ, რამდენად გამართულია არსებული სისტემა?



2013 - შერჩევის ზომა N=1102


2015 - შერჩევის ზომა N=1252

5.5.3. ელექტროენერგია

კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 94%-ს საქართველოში უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. ამ თვალსაზრისით, მონაცემებში არანაირი სხვაობა არ ვლინდება დასახლების ტიპის ან რეგიონების მიხედვით, რადგანაც აბსოლუტური უმრავლესობა ყველა რეგიონში, ქალაქება თუ სოფელში ერთსა და იმავეს აცხადებს (იხ. გრაფიკი 44).


საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ასევე კმაყოფილია მონოდებული ელექტროენერგიის ხარისხით (ძაბვით), როგორც ზამთარში (2013 - 92%, 2015 – 93%), ასევე სხვა სეზონებზე (2013 - 95%, 2015 – 96%). რაც შეეხება ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილებას, მოსახლეობის უმეტესობა ასევე პოზიტიურად აფასებს აღნიშნული სერვისის პრობლემების მოგვარების ოპერატიულობას (92% 2013-2015). ამ თვალსაზრისით, მონაცემებში არანაირი სხვაობა არ ვლინდება დასახლების ტიპის, ან რეგიონის მიხედვით, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა ყველა რეგიონში, ქალაქება თუ სოფელში ერთსა და იმავეს აცხადებს (იხ. გრაფიკი 45).

**გრაფიკი 44 – ელექტრომომარაგების რეგულარობა რეგიონების ჭრილში –
2013-2015 წლების მონაცემები**



გრაფიკი 45 – ელექტრომომარაგებით კმაყოფილება - 2013-2015 წლების მონაცემები


რამდენად კმაყოფილი ხართ ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით?



5.5.4. გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა

კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად, მოსახლეობის უმეტესობა აცხადებს, რომ მათ დასახლებაში შეყვანილია ცენტრალური გაზსადენი (2013 – 69%, 2015 – 70%). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ყოველი მესამე გამოკითხული საპირისპიროს ამბობს (2013 – 31%, 2015 – 30%). ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გაზსადენი შეყვანილია, უმეტესად, ქალაქის ტიპის დასახლებებში (2013 – 89%, 2015 – 95%), ხოლო სოფლების უმრავლესობაში გაზსადენი არ არის (2013 – 53%, 2015 – 58%) (იხ. გრაფიკი 46).


გრაფიკი 46 – გაზმომარაგების ცენტრალური სისტემის ხელმისაწვდომობა სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები



რეგიონებს შორის ყველაზე კარგი მდგომარეობაა თბილისსა (100% 2013-2015) და შიდა ქართლში (2013 – 81%, 2015 – 78%). დანარჩენ რეგიონებში დასახლებათა სულ მცირე ნახევარში მაინც არის ცენტრალური გაზსადენი. გამონაკლისია მხოლოდ რაჭა-ლეჩუმი/ქვემო სვანეთი (2013 – 14%, 2015 – 10%) და სამეგრელო/ზემო სვანეთი (2013 – 26%, 2015 – 34%) (იხ. გრაფიკი 47).

**გრაფიკი 47 – გაზმომარაგების ცენტრალური სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონების ჭრილში
- 2013-2015 წლების მონაცემები**


ცენტრალური გაზმომარაგების ხელმისაწვდომობა



იმ დასახლებებში, სადაც ცენტრალური გაზმოდენი გადის, უმეტეს შემთხვევაში გაზი უშუალოდ სახლებამდეც მიყვანილია (2013 - 75%, 2015 – 92%). მოსახლეობის უმრავლესობა კმაყოფილია მიწოდებული გაზის ხარისხით (2013 – 93%, 2015 – 95%). დასახლებების ტიპის ან რეგიონების მიხედვით, ამ თვალსაზრისით მონაცემებში არანაირი სხვაობა არ ფიქსირდება, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა ყველა რეგიონში, ქალაქსა თუ სოფელში, იმავეს აცხადებს. გამოკითხულებში გაზმომარაგების სერვისით კმაყოფილების მაჩვენებელიც ძალზე მაღალია (2013 – 95%, 2015 – 98%) (იხ. გრაფიკი 48).

**გრაფიკი 48 – გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება რეგიონების
ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები**


გაზმომარაგების მომსახურებით კმაყოფილება



5.5.5. ნარჩენების გატანა


2015 წელს მეტი გამოკითხული ადასტურებს ნარჩენების გატანის მომსახურების არსებობას მათ დასახლებაში, ვიდრე 2013 წელს (2013 – 59%, 2015 – 74%). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში აბსოლუტური უმრავლესობა იღებს აღნიშნულ მომსახურებას, ხოლო სოფლის მოსახლეობის ნახევარს ნარჩენების გატანაზე ხელი არ მიუწვდება (2013 – 79%, 2015 – 52%). აღსანიშნავია, რომ ნარჩენების გატანის კუთხით სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორებულია 2013 წლის შემდგომ (იხ. გრაფიკი 49).

გრაფიკი 49 – ნარჩენების გატანის მომსახურების არსებობა სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები



რაც შეეხება ნარჩენების გატანის რეგულარობას, აღმოჩნდა, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში ნაჩენები, სულ მცირე, ორ დღეში ერთხელ მაინც გააქვთ (2013 - 78%, 2015 - 81%), ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - კვირაში ერთხელ (2013 - 68%, 2015 - 67%). მიუხედავად ნარჩენების გატანის რეგულარობისა, მოსახლეობა მომსახურებით თანაბრად კმაყოფილია, როგორც ქალაქში (2013 - 87%, 2015 - 90%), ასევე სოფელში (2013 - 85%, 2015 - 87%) (იხ. გრაფიკი 50).

გრაფიკი 50 – ნარჩენების გატანის მომსახურებით კმაყოფილება სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები



მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების გატანის მომსახურებით უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი საკმაოდ დაბალია (2013 - 6%, 2015 - 3%), თითქმის ყველა მათგანი თავისი ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზად, ძირითადად, რეგულარობას ასახელებს.


კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის იმ ნაწილში, სადაც ნარჩენები გააქვთ, მომსახურების საფასური ხელმისაწვდომია რესპონდენტების უმრავლესობისათვის (2013-2015 - 69%).

5.5.6. დასუფთავება


დასუფთავების მომსახურება ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ნახევრისთვის (2013 – 40%, 2015 – 47%). უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სერვისი, ძირითადად, ხელმისაწვდომია ქალაქებში, სადაც აპსოლუტური უმრავლესობა სარგებლობს ამ მომსახურებით (2013 – 76%, 2015 – 84%) მაშინ, როდესაც სოფლის თითქმის არცერთი მოსახლე არ აცხადებს იმავეს (2013 – 0%, 2015 – 6%) (იხ. გრაფიკი 51).

კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, ვინც იღებს აღნიშნულ მომსახურებას, აცხადებს, რომ ქუჩები მათ დასახლებებში ყოველდღიურად სუფთავდება (2013 – 79%, 2015 – 80%). შესაბამისად, მოცემული სერვისით კმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (2013 – 83%, 2015 – 87%) (იხ. გრაფიკი 52)

გრაფიკი 51 – დასუფთავების მომსახურების ხელმისაწვდომობა სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები



გრაფიკი 52 – დასუფთავების მომსახურებით კმაყოფილება - 2013-2015 წლების მონაცემები
ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ დასუფთავების სამსახურით?



თვისებრივი კვლევის შედეგები – კომუნალური მომსახურებები

ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, რომ წყალმომარაგებითკმაყოფილებას განაპირობებს ცენტრალური წყალმომარაგების ხელმისაწვდომობის თავად ფაქტი, ასევე შეუზღუდავი წყალმო-

მარაგება/გრაფიკის არარსებობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რესპონდენტებს აქვთ საკუთარი ჭა და მას მეტ-ზაკლებად კომფორტულად მოიხმარენ, უპირატესობა მაინც ცენტრალურ წყალმომარაგებას ენიჭება, რადგან ჭა შეიძლება წლის კონკრეტულ სეზონზე დაშრეს ან შეიძლება მისი გემო არ მოსწონდეთ/დალევა არ სიამოვნებდეთ. მართალია, თვისებრივი კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა შემთხვევა, როცა რესპონდენტს აქვს ჭა, მაგრამ მის წყალს არ სვამს, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ წყლის სარგებლიანობა არასოდეს შეუმოწმებია.

წყალმომარაგებით უკმაყოფილებას კი, ძირითადად, იწვევს, როგორც მისი არარსებობა, ასევე წყლის მიწოდება გრაფიკით და დაბალი წნევით, რაც ქმნის მოტორის გამოყენების აუცილებლობას. თავის მხრივ, მოტორის გამოყენება რესპონდენტებისთვის ელექტროენერგიის გაზრდილ გადასახადს ნიშნავს.

კანალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული კომუნალური პრობლემაა ყველა ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში. ცენტრალური კანალიზაციის არსებობისას აღნიშნავენ, რომ სისტემა მაინც გაუმართავია და პერიოდულად მწყობრიდან გამოდის, ამასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე სუნიც ვრცელდება. თუ ცენტრალური კანალიზაცია არ არსებობს საერთოდ, ოჯახებს კიდევ მეტად უჭირთ მისი მოვლა, კანალიზაცია კი შეიძლება გარემოს აბინძურებდეს (მაგალითად, ჩაედინებოდეს მდინარეში).

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„ყველაზე მოუწესრიგებელი და ცუდი მდგომარეობა კანალიზაციასთან დაკავშირებით არის. ცხინვალისკენ ვცხოვრობთ და საშინელ მდგომარეობაში ვართ. მით უმეტეს, თუ დაბალ სართულზე ცხოვრობ. ბავშვები მეუბნებიან, ფანჯრები დაკეტეო, სახლიდან ვანიავებთ მგონი ჰაერს. პირადად ვიცი, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი, რასაც რესპონდენტები ყველაზე პოზიტიურად აფასებენ, ნარჩენების გატანის სერვისია, რომელიც ადრე საერთოდ არ არსებობდა სოფლებში, ამჟამად კი ყოველკვირეულად მუშაობს. მართალია, გამოითქვა აზრი, რომ ნარჩენების გატანის სიხშირის გაზრდა კარგი იქნება, მაგრამ აღნიშნული მომსახურების არსებობის თავად ფაქტი რესპონდენტების ცალსახა კმაყოფილებას ინვევს. ქალაქებში ნარჩენების გატანა უფრო ხშირია და ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. იგივე ითქმის ქალაქებში დასუფთავების სერვისზეც- რესპონდენტების განმარტებით, ცენტრალური ქუჩები სისტემატურად იგვება.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„ქუჩები იგვება. დილით ადრიანად გავსულვარ და შემიმჩნევია, რომ დღეში ორჯერ გააქვთ ხოლმე ნარჩენები.“ [ქალაქ გორის მაცხოვრებელი]

გაზი და ელექტროენერგია

იმ ქალაქებში/სოფლებში, რომლებიც გაზიფიცირებულია, ბუნებრივი აირით მომარაგებით ცალსახად კმაყოფილები არიან - ძირითადად, გაზის წნევა ნორმალურია, ავარიები კი - იშვიათი, თან, გონივრულ ვადაში აღმოიფხვრება.


თვისებრივი კვლევის მონაწილეებს შორის იყვნენ ელექტროენერგიის მიწოდებით როგორც კმაყოფილი, ასევე უკმაყოფილო რესპონდენტები. კმაყოფილების მიზეზია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება და დაუყოვნებელი რეაგირება საავარიო სიტუაციებზე, უკმაყოფილებას კი ზოგიერთ ქალაქში/სოფელში ელექტროენერგიის გახშირებული გათიშვა (თუმცა ხანმოკლე) და ძაბვის ვარდნა განაპირობებს.

5.6. საგზაო ინფრასტრუქტურა

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ყველა ტიპის გზას დადგებითად აფასებს, დასახლების შიდა გადასაადგილებელ გზებს ძალიან ცოტა რესპონდენტი მოიხსენიებს პოზიტიურად (2013 – 47%, 2015 – 54%). საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირის, ასევე მისი ღირებულების თვალსაზრისით, მოსახლეობის შეფასება გაუმჯობესებულია 2013 წლის მონაცემთან შედარებით (ტრანსპორტის სიხშირე: 2013 – 73%, 2015 – 82%; საფასურის ხელმისაწვდომობა: 2013 – 66%, 2015 – 79%).

ორივე კვლევის შედეგების თანახმად, ყველაზე ცუდი მდგომარეობა შუქნიშნების რაოდენობისა და სახლების ნუმერაციის თვალსაზრისით გამოვლინდა (არ არის შუქნიშნები: 2013 -50%, 2015 – 48%; არ არის ნუმერაცია: 2013 -39%, 2015 – 40%). ყველი მეოთხე გამოკითხული ასევე აცხადებს, რომ მათ დასახლებებში არ არის ქუჩის განათება (2013 – 26%, 2015 – 22%). უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ნიშნების თვალსაზრისით, ვითარება საგრძნობლად გამოსწორებულია 2013 წლის შემდგომ (არ არის საგზაო ნიშნები: 2013 – 33%, 2015 – 18%) (**იხ. გრაფიკი 53**).

**გრაფიკი 53 – საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შეფასება -
2013-2015 წლების მონაცემები**



კვლევის ორივე რაუნდის შედეგებით, **მაღალმთიან რეგიონებში** საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ბევრად ცუდი მდგომარეობა გამოვლინდა, ვიდრე სხვა ზონებში. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მაღალმთიან დასახლებებში აცხადებს, რომ მათი სოფლების შიდა გზები ცუდ მდგომარეობაშია (2013 - 84%, 2015 – 83%). დასახლებამდე მისასვლელი გარე გზების მდგომარეობა, უახლოესი ავტომაგისტრალების მსგავსად, საგრძნობლად გამოსწორებულია მაღალმთიან ზონებში 2013 წლის შემდგომ, რადგან 2015 წელს მეტი რესპონდენტი აფასებს მოცემული

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობას დადებითად. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიხშირე ისევე, როგორც მისი ღირებულება, 2013 წლის შედარებით ასევე უფრო დადებითადაა შეფასებული მაღალმთიან სოფლებში (**იხ. ცხრილი 2**).

მაღალმთიან ზონებში რესპონდენტების უმეტესობის თქმით, მათ დასახლებებში ასევე არ არის შუქნიშნები, ქუჩის განათება და სახლების ნუმერაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის შემდგომ მოცემულ ტერიტორიებზე მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა საგზაო ნიშნების დამატების თვალსაზრისით (**იხ. ცხრილი 3**).

ცხრილი 2 – გზების მდგომარეობის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირის შეფასება მაღალმთიან და სხვა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები

		შიდა გზები			გარე გზები			ავტომაგისტრ.			საზოგადოებ. ტრანსპორტი			ტრანსპორტის ღირებულება		
		ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის
მაღალმთიანი	2013	84%	16%	0%	69%	31%	0%	39%	60%	1%	45%	42%	13%	47%	50%	4%
	2015	83%	17%	0%	39%	61%	0%	11%	86%	4%	28%	54%	19%	33%	66%	1%
სხვა	2013	50%	49%	0%	24%	76%	0%	5%	91%	5%	19%	76%	5%	31%	68%	2%
	2015	43%	56%	0%	18%	82%	1%	6%	93%	1%	11%	84%	5%	20%	80%	0%

2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

ცხრილი 3 – საგზაო ნიშნების, სახლების ნუმერაციის, შუქნიშნების ფუნქციონირების და ქუჩის განათების მდგომარეობის შეფასება მაღალმთიან და სხვა ზონებში - 2013-2015 წლების მონაცემები

		საგზაო ნიშნები			შუქნიშნები			განათება			სახლების ნუმერაცია					
		ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის
მაღალმთიანი	2013	24%	14%	63%	18%	2%	80%	24%	15%	62%	22%	2%	76%			
	2015	20%	46%	35%	9%	2%	89%	19%	25%	56%	16%	1%	84%			
სხვა	2013	13%	57%	30%	11%	43%	47%	11%	66%	23%	20%	45%	35%			
	2015	18%	66%	17%	11%	44%	45%	11%	70%	20%	14%	49%	37%			

2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

რეგიონების მხრივ აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების თქმით, თბილისის შიდა და ქალაქთან შემოსასვლელი გზები ყველაზე კარგ მდგომარეობაშია (შიდა გზები: 2013 - 75%, 2015 - 73%; გარე გზები: 2013 - 87%, 2015 - 81%). ორივე კვლევის თანახმად, შიდა გზების მდგომარეობა ყველაზე ცუდად სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებელმა რესპონდენტებმა შეაფასეს (2013 - 87%, 2015 - 71%).

საგზაო ნიშნების, ნუმერაციის, შუქნიშნების და გარე განათების თვალსაზრისით, ყველაზე კარგი მდგომარეობა თბილისში დაფიქსირდა. დასახლებებში გარე განათებით ყველაზე ნაკლებ კმაყოფილი სამცხე-ჯავახეთის მაცხოვრებლები არიან(2013 – 34, 2015 – 40%). სახლები ყველაზე ნაკლებადაა დანომრილი რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (2013 – 79%, 2015 – 81%) (**იხ.ცხრილი 4 და 5**).

**ცხრილი 4 – გზების მდგომარეობის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირის
შეფასება რეგიონების მიხედვით-2013-2015 წლების მონაცემები**

		შიდა გზები			გარე გზები			ავტომაგისტრ.			საზოგადოებ. ტრანსპორტი			ტრანსპორტის ღირებულება		
		ცხ	კაბ	არ არის	ცხ	კაბ	არ არის	ცხ	კაბ	არ არის	ცხ	კაბ	არ არის	ცხ	კაბ	არ არის
თბილისი	2013	25%	75%	0%	13%	87%	0%	4%	84%	13%	27%	72%	1%	50%	49%	2%
	2015	27%	73%	0%	19%	81%	0%	11%	88%	1%	18%	82%	0%	36%	64%	0%
აჭარა	2013	32%	66%	1%	21%	78%	1%	5%	94%	2%	21%	78%	1%	15%	79%	6%
	2015	40%	60%	0%	25%	75%	0%	8%	89%	3%	12%	87%	1%	17%	83%	0%
გურია	2013	67%	33%	0%	44%	56%	0%	6%	94%	0%	16%	70%	15%	18%	80%	1%
	2015	58%	42%	0%	20%	80%	0%	1%	99%	0%	6%	91%	3%	16%	83%	1%
იმერეთი	2013	55%	45%	0%	32%	68%	0%	14%	86%	0%	22%	71%	7%	33%	66%	1%
	2015	48%	52%	0%	22%	78%	0%	6%	94%	0%	11%	84%	5%	12%	87%	1%
კახეთი	2013	72%	28%	1%	15%	85%	0%	3%	92%	5%	9%	79%	13%	22%	76%	3%
	2015	51%	45%	4%	7%	89%	4%	0%	98%	2%	3%	80%	17%	8%	92%	0%
მცხეთა-მთიანეთი	2013	72%	28%	0%	39%	61%	0%	16%	84%	1%	14%	77%	9%	52%	47%	1%
	2015	66%	34%	0%	17%	83%	0%	0%	96%	4%	13%	76%	11%	43%	56%	1%
ქვემო ქართლი	2013	81%	19%	0%	37%	63%	0%	3%	97%	0%	28%	68%	5%	33%	67%	0%
	2015	61%	39%	0%	5%	95%	0%	2%	98%	0%	8%	76%	16%	17%	83%	0%
რაჭა-ლეჩხუმი	2013	71%	29%	0%	56%	44%	0%	29%	70%	1%	37%	41%	22%	44%	54%	2%
	2015	46%	54%	0%	23%	77%	0%	10%	90%	0%	39%	58%	3%	27%	73%	0%
სამცხე-ჯავახეთი	2013	87%	13%	1%	51%	49%	0%	21%	78%	2%	29%	48%	23%	38%	62%	1%
	2015	71%	29%	0%	48%	52%	0%	15%	80%	5%	24%	46%	30%	28%	72%	0%
სამეგრელო	2013	65%	35%	0%	38%	62%	0%	10%	88%	2%	15%	82%	3%	8%	90%	2%
	2015	53%	47%	0%	25%	75%	0%	7%	93%	0%	7%	93%	0%	5%	95%	0%
შიდა ქართლი	2013	53%	47%	0%	27%	73%	0%	7%	93%	0%	15%	84%	1%	26%	73%	1%
	2015	52%	48%	0%	23%	77%	0%	2%	98%	0%	7%	93%	0%	17%	83%	0%

2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

ცხრილი 5 – საგზაო ნიშნების, სახლების ნუმერაციის, შუქნიშნების ფუნქციონირების და ქუჩის განათების მდგომარეობის შეფასება რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები

		საგზაო ნიშნები			შუქნიშნები			განათება			სახლების ნუმერაცია		
		ცული	კარგი	არარის	ცული	კარგი	არარის	ცული	კარგი	არარის	ცული	კარგი	არა
თბილისი	2013	11%	84%	5%	10%	85%	4%	1%	99%	0%	25%	75%	1%
	2015	10%	89%	1%	14%	85%	1%	10%	90%	0%	10%	90%	0%
აჭარა	2013	11%	53%	36%	9%	50%	41%	6%	61%	33%	4%	56%	40%
	2015	15%	65%	21%	13%	49%	38%	15%	67%	18%	15%	57%	28%
გურია	2013	11%	30%	59%	5%	7%	89%	8%	45%	46%	10%	16%	74%
	2015	10%	55%	35%	2%	0%	98%	9%	51%	40%	4%	22%	74%
იმერეთი	2013	20%	39%	41%	22%	25%	53%	27%	49%	24%	24%	39%	38%
	2015	17%	66%	17%	16%	29%	55%	7%	45%	48%	13%	39%	48%
კახეთი	2013	20%	36%	44%	8%	6%	86%	13%	65%	23%	13%	18%	69%
	2015	21%	42%	37%	2%	2%	96%	14%	71%	15%	10%	18%	72%
მცხეთა-მთიანეთი	2013	9%	24%	67%	1%	1%	99%	4%	41%	55%	18%	12%	70%
	2015	2%	38%	60%	0%	2%	98%	6%	52%	42%	5%	26%	69%
ქვემო ქართლი	2013	10%	30%	61%	10%	18%	72%	11%	40%	49%	28%	17%	56%
	2015	27%	52%	22%	15%	31%	54%	6%	66%	28%	21%	21%	58%
რაჭა-ლეჩხუმი	2013	7%	29%	64%	2%	7%	91%	9%	42%	49%	5%	17%	79%
	2015	10%	66%	24%	0%	4%	96%	8%	54%	38%	8%	11%	81%
სამცხე-ჯავახეთი	2013	18%	39%	43%	8%	10%	81%	15%	34%	51%	13%	27%	60%
	2015	19%	49%	32%	10%	23%	67%	25%	40%	35%	23%	23%	54%
სამეგრელო	2013	13%	60%	28%	9%	37%	54%	28%	53%	19%	25%	36%	39%
	2015	26%	68%	7%	8%	35%	57%	18%	52%	30%	15%	41%	44%
შიდა ქართლი	2013	16%	56%	28%	13%	25%	62%	5%	35%	60%	13%	26%	61%
	2015	33%	41%	27%	8%	28%	64%	12%	75%	13%	29%	15%	57%

2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

ქალი/კაცის ჭრილში, საგზაო ინფრასტრუქტურის შეფასების თვალსაზრისით, არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოვლინდა გარკვეული ტენდენციები: უფრო მეტი გამოკითხული ქალი აფასებს სახლების დანომვრას დადებითად, ვიდრე მამაკაცი (2013: კაცი - 39%, ქალი - 44%; 2015: კაცი - 43%, ქალი - 49%).

თვისებრივი კვლევის შედეგები – საგზაო ინფრასტრუქტურა

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურით კმაყოფილია, ნაწილი კი გზების მოუვლებობაზე საუბრობს და მათ მდგომარეობას არადამაკმაყოფილებელს უწოდებს. რესპონდენტებითანხმდებიან იმაზე, რომ ცენტრალური მაგისტრალები ყველაზე კარგ მდგომარეობაშია და ამ მდგომარეობის შენარჩუნებაზე მეტად ზრუნავენ. ასევე, ძირითადად, კმაყოფილები არიან

ქალაქებამდე/სოფლებამდე მისასვლელი გზებითაც. ყველაზე მეტი უკმაყოფილება გამოითქმის ქალაქების და სოფლების შიდა გზებით - უკმაყოფილო რესპონდენტების დაკვირვებით, ისინი ან არ კეთდება, ან არაოპერატიულად კეთდება, გზის საფარი კი მაღე ფუჭდება. რაც შეეხება ცენტრალური მაგისტრალების და სოფელთან/ქალაქებთან მისასვლელი გზების ხარისხს, რესპონდენტები, ძირითადად, კმაყოფილები არიან და არც დროის გაჭიანურებაზე საუბრობენ.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„გზები გაფუჭდა. დღე რომ დადიხარ გზაზე, ადგებიან და სალამოს აყრიან ამ გზას და ხვდები ისეთ ორმოებში, მეტი რომ არშეიძლება. ძალიან დიდ დროს უნდებიან. რას თხრიან, თუ ვერ აკეთებენ?“
[ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრებელი]

„ტაქსი რომ გამოიძახო, შეიძლება არ მოვიდეს. იმდენად ცუდი გზაა ჩვენსკენ, რომ ყველა ერიდება.“
[ქალაქ გორის მაცხოვრებელი]


არაერთგვაროვანია თვისებრივი კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ქუჩების განათებასთან დაკავშირებით - ზუგდიდში ისაუბრეს ქუჩების განათების გაუმჯობესების ტენდენციაზე, გორში კი საპირისპიროზე მიუთითებენ.

5.7. სევადასევა მომსახურება

5.7.1. დასახლებების დაგეგმარება


ურბანული დაგეგმარებით, მშენებლობის რეგულაციითა და კეთილმოწყობით კმაყოფილებას მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლები გამოხატავენ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია თავიანთი ქალაქების ურბანული დაგეგმარებით (2013 - 59%, 2015 - 57%). თუმცა უკმაყოფილებას მოსახლეობის მანიც დიდი ნაწილი გამოთქვამს (2013 - 41%, 2015 - 43%). საცხოვრებელ ქალაქებში მშენებლობის რეგულაციით კმაყოფილია რესპონდენტთა უმრავლესობა (მშენებლობა: 2013 – 54%, 2015 – 56%; კეთილმოწყობა: 2013 - 48%, 2015 – 62%). თუმცა უკმაყოფილოთა რიცხვიც მაღალია (მშენებლობა: 2013 – 47%, 2015 – 44%; კეთილმოწყობა: 2013 - 52%, 2015 – 38%). კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ურბანული დაგეგმარების, მშენებლობის რეგულაციისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით დადებითი ტენდენციაა (იხ. გრაფიკი 54).

**გრაფიკი 54 – ქალაქის დაგეგმარებით, მშენებლობის რეგულაციით და კეთილმოწყობით
კმაყოფილება – 2013-2015 წლების მონაცემები**



ქალი/კაცის ჭრილში, ურბანული დაგეგმარების, მშენებლობისა და კეთილმოწყობის შეფასების თვალსაზრისით, არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. გამოკითხული ქალების და მამაკაცების თითქმის იდენტური წილი გამოთქვამს კმაყოფილებას მათი დასახლებების კეთილმოწყობით, ურბანული დაგეგმარებით და მშენებლობის რეგულაციით. თუმცა აღსანიშნავია, რომოდნავ უფრო მეტი გამოკითხული კაცია მოცემული საკითხებით კმაყოფილი, ვიდრე ქალი (იხ. გრაფიკი 55).

**გრაფიკი 55 – ქალაქის დაგეგმარებით, მშენებლობის რეგულაციით და კეთილმოწყობით
კმაყოფილება სქესის ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები**




რეგიონების ჭრილში ყველაზე ნაკლებ კმაყოფილებას ქალაქების ურბანული დაგეგმარებით, მშენებლობის რეგულაციით და კეთილმოწყობით შიდა ქართლის (დაგეგმარება - 19%, მშენებლობა - 19%, კეთილმოწყობა - 27%) და ქვემო ქართლის მოსახლეობა გამოხატავს (დაგეგმარება - 33%, მშენებლობა - 43%, კეთილმოწყობა - 42%) (იხ. დანართი 2 - გრაფიკები 103, 106, 109).

5.7.2. ტურიზმი

2015 წელს რესპონდენტების 38% აცხადებს, რომ მათ რაიონში ტურიზმი განვითარებულია. აღსანიშნავია, რომ მსგავსი განცხადებების რაოდენობა მცირედ გაიზარდა 2013 წლის შემდგომ (2013 - 29%). აღნიშნულ რაიონებში აცხადებენ, რომ მათ დასახლებებს ბევრი ტურისტი სტუმრობს (2013 - 76%, 2015 - 78%), თუმცა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა გაუმართავია ტურისტების მისაღებად (66% - 2013-2015). რესპონდენტთა უმრავლესობის თქმით, ტურისტების ნაკადი დასახლებებში ყველაზე მეტი ზაფხულის სეზონზეა (2013 - 74%, 2015 - 77%) (იხ. გრაფიკი 56).


გრაფიკი 56 – ტურიზმის განვითარება – 2013-2015 წლების მონაცემები

არის თუ არა ტურიზმი განვითარებული / აქტუალური თქვენს რაიონში?



რეგიონებს შორის, უმეტესად, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში, თბილისსა და აჭარაში მაცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ ტურიზმი მათ რეგიონებში აქტუალურია. აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში ასეთი რესპონდენტების რიცხვი საგრძნობლად გაზრდილია 2013 წლის შემდეგ. ზოგადად, ქვემო ქართლის გარდა ყველა დანარჩენ რეგიონში ტურიზმის განვითარების ტენდენცია ფიქსირდება (იხ. გრაფიკი 57).

გრაფიკი 57 – ტურიზმის განვითარება რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები




5.7.3. სოფლის მეურნეობა

2015 წელს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობას მათი რაიონისათვის ყველა გამოკითხული რესპონდენტი აღნიშნავდა. სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა, რომ ეს სფერო მათთვის პრიორიტეტულია (87%) მაშინ, როცა ქალაქებში რესპონდენტების მხოლოდ 38% აცხადებს იმავეს. სოფლის ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მთავრობა ხელს უწყობს მათ რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებას (57%), ქალაქის მაცხოვრებლების კი მხოლოდ 22% ამბობს იმავეს. ქალაქებში, იმ რესპონდენტთა უმეტესობა, ვინც სოფლის მეურნეობას პრიორიტეტულად მიიჩნევს, არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, სოფლის მოსახლეობის უმრავლესობისათვის კი ხელმისაწვდომია მიწის დამუშავების და ტექნიკური აღჭურვილობის ვაუჩერები (2013 – 81%, 2015 – 70%). სოფლის ბინადართა ნახევარი ასევე აცხადებს, რომ იღებს სასუქს და პესტიციდებს (2013 – 50%, 2015 – 48%). (იხ. გრაფიკი 58).

გრაფიკი 58 – დახმარება სოფლის მეურნეობაში – სოფლის მოსახლეობა – 2013-2015 წლების მონაცემები

ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სახელმწიფო დახმარებები სოფლის მეურნეობის შემდეგ მიმართულებებში?




2013 - შერჩევის ზომა N=1877 2015 - შერჩევის ზომა N=2010

ყველა სახის დახმარებას გამოკითხულთა უმეტესობა დადებითად აფასებს. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია მთავრობის ვაუჩერებით მიწის დამუშავებასა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე (2013 – 90%, 2015 – 92%). აღსანიშნავია, რომ 2013 წლის შემდეგ კმაყოფილების მაჩვენებელი ყველა დახმარებაზე დაკლებულია, გარდა სოფლის მეურნეობაში აგრონომის სერვისისა (იხ. გრაფიკი 59).

გრაფიკი 59 – სოფლის მეურნეობაში დახმარებით კმაყოფილება – სოფლის მოსახლეობა – 2013-2015 წლების მონაცემები

სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დახმარებით კამყოფილების მაჩვენებელი



2013 - შერჩევის ზომა N=1877

2015 - შერჩევის ზომა N=2010

თვისებრივი კვლევის შედეგები – სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი

სოფლის მეურნეობაზე საუბრისას რესპონდენტები საგანგებოდ გამოყოფენ ვაუჩერს მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე. ისინი, ვინც გამოიყენა აღნიშნული ვაუჩერები, კმაყოფილები არიან, რადგან დაზოგეს ფინანსები. თუმცა ზოგიერთ სოფელში პრობლემად რჩება ტექნიკის სიმწირე. ასევე აღინიშნა ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ვაუჩერით მიწის მოხვნის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მოხვნა ვაუჩერის გარეშე.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„ბოლო სამი წელია, მოდი, სიმართლე ვთქვათ, არც „სალიარკის“ ფული არ გადაგვიხდია, არც ხვნის და არც თესვის. ადამიანი იმდენად სულსწრაფია, ადრე უნდა რომ მოვიდეს ყველაფერი (ტექნიკა). ადრეც ხომ იყო პრობლემა და ახლა უფასოდ არის.“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]


„კმაყოფილები არ ვართ და პრობლემა იყო ის, რომ ტექნიკა არ ყოფნიდა. მოსახნავი რომ იყო, ერთი თვის მერე გავაკეთე და დაგვიანდა.“ [ზუგდიდის მიმდებარე სოფლის მაცხოვრებელი]

5.7.4. საირიგაციო სისტემა

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მხოლოდ ყოველ მეათე რესპონდენტს აქვს წვდომა ცენტრალურ საირიგაციო სისტემაზე (2013 – 8%, 2015 – 10%). ეს ნილი, ძირითადად, სოფელში მცხოვრებ მოსახლეობაზე მოდის (2013 – 45%, 2015 – 21%) და ხშირ შემთხვევაში გამართულია (იხ. გრაფიკი 60).

გრაფიკი 60 – არსებული საირიგაციო სისტემის გამართულობის შეფასება – 2013-2015 წლების მონაცემები

გთხოვთ მითხრათ, რამდენად გამართულია არსებული სისტემა?



2013 - შერჩევისზომა N=283 2015 - შერჩევისზომა N=394

საირიგაციო სისტემის ყოველი მეოთხე მომხმარებლისათვის სარწყავ წყალში გადახდილი საფასური ძვირია (2013 – 15%, 2015 – 28%), თუმცა მათი დიდი ნაწილისათვის ეს ღირებულება მისაღებია (2013 – 48%, 2015 – 41%).

უფასო იურიდიული დახმარება


2015 წელს 2013 წელთან შედარებით ოდნავ მეტი რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ რაიონში ხელმისაწვდომია უფასო იურიდიული დახმარება (2013 – 16%, 2015 -23%). თუმცა ორივე წელს მათ მხოლოდ 11%-ს გამოუყენება ეს მომსახურება. აღსანიშნავია, რომ ამ მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია სერვისის ოპერატიულობით, პერსონალის კვალიფიკაციით და ზოგადად განვითარებით.

სოფლის ბინადრებთან შედარებით, ქალაქში მაცხოვრებელი მეტი რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ რაიონში უფასო იურიდიული დახმარება ფუნქციონირებს (ქალაქში: 2013 – 20%, 2015 – 28%, სოფელში: 2013 – 7%, 2015 – 14%). შესაბამისად, სურათი ანალოგიურია მაღალმთიანი სოფლების შემთხვევაშიც (2013 – 7%, 2015 – 14%).

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ რეგიონის ჭრილში გურიაში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი ადასტურებს მათ რაიონებში უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას (2013 – 14%, 2015 – 44%). ამ მხრივ 2013 წლის შემდეგ მოცემულ რეგიონში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვლინდება. უფასო იურიდიული დახმარების კუთხით, ყველაზე ცუდი მდგომარეობა ქვემო ქართლსა და კახეთშია (13%) (იხ. გრაფიკი 61).

გრაფიკი 61 – სახელმწიფო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები

სახელმწიფო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა




სხვადასხვა საჯარო მომსახურება

კვლევის ფარგლებში შეფასდა სხვადასხვა საჯარო მომსახურებით სარგებლობა, მომსახურებებს რესპონდენტები წინასწარ ჩამონერილი სიიდან არჩევდნენ. როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის უმრავლესობას ჩამოთვლილი მომსახურებებიდან არც ერთით არ უსარგებლია არც 2013 და არც 2015 წლებში (2013 – 55%, 2015 – 58%). დანარჩენმა რესპონდენტებმა ძირითადად აიღეს/განაახლეს პირადობის მოწმობა ან ისარგებლეს ნოტარიული მომსახურებით (იხ. გრაფიკი 62).

გრაფიკი 62 – სხვადასხვა საჯარო მომსახურებებით სარგებლობა – 2013-2015 წლების მონაცემები

გისარგებლიათ თუ არა შემდეგი მომსახურებებით ბოლო ორი წლის მანძილზე?




ორივე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო მომსახურებებით მოსარგებლე პირები არ უჩივიან არც საჭირო საბუთისა თუ მონაცემების დროულად მიღებას და არც შესაბამისი დაწესებულებების ადგილმდებარეობებს. ზოგადად, ადამიანები კმაყოფილები არიან მიღებული მომსახურებით.

საკუთრების რეგისტრაციის საფასურთან დაკავშირებული ინფორმაცია მსგავსია მონაცემების სხვადასხვა პარამეტრით გაანალიზებისას. აღსანიშნავია, რომ მომსახურებების საფასურს რესპონდენტების უმრავლესობა მაინც მისაღებად აღიქვამს (იხ. გრაფიკი 63).

გრაფიკი 63 – საჯარო მომსახურებების საფასურის ხელმისაწვდომობა – 2013-2015 წლების მონაცემები

მომსახურების საფასურის ხელმისაწვდომობა




როგორც აღმოჩნდა, საჯარო ტენდერებში, აუქციონებსა და შესყიდვებში გამოკითხულთაგან სულ 15 ადამიანმა მიიღო მონაცემთა სიმცირის პროცენტული განაწილების გაანალიზება არ არის მიზანშენონილი.

5.7.5. უსაფრთხოება

ორივე კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათ დასახლებებში უსაფრთხოება დაცულია (2013 – 88%, 2015 – 85%). აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების შეგრძენება უფრო მაღალია სოფლის მაცხოვრებლებში (სოფელი: 2013 – 91%, 2015 – 92%; ქალაქი: 2013 – 85%, 2015 – 80%). იქიდან გამომდინარე, რომ მაღალმთიან ზონაში, ძირითადად, სოფლებია, განწყობის მაჩვენებელიც შესაბამისია ამ დასახლებებში (92% - 2013-2015) (იხ. გრაფიკი 64).

გრაფიკი 64 – მოსახლეობის უსაფრთხოება - 2013-2015 წლების მონაცემები



კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსახლეობა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრობლემად ალკოჰოლის მოხმარებას მიიჩნევს (24% - 2013-2015). აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ ნარკოტიკების მოხმარება, წვრილმანი ხულიგნობა, განქორწინება და ოჯახური ძალადობა პრობლემატურია მათ დასახლებებში.

კვლევის ორივე რაუნდის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში სახანძრო და სამაშველო სამსახურები უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომია (სახანძრო: 2013 – 78%, 2015 – 95%; სამაშველო: 2013 – 67%, 2015 – 92%). აღსანიშნავია, რომ ორივე მომსახურების ხელმისაწვდომობა საგრძნობლად გაზრდილია 2013 წლის შემდგომ. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს გამოყენებია მოცემული სერვისები (სახანძრო: 2013 – 11%, 2015 – 9%; სამაშველო: 2013 – 8%, 2015 – 7%). თუმცა ამ შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში სერვისის დროული მიწოდებით მოხმარებლები კმაყოფილები დარჩენ.

თვისებრივი კვლევის შედეგები – უსაფრთხოება


თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, რომ რესპონდენტების დამოკიდებულება უსაფრთხოების თემისადმი არაერთგვაროვანია. მათი ერთი ნაწილისთვის არაფერი შეცვლილა - მართალია, ხდება წვრილმანი დანაშაულები, მაგრამ, მათი თქმით, „ქათმის და ძროხის ქურდობა ყოველთვის იყო“, რაც ამინდს არ ქმნის და სიტუაციას მნიშვნელოვნად არ ამძიმებს. რესპონდენტების მეორე ნაწილი კი ასახელებს კრიმინალის მაგალითებს (ძირითადად, ქურდობის) საკუთარ სოფელსა ან რეგიონში და აღნიშნავს,

რომ თავს ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობს, ვიდრე წლების ნინ. უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლები უსაფრთხოების განცდაზე ის გამოკითხულებიც კი საუბრობენ, რომლებიც კონკრეტულ კრიმინალურ შემთხვევებს ვერ იხსენებენ.

5.7.6. ელექტრონული სერვისები

2013 წლის შემდგომ ელექტრონულ სერვისებთან მიმართებითვითარება არ შეცვლილა. კვლავაც საქართველოს ყოველი მესამე მაცხოვრებელი ფლობს ინფორმაციას მოცემულ მომსახურებებზე. მოსახლეობის 68%-ს არ აქვს ინფორმაცია ელექტრონულ სერვისებზე. ამ მომსახურებათა შესახებ ქალაქის ტიპს დასახლებაში უფრო მეტმა ადამიანმა იცის (2013 - 42%, 2015 - 40%), ვიდრე სოფლის (2013 - 21%, 2015 - 26%). რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი ინფორმირებულობით გურია, თბილისი და შიდა ქართლი გამოიჩინა, ხოლო ქვემო ქართლსა და კახეთში ყველაზე ნაკლები გამოკითხული ფლობს ინფორმაციას ელექტრონული სერვისების შესახებ (იხ. გრაფიკი 65).

**გრაფიკი 65 – ელექტრონული სერვისების ცნობადობა რეგიონების ჭრილში -
2013-2015 წლების მონაცემები**



ელექტრონულ სერვისებზე ინფორმაციის ფლობის მხრივ მცირედი განსხვავება შეინიშნება კაცებსა და ქალებს შორის - მეტმა გამოკითხულმა მამაკაცმა იცის მათი არსებობის შესახებ, ვიდრე ქალმა (კაცი: 36% - 2013-2015; ქალი: 2013 - 28%, 2015 - 31%).

ვისაც ელექტრონული სერვისების შესახებ სმენია, მათგან მხოლოდ მეხუთედს უსარგებლია ამ მომსახურებით (2013 - 23%, 2015 - 19%). თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული მომსახურებით (2013 - 98%, 2015 - 96%).

5.7.7. ეკოლოგია

ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ჰაერი მათ დასახლებებში დაბინძურებულია (2013 – 71%, 2015 – 85%), ხოლო სოფლის მოსახლეობის უმეტესობა საპირისპიროს აღნიშნავს (61% - 2013-2015).


რეგიონებიდან თბილისელ რესპონდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ჰაერი დედაქალაქში დაბინძურებულია (2013 – 72%, 2015 – 89%), მცხეთა-მთიანეთში კი მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ მათ რაიონებში ჰაერი სუფთაა (2013 – 83%, 2015 – 88%).

ჰაერის, ასევე ნიადაგის დაბინძურების მხრივ **სოფლის** მოსახლეობა თვლის, რომ მათ დასახლებებში ეს პრობლემა ნაკლებად აქტუალურია. ანალოგიური განწყობა აქვთ ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურებასთან დაკავშირებით - **ქალაქის** მკვიდრთაგან განსხვავებით, **სოფლის** მოსახლეობა ნაკლებად ფიქრობს, რომ მათ დასახლებაში წყალი დაბინძურებულია.

მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ზომებს არ მიმართავს დაბინძურებული გარემოს დასასუფთავებლად (2013 – 51%, 2015 – 46%). მოსახლეობის ნაწილი კი ფიქრობს, რომ მთავრობა ახორციელებს კონკრეტულ აქტივობებს და მათ შორის, ძირითადად, ტყეში ხეების ჭრაზე შეზღუდვების თუ კონტროლის დაწესებას, ასევე ნარგავების დარგვას ასახელებს (**იხ. გრაფიკი 66**).

გრაფიკი 66 – ადგილობრივი ხელისუფლების ნაბიჯები ეკოლოგიის მიმართულებით – 2013-2015 წლების მონაცემები

ახორციელებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ღონისძიებას (მათ შორის პროფილაქტიკურსაც) დაბინძურებული გარემოს დასასუფთავებლად?



თვისებრივი კვლევის შედეგები – ეკოლოგია

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ეკოლოგიური პრობლემები აშფოთებს როგორც ქალაქების, ასევე სოფლების მოსახლეობას. მათი შენუხების ძირითადი მიზეზი მანქანების გამონაბოლქვი (განსაკუთრებით, ქალაქებში) და მდინარეებში ჩაყრილი ნაგავია. ობიექტურ გარემოებებთან ერთად, პრობლემის სათავეს მოსახლეობის დაბალ ქცევით კულტურაში ხედავენ, რომელიც გარემოს საკუთარი ნარჩენებით აბინძურებს.

ამავდროულად, ზუგდიდსა და გორშიც აღნიშნეს მუშაობა ქალაქის გასამწვანებლად. ძირითადად, გულისხმობენ ბალებს და სკვერებს ქალაქის ცენტრში, რომლებიც მოვლილი და განახლებულია. ამ მხრივ, გამონაკლისია ბოტანიკური ბალი ზუგდიდში, რომელიც, რესპონდენტების განმარტებით, მოუვლელია და მისი პოტენციალი, პრაქტიკულად, ქალაქისთვის გამოუყენებელია.

ტყეკაფი

შიდა ქართლში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში კიდევ ერთი პრობლემის შესახებ ისაუბრეს - ეს არის მოსახლეობისთვის ტყეკაფის გამოყოფა. როგორც თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, გამოკითხულები შემდეგ პრობლემებს აწყდებიან:


- ✓ ტყეკაფს იმდენად გვიან გამოყოფენ, რომ ოჯახებს თავად უწევთ თადარიგის დაჭერა სახლის გასათბობად.
- ✓ შესაბამისი ბარათის მიღებისას შეიძლება გაუგებრობა წარმოიშვას და ის „ყველას არ შეხვდეს“.
- ✓ ხმირად ტყეკაფს მოსახლეს შორ და მიუვალ ადგილზე გამოუყოფენ, საიდანაც შეშის ტრანსპორტირება თითქმის შეუძლებელია ან გაუმართლებლად ძვირი ჯდება.

5.8. თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება

5.8.1. ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება და მისდამი ნდობა

2013 წელს გამოკითხულთაგან ყოველ მეოთხეს, ხოლო 2015 წელს - ყოველ მეხუთეს უჭირდა ადგილობრივი ხელისუფლებით კმაყოფილებისა და მისდამი ნდობის შეფასება (2013 – 27%, 2015 – 19%). მიუხედავად ამისა, დანარჩენ რესპონდენტთა უმრავლესობა გამგეობების/საკრებულოების მიმართ კმაყოფილებას (2013 – 71%, 2015 – 66%) და ნდობას (2013 – 71%, 2015 – 67%) გამოხატავდა. აღსანიშნავია, რომ კმაყოფილებისა და ნდობის მაჩვენებელმა, უპასუხოდ დატოვებულ კითხვათა რაოდენობის მსგავსად, მცირედ დაიკლო 2013 წლის მონაცემთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ისევე, როგორც მუნიციპალური მომსახურებები, ყველაზე ნაკლებად სოფლებშია წარმოდგენილი, სოფლის მოსახლეობის კმაყოფილებისა და ნდობის მაჩვენებელი აღემატება ქალაქის მაცხოვრებლების იმავე მაჩვენებელს. იგივე ტენდენციაა მაღალმთიანი სოფლების შემთხვევაშიც - ამ ზონაში კმაყოფილების და ნდობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე არამაღალმთიან დასახლებებში (იხ. გრაფიკი 67)

გრაფიკი 67 - ადგილობრივი გამგეობით/საკრებულოთი კმაყოფილება და მისდამინდობა სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები



ადგილობრივი ხელისუფლებით კმაყოფილება ორივე წელს შეაფასა რესპონდენტების შემდეგმა რაოდენობაშ:

2013 - შერჩევის ზომა N=1632

2015 - შერჩევის ზომა N=1764


ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ნდობა ორივე წელს შეაფასა რესპონდენტების შემდეგმა რაოდენობაშ:

2013 - შერჩევის ზომა N=2531

2015 - შერჩევის ზომა N=2754


რეგიონის ჭრილში თბილისის და ქვემო ქართლის მაცხოვრებელთა ყველაზე მაღალი პროცენტი გამოხატავს უკმაყოფილებას და უნდობლობას ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად ამისა, ეს შეფასებები კვლავაც საშუალოზე უფრო მაღალია. თბილისში, ზოგადად, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კმაყოფილების და ნდობის მაჩვენებლები გაზრდილია 2013 წლის შემდეგ. თუმცა აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლში მოსახლეობის კმაყოფილებისა და ნდობის მაჩვენებლებმა საგრძნობლად დაიკლო კვლევის პირველი რაუნდის შემდეგ (**იხ. გრაფიკები 68 და 69**).

გრაფიკი 68 – ადგილობრივი გამგეობით/საკრებულოთი კმაყოფილება რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები




ქალი/კაცის ჭრილში, საკრებულოს/გამგეობის მუშაობის შეფასების თვალსაზრისით, არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. თუმცა გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები: გამოკითხული ქალების უფრო დიდი წილი აფიქსირებს კმაყოფილებას და ნდობას საკრებულოს/გამგეობის მიმართ, ვიდრე კაცი (**იხ. გრაფიკი 70**).

გრაფიკი 69 – ადგილობრივი გამგეობის/საკრებულოს მიმართ ნდობა რეგიონების ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები



გრაფიკი 70 – ადგილობრივი ხელისუფლებით კმაყოფილება და მისდამი ნდობა სქესის ჭრილში – 2013-2015 წლების მონაცემები



ადგილობრივი ხელისუფლებით კმაყოფილება ორივე წელს შეაფასა რესპონდენტების შემდეგმა რაოდენობამ:

2013 - შერჩევის ზომა N=1632

2015 - შერჩევის ზომა N=1764

ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ნდობა ორივე წელს შეაფასა რესპონდენტების შემდეგმა რაოდენობამ:

2013 - შერჩევის ზომა N=2531


2015 - შერჩევის ზომა N=2754

კვლევის ორივე რაუნდის შედეგები აჩვენებს, რომ საჭიროა ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გადაწყვეტილებათა მიღებისას მეტად გაითვალისწინონ მოსახლეობის საჭიროებები. გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ სწორედ ეს პარამეტრია გასაუმჯობესებელი (2013 – 65%, 2015 – 62%).

რესპონდენტებმა ყველაზე გამოსასასწორებელ საკითხთა შორის დასახელეს მეტი ბიუჯეტის გამოყოფა მუნიციპალიტეტების პრობლემების მოსაგვარებლად (2013 – 48%, 2015 – 40%) და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების უფრო ხშირად მოწყობა (2013 – 45%, 2015 – 40%) (**იხ. გრაფიკი 71**).

გრაფიკი 71 – ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მთავარი გამოსასწორებელი საკითხები – 2013-2015 წლების მონაცემები

თქვენი აზრით, ზოგადად, ყველაზე უფრო მეტად რა უნდა გააუმჯობესოს თქვენი რაიონის თვითმმართველობამ, რომ უკეთ დაავალიზოს თქვენი საჭიროებები?



2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

შენიშვნა: პასუხების ჯამი აღემატება 100 პროცენტს, რადგან რამდენიმე პასუხი იყო დასაშვები.

კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა არ არის აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან მათ არც 2013 და არც 2015 წელს არანაირი სოციალური აქტივობის განხორციელება არ უცდიათ მთელი წლის განმავლობაში. ის მცირე ნაწილი, ვინც ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩართულა რაიმე სახის საზოგადოებრივ აქტივობაში, ყველაზე ხშირად დასახლების/სამეზობლოს პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას ასახელებს.

სოციალურ აქტივობებთან დაკავშირებით, მონაცემებს შორის არანაირი სხვაობა არ ფიქსირდება **ქალაქი/სოფლის, ისევე როგორც მაღალმთიანი ზონების** ჭრილში. ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება არც მონაცემები რეგიონებიდან. რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი აქტივობის მაჩვენებელი ქვემო ქართლში გამოვლინდა და ეს არის აქაური მოსახლეობის მხოლოდ 12%.

5.8.2. მოსახლეობის მიმართვიანობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან

კვლევის ორივე რაუნდის შედეგები აჩვენებს, რომ ყოველ მეხუთე რესპონდენტს, სულ მცირე, ერთხელ მაინც მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის პრობლემების მოგვარების მიზნით 2013-2015 წლებში (2013 – 20%, 2015 – 18%).

მიმართვის თვალსაზრისით, **რეგიონებს შორის ყველაზე მეტი აქტიურობით გურიის** (2013-2015 - 29%) და რაჭა-ლეჩეუმი/ქვემო სვანეთის (2013 – 31%, 2015 – 27%) მოსახლეობა გამოირჩევა. აღსანიშნავია,

რომ შიდა ქართლში მაცხოვრებელთა ყველაზე მცირე რაოდენობას მიუმართავს საკრებულოსათვის/გამგეობისათვის ბოლო ორი წლის მანძილზე (2013 – 17%, 2015 – 8%).


ქალი/კაცის ჭრილში არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. გამოკითხულ ქალთა და მამაკაცთა თითქმის იდენტური წილი აცხადებს, რომ მიუმართავს საკრებულოსათვის/გამგეობისათვის კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით როგორც 2013, ასევე 2015 წელს (2013: კაცი - 21%, ქალი - 20%; 2015: კაცი - 17%, ქალი - 19%).

იმ რესპონდენტების მესამედი, ვისაც საკრებულოსათვის/გამგეობისთვის მიუმართავს რაიმე პრობლემის მოგვარების მიზნით, აცხადებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არცერთი მათი პრობლემა არ მოუგვარებია (2013 - 35%, 2015 - 38%). თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობასმოუგვარეს არსებული პრობლემა/პრობლემები (2013 – 55%, 2015 – 53%).

იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, ვისაც ჰქონია ბოლო წლებში ადგილობრივ თვითმმართველობასთან მიმართვის პრაქტიკა, აცხადებს, რომ ეს საკმაოდ იოლი პროცედურაა (77% 2013-2015). თუმცა ყოველი მესუთე გამოკითხულის აზრით, საკრებულოსათვის/გამგეობისთვის მიმართვის პროცედურები რთულია (2013-2015 - 23%) (**იხ. გრაფიკი 72**).

გრაფიკი 72 – თვითმმართველობებთან მიმართვიანობა და მიმართვის შედეგები –


2013-2015 წლების მონაცემები



რესპონდენტების უმეტესობის აზრით, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელთა მოსახლეობასთან ურთიერთობა ქმედითია (2013 – 52%, 2015 – 58%), თუმცა გამოკითხულთა დიდი ნაწილი კვლავაც ფიქრობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაცია მოსახლეობასთან არაეფექტურია (2013 – 48%, 2015 – 42%).

რეგიონის ჭრილში მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ქმედითიურთიერთობა ყველაზე პოზიტიურად კახეთის (2013 – 70%, 2015 – 76%) და სამეგრელო/ზემო სვანეთის (2013 – 64%, 2015 – 75%) რესპონდენტებმა შეაფასეს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ურთიერთობას ყველაზე უარყოფითად თბილისში (2013 – 30%, 2015 – 48%), შიდა ქართლსა (2013 – 57%, 2015 – 49%) და ქვემო ქართლში (2013 – 51%, 2015 – 48%) მაცხოვრებელი გამოკითხულები აფასებენ (**იხ. გრაფიკი 73**).


**გრაფიკი 73 – რაომნის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობის შეფასება რეგიონის
ჭრილში–2013-2015 წლების მონაცემები**



5.8.3. არსებული მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფა


თბილისის სპეციფიკური ადმინისტრაციული მოწყობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის მონაცემები გაანალიზდა ცალკე თბილისის და ცალკე საქართველოს სხვა ქალაქების თუ სოფლების ჭრილში. 2015 წელს ყოველი მესამე გამოკითხული თბილისელი ეთანხმება მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის იდეას, თუმცა ამ მოსაზრების მონინაალმდეგთა რიცხვი საგრძნობლად გაზრდილია 2013 წლის მონაცემთან შედარებით (2013 – 29%, 2015 – 42%). 2015 წელს სხვა ქალაქების, ასევე სოფლების მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ ემხრობა ამ იდეას (ქალაქი: 2013 – 48%, 2015 – 52%; სოფელი: 2013 – 39%, 2015 – 45%) მაშინ, როდესაც ყოველი მეხუთე გამოკითხული ქალაქებსა და სოფლებში ამ იდეას მომხრეა (ქალაქი: 2013 – 23%, 2015 – 17%; სოფელი: 2013 – 31%, 2015 – 20%). (**შეკითხვა:** ემხრობით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ რაომნი დაიყოს უფრო მცირე ზომის ერთეულებად და მისი ფუნქციები შეითავსოს ქალაქის იმ ნაწილის მიერ არჩეულმა საკრებულომ და გამვეობამ?) (იხ. გრაფიკი 74)

გრაფიკი 74 – მუნიციპალიტეტების უფრო წვრილ ერთეულებად დაშლის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება სოფელი/ქალაქის ჭრილში - 2013-2015 წლების მონაცემები



2015 წელს უარყოფითი ტენდენცია დაფიქსირდა მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის ეფექტიანობასთან მიმართებით. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ მსგავსი დაყოფის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვერ შეძლებდა მათი პრობლემების უფრო შედეგიან მოგვარებას. ალანიშნავია, რომ ყოველ მესამე გამოკითხულს უჭირს რაიმე აზრის გამოხატვა ამ საკითხთან მიმართებით. მოსაზრებები იყოფა მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის პირობებში ადგილობრივი ხელისუფლების მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. რესპონდენტების ნახევარი თვლის, რომ მსგავსი დაყოფა გაამარტივებდა კომუნიკაციას, გამოკითხულთა მეორე ნახევარი კი საპირისპიროს აღნიშნავს (2013: მარტივი – 65%, რთული – 35%; 2015: მარტივი – 50%, რთული – 50%) (იხ. გრაფიკი 75).

გრაფიკი 75 – მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების/ქმედითობის მიმართ, მუნიციპალიტეტების უფრო წვრილ ერთეულებად დაყოფის შემთხვევაში - სოფელი/ქალაქის ჭრილი - 2013-2015 წლების მონაცემები



5.8.4. გამგებლის/მერის პირდაპირი წესით არჩევა

კვლევის ორივე რაუნდის შედეგები ცხადყოფს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა გამგებლის/მერის პირდაპირი წესით არჩევის მომხრეა (2013 – 64%, 2015 – 67%). თუმცა კვლავაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩინებს, რომ მუნიციპალიტეტის/ქალაქის საკრებულოს უნდა ჰქონდეს გამგებლის/მერის გადაყენების უფლება (2013 – 47%, 2015 – 41%).

თვისებრივი კვლევის შედეგები – ადგილობრივი თვითმმართველობები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს უჭირთ ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის შეფასება. გარდა იმისა, რომ მათთან ურთიერთობის გამოცდილება მნირია, თვითმმართველობების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად მოაგვარა თვითმმართველობამ მოსახლის კონკრეტული პრობლემა – მაგალითად, მისცა კონკრეტული მშენებლობის ნებართვა ან დაამონტაჟა განათება ქუჩაზე. რესპონდენტებს უჭირთ საუბარი იმაზე, რამდენად კარგად ასრულებენ თვითმმართველობები დაკისრებულ მოვალეობებს, რადგან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად არ იცნობს აღნიშნული ორგანოების ფუნქციებს.

საზოგადოდ, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების (ძირითადად, ქალაქის გამგების ან სოფლის რწმუნებულის) დადებით შეფასებას განაპირობებს: ოპერატიული რეაგირება თხოვნაზე, ინფორმაციის ზუსტად და კომპეტენტურად მინდდების უნარი, კეთილგანწყობა და, რასაკვირველია, კონკრეტული მოსახლისთვის დამდგარი შედეგი. ნებატიური შეფასება კი გამოიწვია შემთხვევებმა, როდესაც მოსახლემ რამდენჯერმე მიმართა ორგანოს და სათანადო პასუხი ვერ მიიღო, ვერ გაერკვა მათ მოწოდებულ ინფორმაციაში ან ეჭვი შეეპარა ორგანოს კომპეტენტურობაში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილზე პრიორიტეტების განსაზღვრაში სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს – მათი ნაწილი ესწრება საჯარო განხილვებს, ნაწილს კი ეს საქმე რწმუნებულის და რამდენიმე აქტიური ადამიანისთვის აქვს მინდობილი, რომლებიც, მათი თქმით, იცნობენ სოფლის პრობლემატიკას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაც შეუძლიათ. საჯარო განხილვებში მონაწილეობის სურვილი მოსახლეების ნაწილს არ აქვს, ნაწილი კი ამას მოუცლელობით ხსნის. არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ მათი საჯარო განხილვებში მონაწილეობით მაინც არაფერი შეიცვლება.

ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების კომენტარები:

„სოფელში ყველას შეატყობინეს (სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე). ხალხი მოგროვდა, წყალი ან ბალი უნდა გაეკეთებინათ და უმრავლესობამ მხარი დაუჭირა, რომ გაკეთებულიყო ბალი.“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]

„ხალხთან შეთანხმებით, სოფელს რაც აწუხებს, იმის მიხედვით კეთდება გზა, ხიდი, თუ სხვა... მითუმეტეს, ჩვენი სოფლის გამგებელი ჩვენი სოფლელია და იცის, დადის თვითონაც.“ [სამეგრელოს სოფლის მაცხოვრებელი]

„არ მიმიღია მონაწილეობა განხილვაში არასდროს. ხან სამსახურში ვარ, ხან ბალში ვმუშაობ და ვერ მოვიცალე.“ [შიდა ქართლის სოფლის მაცხოვრებელი]

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რესპონდენტები მნიშვნელოვნად თვლიან რაც შეიძლება მეტ კვალიფიციურ კადრს და მათ გადამზადებას; თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტის გაზრდას; სოფლის რწმუნებულთა მეტ აქტიურობას და

ამ ინსტიტუტის გაძლიერებას. არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში თავად მოსახლეობის გააქტიურებასაც.


5.9. მოსახლეობის სოციო-დემოგრაფიული პროფილი

2015 წელს გამოკითხულ რესპონდენტთა 54% მდედრობითი სქესის, ხოლო 46% მამრობითი სქესის წარმომადგენელია. გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტია 25-დან 34 წლამდე (23%) და 35-დან 44 წლამდე (19%) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

მოსახლეობის 65% ქორწინებაში იმყოფება. მონაცემები მსგავსია ქალაქისა და სოფლის ჭრილშიც.

ეთნიკური ნიშნის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა ქართველია (89%), 4% -სომხური, 5% კი - აზერბაიჯანული წარმომობის (იხ. გრაფიკი 76).


გრაფიკი 76 – სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და ეროვნება – 2015 წლის მონაცემები



სრული შერჩევითი ერთობლიობა **N=3400**

კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხული მოსახლეობა, საშუალოდ, 4 წევრიანი ოჯახებისგან შედგება, რომელშიც შედიან ასევე ბავშვები, ხოლო ოჯახებში ბავშვების საშუალო რაოდენობა არ აღემატება ორს (იხ. გრაფიკი 77).

გრაფიკი 77 - ოჯახის შემადგენლობა – 2015 წლის მონაცემები




სრული შერჩევითი ერთობლიობა N=3400

მოსახლეობის 8% აცხადებს, რომ მათ ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს მინიჭებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა წილი გამოკითხულებში 7%-ია.

მოსახლეობის 38%-ს სრული საშუალო, ხოლო 35%-ს სრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. რაც შეეხება დასაქმებას, გამოკითხულების 30% უმუშევარია, 18% კი - პენსიონერი (იხ. გრაფიკი 78).

გრაფიკი 78 – განათლება და სამუშაო სტატუსი – 2015 წლის მონაცემები



სრული შერჩევითი ერთობლიობა N=3400

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ოჯახების დიდ ნაწილს ფული საკვებზე ძლივს ჰყოფნის (39%) (იხ. ცხრილი 6).


ცხრილი 6 – მატერიალური მდგომარეობის შეფასება – 2015 წლის მონაცემები

საკვებზე ძლივს გვყოფნის ფული	39%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	30%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისთვის და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ფულის და ზოგვა ან სესხება გვიწევს	22%
ჩვენ საკმარი სიფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ მანქანა ან ბინა, ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	6%
არვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	3%

სრული შერჩევითი ერთობლიობა N=3400

გამოკითხული ოჯახების 5%-ის თვიური ოჯახური შემოსავალი 100 ლარზე ნაკლებია, ყოველი მესამე გამოკითხული ოჯახის თვიური შემოსავალი 101-დან 300 ლარამდე მერყეობს (33%). შემოსავლებში აღრიცხულია ნებისმიერი ტიპის შემოსავალი სოციალური დახმარებისა და პენსიის ჩათვლით (იხ. გრაფიკი 79).

გრაფიკი 79 – ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი (ლარი)



სრული შერჩევითი ერთობლიობა N=3400

6. რეზიუმე

2013 და 2015 წელს საზოგადოებრივი მომსახურებებით მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო სხვადასხვა სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისი. მომსახურებათა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, აღნიშნულ თავში წარმოდგენილია მხოლოდ ის ძირითადი სერვისები, რომლებიც ყველაზე მეტად არის ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის. საზოგადოებრივი მომსახურებები თემატურად გაერთიანდა რამდენიმე ცხრილში ორი პარამეტრის მიხედვით - სერვისის არსებობა და ამ სერვისით კმაყოფილება (კომუნალური ინფრასტრუქტურით მოსახლეობის კმაყოფილების წარმოსადგენად რიგ შემთხვევებში გამოყენებულია სისტემის გამართულად ფუნქციონირების და რეგულარულად მიწოდების მაჩვენებლები, რომლებიც, დიდი ალბათობით, განაპირობებს მოსახლეობის სერვისით კმაყოფილებას).^{5,6} შექმნილი სურათისა და კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის მასშტაბურად დანახვის მიზნით, 2013 და 2015 წლების მონაცემები წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით.

2013-2015 წლების კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კომუნალურ ინფრასტრუქტურებს შორის ყველაზე კარგი მდგომარეობა ელექტრონურგიის მიწოდების თვალსაზრისით ფიქსირდება. მიწოდებასთან ერთად მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი გამოხატავს კმაყოფილებას ელექტრონურგიის ხარისხით და მომსახურებით (2013 და 2015: მიწოდება - 94%, კმაყოფილება - 92%) (იხ.ცხრილი 7)

კომუნალური ინფრასტრუქტურების მხრივ, რეგიონებს შორის ყველაზე კარგი მდგომარეობა ცხრილში წარმოდგენილი სერვისების მიწოდებისა და მათი კმაყოფილების მაჩვენებლების მიხედვით, თბილისშია.

ორივე კვლევის შედეგების თანახმად, სხვა რეგიონებში თბილისთან შედარებით ცუდი მდგომარეობაა. ყველაზე გამორჩეული რაჭა-ლეჩხუმია, სადაც ელექტრონურგიის გარდა სხვა სერვისებით მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მომსახურებათა ნაკლებობისა, რაჭა-ლეჩხუმში მოსახლეობა არსებული სერვისებით კმაყოფილების მაღალ მაჩვენებელს აფიქსირებს. მოსახლეობის კმაყოფილებას, საგარაუდოდ, იწვევს უძრავოდ სერვისის არსებობა და არა მისი მიწოდების ხარისხი. სწორედ იმ ფონზე, რომ აღნიშნული სერვისები ნაკლებადაა გავრცელებული რეგიონში, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც აქვს მომსახურებით სარგებლობის საშუალება, თვლის, რომ სხვებთან შედარებით უკვე კარგ მდგომარეობაშია და, შესაბამისად, აღარ გამოთქვამს უკმაყოფილებას სერვისის ხარისხთან დაკავშირებით. აღნიშნული ვარაუდი, შესაძლოა, გავრცელდეს სხვა რეგიონებში დაფიქსირებული მაღალი კმაყოფილების ასახსნელადაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკანალიზაციო სისტემის არსებობის თვალსაზრისით, ზოგადად, ცუდი ვითარებაა საქართველოს ყველა რეგიონში. სოფლების უმრავლესობაში საკანალიზაციო სისტემა არ

5 ცხრილებში არ არის წარმოდგენილი ისეთი სპეციფიური მომსახურებები რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი ან იშვიათად გამოყენებადი (მაგალითად: უფასო სასადილოები, უფასო იურიდიული მომსახურება, ტენდერები, ელექტრონული სერვისები ა.შ.).

6 ცხრილებში მოცემულია სერვისების არსებობისა და კმაყოფილების მაჩვენებელი. კონკრეტული მომსახურებით ან სერვისისთ კმაყოფილებას აფასებდნენ მხოლოდ ის რესპონსუნგები, რომელთა დასახლებშიც მოიპოვება ესა თუ ის სერვისი ან კმაყოფილება; ინფორმაციის მოცულობის გამო ცხრილებში მოცემულია მხოლოდ დადებოთი შეფასებები (დაბა; კმაყოფილი/ ძალიან კმაყოფილი) არ ვიცი/უარი პასუხზე და უარყოფითი პასუხების გამოყენებით. გამონაკლის წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურის ცხრილი (ცხრილი 11), სადაც წარმოდგენილია საგზაო ინფრასტრუქტურის ზოგიერთი პარამეტრის არსებობა.

არსებობს. თუმცა ამ მხრივ ყველაზე რთული მდგომარეობა გურიაშია. რაც შეეხება ცენტრალურ წყალმომარაგებას, ის ყველაზე პრობლემური სამეგრელო/ზემო სვანეთში და გურიაშია (**იხ. ცხრილი 7**).

ცხრილი 7 – კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა და კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები

რეგიონი	კომუნალური ინფრასტრუქტურა (ცროცენტები)												ნებალმომარაგება (სახელმწიფო/თვითმმართველობა)				კანალიზაცია (სახელმწიფო/თვითმმართველობა)				ელექტროენერგია (სახელმწიფო)				გაზმომარაგება (სახელმწიფო)				დასუფთავება (თვითმმართველობა)				ნარჩენების გატანა (თვითმმართველობა)			
	2013		2015		2013		2015		2013		2015		2013		2015		2013		2015		2013		2015		2013		2015									
	მინიჭება	კმ/ყოველება	მინიჭება	კმ/ყოველება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	მინიჭება	არსებობა	კმ/ყოველება	არსებობა	კმ/ყოველება	არსებობა	კმ/ყოველება	არსებობა	კმ/ყოველება	არსებობა	კმ/ყოველება											
თბილისი	99%	81%	100%	92%	100%	97%	100%	94%	94%	93%	93%	93%	94%	100%	95%	100%	97%	97%	86%	97%	90%	100%	91%	100%	91%	91%	100%	91%	91%	91%						
აჭარა	64%	75%	61%	80%	52%	91%	54%	86%	88%	93%	90%	89%	97%	50%	97%	52%	98%	42%	92%	44%	91%	69%	89%	72%	93%											
გურია	32%	40%	45%	67%	14%	73%	16%	94%	97%	88%	91%	93%	53%	99%	49%	99%	12%	77%	9%	85%	35%	90%	68%	96%												
იმერეთი	57%	44%	51%	37%	40%	98%	50%	95%	97%	87%	92%	95%	65%	92%	69%	99%	29%	77%	32%	93%	41%	88%	60%	91%												
კახეთი	69%	59%	67%	43%	25%	98%	23%	91%	88%	92%	97%	93%	74%	100%	72%	100%	15%	56%	16%	72%	61%	86%	85%	88%												
შიდა-მთანეთი	49%	58%	87%	66%	27%	96%	26%	96%	91%	90%	99%	98%	68%	98%	73%	99%	15%	93%	29%	95%	66%	89%	77%	80%												
ქვემო ქართლი	82%	56%	73%	71%	31%	84%	31%	83%	92%	82%	92%	95%	64%	90%	68%	94%	25%	77%	37%	67%	38%	67%	58%	73%												
რაჭა-ლეჩხემი	26%	78%	18%	100%	18%	95%	15%	97%	97%	86%	97%	97%	14%	100%	10%	100%	14%	91%	14%	100%	18%	80%	28%	87%												
სამცხე-ჯავახეთი	45%	74%	40%	73%	33%	98%	33%	96%	98%	92%	94%	93%	66%	98%	47%	97%	8%	58%	24%	85%	35%	63%	49%	80%												
სამეგრელო	32%	90%	53%	60%	22%	94%	30%	88%	96%	98%	99%	84%	26%	100%	34%	99%	12%	85%	38%	84%	31%	77%	55%	92%												
შიდა ქართლი	64%	62%	65%	73%	32%	96%	38%	99%	93%	98%	94%	86%	81%	99%	78%	100%	4%	93%	23%	94%	45%	89%	71%	96%												
სულ	68%	68%	69%	72%	50%	95%	52%	93%	94%	92%	94%	92%	69%	95%	70%	98%	76%	83%	47%	87%	59%	86%	74%	89%												

კომუნალური ინფრასტრუქტურისგან განსხვავებით, საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებობს მხრივ, ყველა რეგიონში მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბალები არ არის საქართველოს მაღალმთიანი ზონის სოფლების უმეტესობაში. მსგავსი ვითარება ვლინდება რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში. მუნიციპალური საბავშვო ბალებისა და საჯარო სკოლებისადმი მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი ზოგადად გაზრდილია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით (**იხ. ცხრილი 8**).

**ცხრილი 8 - საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა და მათი მომსახურებით
კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები**

რეგიონი	განათლება							
	საბავშვო ბალი (თვითმმართველობა)				სკოლა (სახელმწიფო)			
	2013		2015		2013		2015	
	მინდება	კვალიფიციანი	მინდება	კვალიფიციანი	მინდება	კვალიფიციანი	მინდება	კვალიფიციანი
თბილისი	89%	64%	100%	82%	98%	71%	100%	81%
აჭარა	52%	86%	66%	95%	100%	80%	75%	94%
გურია	72%	84%	79%	93%	88%	84%	87%	93%
იმერეთი	86%	94%	72%	95%	90%	94%	79%	98%
კახეთი	87%	73%	93%	96%	94%	79%	96%	89%
მცხეთა-მთიანეთი	66%	81%	61%	95%	83%	81%	78%	93%
ქვემო ქართლი	57%	43%	38%	85%	100%	63%	79%	80%
რაჭა-ლეჩხუმი	43%	89%	51%	94%	74%	90%	61%	96%
სამცხე-ჯავახეთი	52%	87%	43%	87%	100%	84%	84%	90%
სამეგრელო	89%	84%	87%	85%	93%	91%	96%	93%
შიდა ქართლი	59%	81%	78%	84%	90%	82%	87%	92%
სულ	77%	77%	77%	89%	95%	80%	98%	89%

ჯანდაცვის სერვისებით მოსარგებლე მოსახლეობა, ძირითადად, მიღებული მომსახურებებით კმაყოფილია. განურჩევლად რეგიონისა, მოსახლეობის უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი სერვისის მიმწოდებლების მიმართ და კმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოხატავს ასევე სასწრაფო დახმარების მომსახურებით და მოსახლეობისა თუ შინაური ცხოველების/პირუტყვის აცრებით. ზოგადად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიმართ მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ გაზრდილია 2013 წელთან შედარებით (**იხ.ცხრილი 9.**)

**ცხრილი 9 – ჯანდაცვის სერვისების გამოყენება და კმაყოფილება რეგიონების მიხედვით –
2013-2015 წლების მონაცემები**

რეგიონი	ჯანდაცვა											
	სასწრაფო დახმარება (სახელმწიფო)				მოსახლეობის აცრები (სახელმწიფო/ თვითმმართველობა)				შინაური ცხოველების აცრები (სახელმწიფო/ თვითმმართვლობა)			
	2013		2015		2013		2015		2013		2015	
	გამოიქვება	კმაყოფილება	გამოიქვება	კმაყოფილება	მიმართვა	კმაყოფილება	მიმართვა	კმაყოფილება	მიმართვა	კმაყოფილება	მიმართვა	კმაყოფილება
თბილისი	46%	89%	48%	88%	73%	96%	63%	98%	13%	100%	6%	88%
აჭარა	43%	96%	46%	94%	82%	94%	83%	100%	49%	100%	38%	100%
გურია	30%	80%	35%	93%	89%	100%	92%	98%	42%	98%	63%	99%
იმერეთი	34%	90%	42%	93%	80%	91%	73%	100%	54%	94%	56%	100%
კახეთი	34%	93%	36%	90%	75%	100%	71%	91%	38%	96%	44%	98%
მცხეთა-მთიანეთი	35%	87%	41%	94%	52%	100%	81%	100%	35%	99%	51%	97%
ქვემო ქართლი	42%	96%	40%	87%	72%	100%	79%	96%	64%	97%	56%	99%
რაჭა-ლეჩხუმი	40%	97%	45%	92%	77%	100%	85%	100%	57%	98%	59%	98%
სამცხე-ჯავახეთი	28%	88%	32%	87%	72%	92%	78%	99%	61%	97%	67%	97%
სამეგრელო	34%	98%	38%	98%	65%	99%	69%	91%	71%	96%	57%	99%
შიდა ქართლი	33%	89%	36%	70%	74%	94%	70%	97%	34%	96%	46%	100%
სულ	38%	92%	42%	90%	27%	96%	28%	97%	49%	97%	67%	99%

ზოგადად, კვლევის ორივე რაუნდის შედეგების თანახმად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საქართველოში თავს უსაფრთხოდ გრძნობს მათ დასახლებებში (2013 – 88%, 2015 – 85%).

კვლევის შედეგების თანახმად, სახანძრო და სამაშველო სამსახურები საქართველოს ყველა რეგიონში ხელმისაწვდომია. ამ მხრივ ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა 2013 წლის შემდგომ. უნდა აღინიშნოს, რომ სახანძრო და სამაშველო სამსახურების არსებობის თვალსაზრისით, ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება შიდა ქართლის შემთხვევაში იკვეთება (**იხ. ცხრილი 10**).

ცხრილი 10 – უსაფრთხოების სერვისების არსებობა და კმაყოფილება რეგიონების მიხედვით – 2013-2015 წლების მონაცემები

რეგიონი	უსაფრთხოება							
	სახანძრო სამსახური (თვითმმართველობა)				სამაშველო სამსახური(სახელმწიფო/ თვითმმართველობა)			
	2013	2015	2013	2015	არსებობა	კმაყოფილება	არსებობა	კმაყოფილება
თბილისი	92%	89%	94%	98%	89%	93%	94%	92%
აჭარა	81%	82%	94%	87%	76%	69%	92%	90%
გურია	93%	53%	96%	100%	83%	62%	96%	100%
იმერეთი	72%	63%	98%	79%	59%	67%	98%	100%
კახეთი	94%	81%	100%	100%	80%	69%	99%	100%
მცხეთა-მთიანეთი	94%	61%	96%	66%	93%	79%	97%	97%
ქვემო ქართლი	59%	21%	95%	90%	47%	65%	81%	94%
რაჭა-ლეჩხუმი	62%	76%	100%	97%	43%	84%	97%	100%
სამცხე-ჯავახეთი	75%	67%	99%	75%	46%	81%	94%	90%
სამეგრელო	75%	88%	93%	73%	49%	73%	80%	73%
შიდა ქართლი	43%	58%	90%	100%	39%	29%	90%	100%
სულ	78%	75%	95%	85%	67%	81%	92%	90%

ზოგადად, რეგიონებში გარე გზების მდგომარეობას უფრო კარგად აფასებენ, ვიდრე შიდას. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ დასახლებებს შეგნით არსებული გზები კარგ მდგომარეობაშია (2013 – 13%, 2015 – 29%). მოცემული რეგიონის გარკვეული ნაწილი ასევე უჩივის მათ დასახლებებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარესტობას (2013 – 23%, 2015 – 30%). საგზაო ინფრასტრუქტურის ფარგლებში შეფასებული პარამეტრებიდან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შუქნიშნების არარესტობას აქვს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულ ადგილებში მათი საჭიროება, შესაძლოა, არც იყოს. ასევე მაღალია ქუჩების განათებისა და სახლების ნუმერაციის არარესტობის მაჩვენებელი. ქუჩების განათების პრობლემა ყველაზე აქტუალური იმავე სამცხე-ჯავახეთშია, ხოლო სახლების ნუმერაცია – რაჭა-ლეჩხუმში (**იხ. ცხრილი 11**).

ცხრილი 11 – საგზაო ინფრასტრუქტურა რეგიონების მიხედვით - 2013-2015 წლების მონაცემები

		შეღაებული	გარე გარე	გარე გარე	ავტომატიკისტურალუბა	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	ტრანსპორტის საფუძვლები	საგზაო ნიშნები	შეკრისები	გარე განათება	სახლების ნუმერაცია	
		კარგი	კარგი	კარგი	კარგი	არ არის	კარგი	არ არის	კარგი	არ არის	კარგი	კარგი
თბილისი	2013	75%	87%	84%	72%	1%	49%	2%	84%	5%	85%	4%
	2015	73%	81%	88%	82%	0%	64%	0%	89%	1%	85%	1%
აქარა	2013	66%	78%	94%	78%	1%	79%	6%	53%	36%	50%	41%
	2015	60%	75%	89%	87%	1%	83%	0%	65%	21%	49%	38%
გურია	2013	33%	56%	94%	70%	15%	80%	1%	30%	59%	7%	89%
	2015	42%	80%	99%	91%	3%	83%	1%	55%	35%	0%	98%
იმერეთი	2013	45%	68%	86%	71%	7%	66%	1%	39%	41%	25%	53%
	2015	52%	78%	94%	84%	5%	87%	1%	66%	17%	29%	55%
კახეთი	2013	28%	85%	92%	79%	13%	76%	3%	36%	44%	6%	86%
	2015	45%	89%	98%	80%	17%	92%	0%	42%	37%	2%	96%
მხეთა-მთიანეთი	2013	28%	61%	84%	77%	9%	47%	1%	24%	67%	1%	99%
	2015	34%	83%	96%	76%	11%	56%	1%	38%	60%	2%	98%
ქვემო-ქართლი	2013	19%	63%	97%	68%	5%	67%	0%	30%	61%	18%	72%
	2015	39%	95%	98%	76%	16%	83%	0%	52%	22%	31%	54%
რაჭა-ლეჩებუმი	2013	29%	44%	70%	41%	22%	54%	2%	29%	64%	7%	91%
	2015	54%	77%	90%	58%	3%	73%	0%	66%	24%	4%	96%
სამცხე-ჯავახეთი	2013	13%	49%	78%	48%	23%	62%	1%	39%	43%	10%	81%
	2015	29%	52%	80%	46%	30%	72%	0%	49%	32%	23%	67%
სამეგრელო	2013	35%	62%	88%	82%	3%	90%	2%	60%	28%	37%	54%
	2015	47%	75%	93%	93%	0%	95%	0%	68%	7%	35%	57%
შიდა ქართლი	2013	47%	73%	93%	84%	1%	73%	1%	56%	28%	25%	62%
	2015	48%	77%	98%	93%	0%	83%	0%	41%	27%	28%	64%

2013 - შერჩევის ზომა N=3400

2015 - შერჩევის ზომა N=3400

აღსანიშნავია, რომ მონაცემების დამუშავებისას შემოწმდა თვითმმართველობებით კმაყოფილი რესპონდენტების მუნიციპალური და სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილებაც. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ თვითმმართველობით კმაყოფილი რესპონდენტები უმეტესად დადგებითად აფასებენ ორივე ტიპის სერვისს. მონაცემები არ არის წარმოდგენილი ცხრილების სახით, რადგან თითქმის იმეორებს ზემოთ მოცემულ ცხრილებში არსებულ ტენდენციებს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია შემდეგი ზოგადი დასკვნების გამოტანა:

1. 2015 წლის მუნიციპალური კვლევა, ასევემისი შედარება 2013 წლის კვლევასთან აჩვენებს განსხვავებას, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების მდგომარეობასა და, მეორე მხრივ, ამ მომსახურებით მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხს შორის.

თავისთავად მოსახლეობა პოზიტიურადა განწყობილი ცვლილებების მიმართ, როცა ხედავს ხელშესახებ შედეგს. ამავე დროს, ხშირად სახეზეა რეალური სურათისა და მომსახურების ძირითადი პრინციპების მოწონების ურთიერთაღრევა. მაგალითისათვის: მოქალაქეები მოწონებით ხვდებიან ამა თუ იმ ცვლილებას. ამავე დროს, აფიქსირებენ რა ცალკეულ უარყოფით დეტალებს, იმავედეტალებს მაინც პოზიტიურად აფასებენ - სოფლის მცხოვრებლები უფრო მეტ პრობლემას ასახელებენ სკოლამდელი აღზრდის, ჯანდაცვის სისტემების, ადგილობრივი გზების სფეროებში, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებელნი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, უფრო პოზიტიურად აფასებენ საერთო სურათს. მათ თავად პრობლემის მოგვარების მცდელობა განაწყობთ პოზიტიურად.

2. საყურადღებოა, რომრიგ შემთხვევებში სახელმწიფო პოლიტიკა ნაკლებქმედითია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში განხორციელდა მრავალმილიონიანი ინფრასტრუქტურული პროგრამები და პროექტები, დღის წესრიგში კვლავმწვავედ დგას იგივე საკითხები, რაც ათი წლის წინ (სასმელი წყლით მომარაგება, ადგილობრივი გზები). ეს ფაქტიმიუთითებს ამ სფეროებში დეცენტრალიზაციის მიმართულებით გასატარებელი რეფორმების საჭიროებაზე.
3. ზოგიერთი სერვისი, რომელთაც მოსახლეობას სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები აწვდის, ადრეც კმაყოფილების მაღალ ხარისხს აჩვენებდა და ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. ასეთია:
 - საჯარო სკოლების საქმიანობა (ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი, კვება, კადრების პროფესიონალიზმი), რომლით კმაყოფილებაც 80%-დან 89%-მდე ამაღლდა (სავარაუდოდ, საინტერესო იქნება ამ მაჩვენებლის შესწავლა 2019 წლის შემდეგ, როცა ეს სერვისები მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებაში გადავა);
 - საავადმყოფოები - კმაყოფილების მაჩვენებელი მატულობს: 2013 - 86%, 2015 - 91%;
 - ელექტრომომარაგება, რომლის მაჩვენებელიც ორივე წელს 92%-სშეადგენს;
 - სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროგრამები (განსაკუთრებით, ვაუჩერების სისტემა), რასაც მოსახლეობის 90%-ზემეტი დადებითად აფასებს;
 - უსაფრთხოება და დაცულობა (2013 - 88%, 2015 - 85%). აქვე აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები ნეგატიურ შემთხვევებსვერ იხსენებენ.
4. ზოგიერთი სახის მომსახურება, რომელიც 2013 წელს შედარებით დაბალ (ან სამუალო) დონეზე იყო, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა:
 - სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობით მოქალაქეთა კმაყოფილება 77%-დან 89%-მდე გაიზარდა, ხოლო კონკრეტულ სფეროებში (ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი, კვება, კადრების პროფესიონალიზმი) ზრდა კიდევ უფრო დიდია (დაახ. 50%-დან 75%-მდე). ამ მაჩვენებლის მატება განსაკუთრებით შესამჩნევია შიდა ქართლის რეგიონში, სადაც ოუზირებული ხაზის მიმდებარე ზონებში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი პროგრამები განახორციელა;
 - რესპონდენტები აღნიშნავენ წინსვლას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზების სფეროში. მაღალმთიან რეგიონებში მაჩვენებელი 5%-დან 42%-მდე გაიზარდა;
 - იზრდება კმაყოფილება სოციალური პროგრამების მიმართ. მაგალითად, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის შემოღებაში მაჩვენებელი ამ სფეროში 38%-დან 72%-მდე გაზარდა, შემცირდა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის განკუთვნილი პროგრამებით მოსახლეობის უკმაყოფილება (73%-დან 65%-მდე);

- ჯანდაცვის სფეროში ასევე დადებითი ტენდენციაა (34%-დან 64%-მდე), მცირდება ნეგატიური დამოკიდებულების მაჩვენებელიც (21%-დან 8%-მდე);
 - პოზიტიური ცვლილებებია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სფეროშიც (59%-დან 74%-მდე), განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც ნეგატიური დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შემცირდა (79%-დან 52%-მდე);
 - ქალაქებში გაიზარდა დასუფთავების სერვისით კმაყოფილებაც (შესაბამისად - 76% და 84%).
5. კვლავ პრობლემატური რჩება საზოგადოებრივი მომსახურების რიგ სფეროებში არსებული ვითარება:
- პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით დაბალია მოქალაქეთა ინფორმირების ხარისხი (რესპონდენტთა 1/4 ინფორმაციასაც არ ფლობს ამ სფეროზე);
 - მართალია, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების საქმიანობა პოზიტიურად ფასდება, მაგრამ მიმართვიანობის ხარისხი ბევრად დაბალია საავადმყოფოებისადმი მიმართვიანობასთან შედარებით. შესაძლოა, ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მოქალაქენი მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში (ოპერაციები და ა.შ.) მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს;
 - სოფლებში და მთიან რეგიონებში კვლავ მწვავედ დგას კულტურული და სპორტული დაწესებულებების სიმცირე - აქაურ რესპონდენტთა 40%-ზე მეტი აღნიშნავს მათ სრულ არარსებობას. სასოფლო დასახლებებში, სხვა ობიექტებთან შედარებით, მხოლოდ კულტურისა და შეხვედრების სახლების მეტნაკლები ოდენობაა;
 - სასმელი წყლით ცენტრალიზებულად მარაგდება მხოლოდ სოფლების 40-41% და მაღალმთიანი რეგიონების 26-32%;
 - წყალარინების (კანალიზაციის) სისტემით სარგებლობს მოსახლეობის მხოლოდ 50-52% (ძირითადად, ქალაქებში), სოფლის ტიპის დასახლებათა უმეტესობაში (2013 - 95%, 2015 - 92%) ეს სისტემა არ არსებობს;
 - ბუნებრივი აირით მარაგდება მოსახლეობის 69-70%. სოფლების 53% (2013) - 58% (2015) გაზიფიცირებული არ არის;
 - მიუხედავად ვითარების ნაწილობრივი გაუმჯობესებისა, რესპონდენტები კვლავ გამოთქვამენ უკაყაჟობებას გზების (განსაკუთრებით, შიდა გზების) არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით. არსებული მდგომარეობა მეტნაკლებად მისაღებია რესპონდენტთა ნაწილისთვის - 47% (2013) - 54% (2015). მაღალმთიან რეგიონებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (შესაბამისად, 16% და 17%);
 - ქალაქების მაცხოვრებელთა 71% (2013) / 85% (2015) და სოფლების 61% მიიჩნევს, რომ მათისაცხოვრებელი გარემო ეკოლოგიურად დაბინძურებულია;
 - სოფლების მხოლოდ 6% სარგებლობს დასუფთავების სერვისით.
6. როგორც ვხედავთ, სახეზეა საზოგადოებრივი მომსახურების ასიმეტრიული განაწილება - სოფლებში, პერიფერიებსა და მაღალმთიან რეგიონებში წყალმომარაგების, ირიგაციის, გაზმომარაგების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა თუგატანის და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის საკითხები მეტად პრობლემატურია იმ ურბანულ ზონებთან შედარებით, სადაც საქართველოს მთავრობა მეტ ყურადღებას უთმობდა აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას. ამ პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ხელისუფლების ორგანოთა ფორმირება ადგილობრივი

ინტერესების ადეკვატურად და მათთან შესაბამისობაში. მაგალითად, დღეისათვის მაღალმთიან რეგიონებში რესპონდენტთა 38% ნეგატიურად აფასებს სკოლამდელი დაწესებულებების არსებულ მდგომარეობას, 83-84% - ადგილობრივ გზებს (მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტზე ხელმსაწვდომობა 2015 წლისთვის 31%-დან 61%-მდე გაიზარდა). მაღალმთიან და სასოფლო დასახლებებში დაბალია ელექტრონული სერვისებით მომსახურების დონეც (2013-21%, 2015 - 26%), რითაც ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ურბანულ დასახლებებს (42% და 40%).

7. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები გამოხატავენ ადგილობრივ თვითმმართველობათა საქმიანობის მიმართ კმაყოფილებასა (2013 - 71%, 2015 - 66%) და ნდობას (2013 - 71%, 2015 - 67%), პრობლემების გადასაჭრელად მოქალაქეები მათ მაინც იშვიათად მიმართავენ. ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა (დაახ. 18-20%) რჩება. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხი უფრო დაბალია ქალაქებში (63% და 59%), ვიდრე სოფლებში (78% და 72%). ამავე დროს, რესპონდენტები გამოყოფენ თვითმმართველობებთან ურთიერთობისას მათთვის პრიორიტეტულ საკითხებს (ბიუჯეტის არსებულ საჭიროებებთან შესაბამისობა - 48% და 40%; მოქალაქეთა ინფორმირება - 39% და 31%), თუმცა აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო აქტივობისა და საზოგადოების მხრიდან საკითხების ინიციორების მაგალითები თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისია თბილისი, სადაც აღინიშნება თვითმმართველობის მოსახლეობასთან ეფექტიანი კომუნიკაციის მაჩვენებლის ზრდა (2013 - 30%, 2015 - 48%).
8. ადმინისტრაციული მოწყობის მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულება შეიცვალა. 2013 წელთან შედარებით, 2015 წელს გაიზარდა ახალი მოწყობის მოწინააღმდეგება რიცხვი (თბილისი - 29%-დან 42%-მდე, სხვა ქალაქები - 48%-დან 52%-მდე, სოფლები - 39%-დან 45%-მდე) და შემცირდა მომხრეთა ოდენობა (თბილისი - 39%-დან 34%-მდე, სხვა ქალაქები - 23%-დან 17%-მდე, სოფლები - 31%-დან 20%-მდე). ამ გარემოების ახსნა შეიძლება რამდენიმე მიზეზით:
 - 2013 წელს აღნიშნული საკითხი შედარებით აქტიურად განიხილებოდა საზოგადოებაში. ეს პროცესი შენებდა 2014 წლის შემდეგ და პრიორიტეტებს შორის აღარ ჩანს. შესაბამისად, რესპონდენტები არსებული სისტემის გაუმჯობესების გზებზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე სისტემის შეცვლის საჭიროებაზე (განსაკუთრებით, დედაქალაქში);
 - 2014 წელს 7 ახალი თვითმმართველი ქალაქის შექმნის შემდეგ აღნიშნული მუნიციპალიტეტები ახალ, პომოგენურ რულარულ ერთეულებად აღარ დაყოფილა.

სამწუხაროდ, კვლევის ფორმატი არ იძლევა აღნიშნულ მოსაზრებათა დადასტურების ან უარყოფის შესაძლებლობას. ამ მიზნით, კარგი იქნებოდა უფრო ჩაღრმავებული კვლევის ჩატარება იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც უკვე დაიყო. ამასთან, ასეთი სამუშაოს ჩატარება უპრიანი იქნება მას შემდეგ, რაც ახალი სტრუქტურები ამოქმედდებიან და აჩვენებენ თავიანთ ეფექტიანობას ან არაეფექტიანობას (2016 წელი და შემდეგ).

ერთ-ერთი უმთავრესი დასკვნა, რაც შეიძლება კვლევის შედეგებიდან გამოვიტანოთ, არის ის, რომ საზოგადოება არ ფლობს სრულ ინფორმაციას ცალკეულსაკითხებზე. ამიტომ რესპონდენტები გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, მაგრამ უჭირთ ამა თუ იმ მიდგომის საფუძვლიანი არგუმენტირება. აქედან გამომდინარე, დეცენტრალიზაციის რეფორმასთან ერთად, სასურველია გაძლიერდეს საზოგადოების ინფორმირება რეფორმის ძირითადი მიმართულებებისა და მოტივების შესახებ.